



ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის სამართლის სკოლის
შედარებითი კერძო და საერთაშორისო სამართლის
სამაგისტრო პროგრამის სტუდენტის

ეკა ფოჩხუას

სამაგისტრო ნაშრომი თემაზე

დოკუმენტური აკრედიტივის შესრულების წესი და წინაპირობები

წარდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
სამეცნიერო ხელმძღვანელი: სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
დავით ათაბეგაშვილი

თბილისი

2021

შინაარსი

1. შესავალი.....	3
2. დოკუმენტური აკრედიტივი, როგორც გადახდის საშუალება და მხარეთა რისკების დაზღვევის საშუალება.....	7
3. დოკუმენტური აკრედიტივის მიზანი და შინაარსი.....	13
4. დოკუმენტური აკრედიტივის ისტორიული განვითარება	17
5. დოკუმენტური აკრედიტივის სამართლებრივი რეგულირება.....	20
5.1 ICC-ის უნიფიცირებული წესების ანალიზი	20
5.2 საქართველოს კანონმდებლობის ანალიზი	28
6. დოკუმენტური აკრედიტივის მნიშვნელობა საერთაშორისო კომერციულ ურთიერთობებში	32
7. დოკუმენტური აკრედიტივის სახეები	36
8. დოკუმენტური აკრედიტივის საფუძელზე შესასრულებელი ტრანსაქციების ეტაპები.....	42
9. დოკუმენტური აკრედიტივის ძირითადი მახასიათებლები	46
10. დოკუმენტური აკრედიტივის მხარეთა უფლება-მოვალეობები	49
10.1 მყიდველი მხარის უფლება-მოვალეობები	50
10.2 გამყიდველი მხარის უფლება-მოვალეობები	54
11. დოკუმენტური აკრედიტივის შინაარსზე ძირითადი დათქმები	55
11.1 „Red clause“ დათქმა.....	56
11.2 „Green clause“ დათქმა	59
12. დოკუმენტურ აკრედიტივსა და საბანკო გარანტიის შედარებითი ანალიზი	61
13. „დოკუმენტური შესაბამისობის“ სტანდარტი.....	64
14. უფლების ბოროტად გამოყენების რისკი.....	74
15. დასკვნა.....	80
16. გამოყენებული წყაროები	83

„ბანკები ხელმძღვანელობენ დოკუმენტებით და არა საქონლით, მომსახურებით ან შესრულებით, რომელთაც დოკუმენტები შეიძლება ითვალისწინებდნენ.“¹

1. შესავალი

სამაგისტრო ნაშრომი შეეხება თანამედროვე საბანკო სამართლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საბანკო პროდუქტს, საერთაშორისო დოკუმენტურ აკრედიტივს.

წინამდებარე ნაშრომის საგანი, დოკუმენტური აკრედიტივი, როგორც ფინანსური მომსახურების სახე აქტუალურია საერთაშორისო კომერციულ ურთიერთობებში, განსაკუთრებით საერთაშორისო ნასყიდობის ტრანსაქციებში მისი ჩართულობის მნიშვნელობიდან გამომდინარე. მისი სწორი სამართლებრივი მოწესრიგება ხელს შეუწყობს საქართველოს, თავისი როლი განიმტკიცოს და სათანადო ადგილი დაიმკვიდროს საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში. ეს უკანასკნელი კი პირდაპირ განაპირობებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას.

სამაგისტრო ნაშრომის მიზანს წარმოადგენს დოკუმენტური აკრედიტივის შესრულებისას ძირითადი წესის დადგენა, დოკუმენტურ აკრედიტივთან დაკავშირებული კვლევების და საერთაშორისო უნიფიცირებული კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე. ასევე, იმ წინაპირობების განსაზღვრა, რომელთა დადგომის საფუძველზე მყიდველის მომსახურე ბანკი ახორციელებს გამყიდველის მომსახურე ბანკის მიმართ იმ ნასყიდობის საფასურის გადახდას, რომელსაც ძირითადი ნასყიდობის კონტრაქტი ითვალისწინებს და რომლის საფუძველზე მხარეთა სამომავლო შესაძლო რისკების დაზღვევასაც დოკუმენტური აკრედიტივი ემსახურება.

¹ იხ. UCP N600, მუხლი 5.

ნაშრომით დასახული მიზნისათვის ნაშრომში ძირითადად გამოყენებულია დოკუმენტურ აკრედიტივის შესახებ კვლევების, საერთაშორისო უნიფიცირებული კანონმდებლობის, პრაქტიკის და საქართველოს კანონმდებლობის შედარებითი სამართლებრივი ანალიზის მეთოდი. ისევე, როგორც ისტორიული კვლევის მეთოდი, გამოყენებული წყაროების შინაარსობრივი კვლევის მეთოდთან ერთად.

აკრედიტივის გამოყენებადობა და მარეგულირებელი კანონმდებლობა სცილდება კონკრეტული ქვეყნის საზღვრებს და შესაბამისად, მისი მარეგულირებელი სამართლებრივი წყაროები მხოლოდ საქართველოს შიდა კანონმდებლობით არ შემოიფარგლება. საერთაშორისო კომერციაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საერთაშორისო სავაჭრო პალატის, ICC-ის უნიფიცირებულ წესებს და პრაქტიკას, რომლის ბოლო ვერსიას UCP N600 პუბლიკაცია წარმოადგენს და რომელიც საერთაშორისო მასშტაბით დოკუმენტური აკრედიტივის გამოყენების ძირითად სამართლებრივ წყაროდ გვევლინება. დოკუმენტური აკრედიტივის შესრულების წესის და წინაპირობების საკითხის მნიშვნელობას განაპირობებს საერთაშორისო კომერციულ ურთიერთობებში საქართველოს უფრო მეტად ჩართულობის ტენდენცია. საერთაშორისო ტრანსაქციებში ჩართულ მხარეებს მნიშვნელოვანია, რომ ჰქონდეთ შესაბამისი ინფორმაცია დოკუმენტური აკრედიტივთან დაკავშირებულ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორებიცაა მისი შესრულების წესი და წინაპირობები.

წინამდებარე ნაშრომი 15 თავისგან შედგება. მეორე თავი ეთმობა დოკუმენტურ აკრედიტივს, როგორც გადახდის საშუალებას და მხარეთა რისკების დაზღვევის საშუალებას ერთდროულად. განხილულია ის ძირითადი ფუნქციები, რომლებიც გააჩნია დოკუმენტურ აკრედიტივს. აგრეთვე, განხილულია მოთხოვნის უზრუნველყოფის სხვა საშუალებებთან მიმართებით საერთო მახასიათებლები.

მესამე თავი მოიცავს დოკუმენტური აკრედიტივის მიზნის განსაზღვრას და მის აქტუალობას დღევანდელობაში. განხილულია, დოკუმენტური აკრედიტივის

შინაარსი და მნიშვნელოვანი პრინციპი, რომელიც მოქმედებს აკრედიტივის ფორმით ანგარიშსწორების დროს.

მეოთხე თავში მოყვანილია დოკუმენტური აკრედიტივის ისტორიული განვითარება, რა ეტაპები განვლო და როგორ მოვიდა დღევანდელობამდე. ისტორიულ პრიზმაში წარმოდგენილია დოკუმენტური აკრედიტივის თავდაპირველი დანიშნულება.

ნაშრომის მეხუთე თავი მოიცავს დოკუმენტური შესაბამისობის სტანდარტს, როგორც ICC-ის წესების მიხედვით, ასევე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სტანდარტს. განხილულია საერთაშორისო დოკუმენტური აკრედიტივის ძირითადი მარეგულირებელი დოკუმენტი ე.წ. „Uniform Customs and Practice for Documentary Credits (UCP 600),” რომელიც გამოცემულია საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ და რომელიც ადგენს საერთაშორისო სტანდარტებს და წესებს საერთაშორისო დოკუმენტური აკრედიტივის გამოსაყენებლად. მისი არსიდან გამომდინარე UCP-ი სარეკომენდაციო ხასიათისაა, თუმცა მხარეების მიერ აკრედიტივის გარიგებაში მისი მარეგულირებლად მითითებით იგი სავალდებულო ძალის მქონე დოკუმენტის სახეს იძენს.

მეექვსე თავში დეტალურად არის განხილული ის ძირითადი ფაქტორები თუ რატომ არის თანამედროვე მსოფლიოში ასეთი მოთხოვნადი დოკუმენტური აკრედიტივი და რა ძირითადი დანიშნულება/ფუნქცია გააჩნია კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში.

ნაშრომის მეშვიდე თავი ეთმობა დოკუმენტური აკრედიტივის კლასიფიკაციას. მოყვანილია სხვადასხვა ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილება, რითაც თვალსაჩინო ხდება სხვადასხვა სახის აკრედიტივის ძირითადი საერთო და განმასხვავებელი ფაქტორები.

მერვე თავში განხილულია მთლიანი პროცესი სავაჭრო ტრანზაქციისა და სწორედ ის მნიშვნელოვანი ეტაპები, რაც უნდა გაირაონ მხარეებმა აკრედიტივით ანგარიშსწორებისას. ნათლად არის წარმოჩენილი ყველა ის დადებითი და უარყოფითი მხარეები, რაც თან ახლავს აკრედიტივის რეალურ გამოყენებას სავაჭრო გარიგებაში. იმის გათვალისწინებით, რომ სხვადასხვა სახის დოკუმენტური აკრედიტივი არსებობს, ყურადღება გამახვილებულია სწორედ იმაზე, თუ რამდენად არის შესაძლებელი მხარეთა შეთანხმებით, ტრანსაქციების რიგითობის ცვლილება/შეცვლა.

მეცრე თავში დეტალურად არის განხილული ის ძირითადი ასპექტები და მნიშვნელოვანი მახასიათებლები, რომლებიც დოკუმენტურ აკრედიტივს გააჩნია.

ნაშრომის მეათე თავი ეხება დოკუმენტური აკრედიტივის მხარეებს, მხარეთა უფლება-მოვალეობებსა და ურთიერთკავშირს ერთმანეთთან. ასევე ყურადღება გამახვილებულია დოკუმენტური აკრედიტივის შესრულების ძირითად მახასიათებლებსა და თავად შესრულების წესზე. აკრედიტივთან დაკავშირებული ურთიერთობები საკმაოდ კომპლექსური პროცესია, სადაც მონაწილეობს საქონლის მყიდველი - აპლიკანტი, საქონლის გამყიდველი ბენეფიციარი და აკრედიტივის გამხსნელი ბანკი, რომელიც როგორც წესი აპლიკანტის მომსახურე ბანკია.

მეთერთმეტე თავში მოცემულია დოკუმენტური აკრედიტივის შინაარსზე ძირითადი დათქმები, კერძოდ „Red clause” და „Green clause” დათქმა.

მეთორმეტე თავი ეთმობა დოკუმენტური აკრედიტივისა და საბანკო გარანტიის შედარებით ანალიზს. დეტალურად არის მოყვანილი ის ძირითადი საერთო და განმასხვავებელი ფაქტორები, რაც ამ ორ სამართლებრივ ინსტიტუტს გააჩნია.

მეცამეტე თავში განხილულია საერთაშორისო დოკუმენტური აკრედიტივის ფუნდამენტური პრინციპი. დოკუმენტური აკრედიტივის სახელწოდებიდან

გამომდინარე ცალსახაა, რომ აკრედიტივის დროს საქმე გვაქვს დოკუმენტებთან და არა თავად საქონელთან, რის გამოც იხსნება იგი. შესაბამისად პრეზენტირებული დოკუმენტები წარმოადგენენ მთავარ კომპონენტს აკრედიტივის პროცესში და მათი სრულად და ზუსტად წარდგენის შემდგომ ახორციელებს ბანკი თანხის გადახდას.

„დოკუმენტური შესაბამისობის“ პრინციპი ასოცირდება მხოლოდ თანხის გადახდისას შეთანხმებული დოკუმენტაციით ხელმძღვანელობასთან, რაც საერთო მახასიათებელია პირობით საბანკო გარანტიასთან, სადაც დოკუმენტაციის პრეზენტაცია ასევე სავალდებულო ხასიათისაა.

ძირითადი ხარვეზები სწორედ ვლინდება ბანკების მიერ დოკუმენტების შემოწმებასთან დაკავშირებით. ნაშრომში მკაფიოდ არის გამოვლენილი ყველა ის აქტუალური პრობლემები, რაც საერთაშორისო პრაქტიკაში ახასიათებს აკრედიტივის დოკუმენტურ შინაარსს.

ნაშრომის მეთოთხმეტე თავში განხილულია დოკუმენტური აკრედიტივით გათვალისწინებული უფლების ბოროტად გამოყენების რისკი. ეს უკანასკნელი მოიცავს ძირითადი გამონაკლისებს. მაგალითის სახით მოყვანილია სხვადასხვა ქვეყნის სასამართლო პრაქტიკა, რეალური დავები და თავად სასამართლოთა პოზიცია კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით.

2. დოკუმენტური აკრედიტივი, როგორც გადახდის საშუალება და მხარეთა რისკების დაზღვევის საშუალება

სახელშეკრულებო ურთიერთობები მხარეთა ნდობაზე არის დაფუძნებული. ამის მიუხედავად, კრედიტორი, რომელიც პირველი ასრულებს საკუთარ ვალდებულებას, ყოველთვის ვერ განჭვრეტს იმ რისკებს, რომელიც შესაძლოა გამოვლინდეს კონკრეტული სახელშეკრულებო ურთიერთობიდან. კანონიერი ნდობის პრინციპი ყოველთვის არ ამართლებს და მხოლოდ და მხოლოდ მისი არსებობა არ გამორიცხავს

იმ რისკებს, რაც შეიძლება პოტენციურად მოხდეს.² აქედან გამომდინარე, მხარეებს სჭირდებათ კანონიერი ბერკეტი, რომელიც მის რისკებს მინიმუმამდე დაიყვანს. აღნიშნული უზრუნველყოფს კრედიტორის როგორც ქონებრივ ინტერესს, ასევე ვალდებულების ჯეროვან შესრულებას.

სამომავლო რისკების დაზღვევასთან დაკავშირებული სამართლებრივი ღონისძიებები განსაკუთრებით აქტუალურია საერთაშორისო ბიზნეს ურთიერთობებში ჩართული მხარეებისათვის. ეს განსაკუთრებით ეხება საერთაშორისო ნასყიდობის ტრანსაქციებს, როდესაც ძირითადი ხელშეკრულების მხარეებს ერთმანეთთან არა მარტო დისტანციური დაშორება, არამედ სრულიად განსხვავებული შიდა საკანონმდებლო რეგულაციები უქმნის დამატებით ბარიერებს ხელშეკრულების ძირითად პირობებთან დაკავშირებით კონსესუსის მისაღწევად.

მოგეხსენებათ, საერთაშორისო სავაჭრო გარიგებებში ვალდებულების ჯეროვნად შესასრულებლად მხარეთა დაცვის უამრავი მექანიზმი არსებობს. თუმცა, მნიშვნელოვანი განსხვავებებისა, ყველა სამართლებრივი დაცვის საშუალებას, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებას რამდენიმე საერთო მახასიათებელი გააჩნიათ.³ მართალია დოკუმენტური აკრედიტივის პირველადი დანიშნულება არის მისი როგორც გადახდის საშუალებად გამოყენება, მაგრამ მის ფუნქციას ასევე წარმოადგენს ძირითადი ნასყიდობის ხელშეკრულების მხარეთა სამომავლო რისკების დაზღვევა და მათი დაცვა მეორე მხარის მიერ ვალდებულების შეთანხმებული პირობების შესაბამისად შეუსრულებლობის, ან არასათანადოდ შესრულებისაგან. აღნიშნული მახასიათებლები დოკუმენტურ აკრედიტივზე ასევე ვრცელდება.

² ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, 2014, გვერდი 540.

³ ტუტორიალი, „International Credit Security Law,“ ნიუ ვიქენ უნივერსიტეტის სამართლის სკოლა, დავით ათაბეგაშვილი 2020 წელი (04/12/2020).

1. საერთო მიზანი - რისკების მინიმალიზაცია და ვალდებულების ჯეროვანი შესრულება.
2. ძირითადი ხელშეკრულებისგან დამოუკიდებლობა - „უზრუნველყოფის“ ხელშეკრულება ყოველთვის უზრუნველყოფს ძირითად ხელშეკრულებას, თუმცა განცალკევებული და დამოუკიდებელია მისგან და დამოუკიდებელ ვალდებულებებს წარმოშობს.
3. დამატებითი ვალდებულება - დამატებითი ვალდებულებები, რომლებიც მხარეებს გააჩნიათ ერთმანეთის მიმართ, ყოველთვის ემსახურება ძირითადი ხელშეკრულებას. თუმცა, დამატებითი ვალდებულებები ყოველთვის წარმოიშობა უზრუნველყოფის ხელშეკრულებიდან.
4. ავტონომიურობის პრინციპი - უზრუნველყოფის ხელშეკრულება ყოველთვის არის ავტონომიური და არ წარმოადგენს ძირითადი ხელშეკრულების კომპონენტს, თუმცა ამავე დროს, ძირითადი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის გარეშე უზრუნველყოფის ხელშეკრულება ასევე არ წარმოიშობა.
5. დოკუმენტური შესაბამისობა - "დოკუმენტური შესაბამისობა" („documentary compliance“) ჰგავს "მკაცრ შესაბამისობას" (“strict compliance”), მაგრამ ამავე დროს ის უფრო ვიწრო კონცეფციაა. აღნიშნული სტანდარტი დოკუმენტური აკრედიტივის შესრულებაზეც ვრცელდება. კერძოდ, თუ დოკუმენტაცია სწორად არის წარმოდგენილი, მყიდველის მომსახურე ბანკი იხდის ნასყიდობის თანხას. მაგრამ ანგარიშსწორება იმ შემთხვევაში უნდა განხორციელდეს, თუ გამყიდველმა შეასრულა მყიდველის მიმართ ნასყიდობის კონტრაქტით ნაკისრი ვალდებულებები და ეს ფაქტი მყიდველის მომსახურე ბანკისათვის სათანადოდ და სრულად წარდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება.⁴

დოკუმენტური აკრედიტივი უძველესი დროიდან გამოიყენებოდა, როგორც სავაჭრო ურთიერთობებში რისკების მინიმალიზაციის უმნიშვნელოვანესი საშუალება. უძველეს დროში, ვაჭრები მძარცველებისგან თავის დასაცავად მიმართავდნენ ბანკს,

⁴ იქვე.

რომ ერთგვარად მოერგო შუამავლის როლი და ვაჭართა ფინანსები დაცული ყოფილიყო.⁵

ერთიანი ევროპული ბაზრის შექმნა ტრანსნაციონალური სავაჭრო სამართლის მამოძრავებელი ძალაა. "Lex Mercatoria"-ს ჩამოყალიბება, იგივე არაეროვნული იურიდიული სისტემა, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ევროპული კერძო სამართლის განვითარებაში. "Lex Mercatoria", ანუ იურიდიული ვაჭარი, იყო ტრანსნაციონალური სავაჭრო კანონის სახეობა, რომელიც არეგულირებდა სავაჭრო საქმიანობას შუა საუკუნეების ევროპის ბაზრობებსა და პორტებში."

სავაჭრო ურთიერთობების განვითარებასთან ერთად, დაიხვეწა კანონმდებლობა და დღესდღეისობით მსხვილი სავაჭრო შეთანხმებები დოკუმენტური აკრედიტივის გარეშე აღარ იდება. ამ უკანასკნელს განაპირობებს მისი საიმედო ბუნებით და რისკების მინიმალიზაციით. გარიგების მხარეები ერთგვარად დაცულნი არიან ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისგან. რაც უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების დროს.

მსოფლიო ბაზარზე გაზრდილი მოთხოვნის გათვალისწინებით, კომპანიების მიერ საერთაშორისო ტრანზაქციების განხორციელებისას სხვადასხვა სამართლებრივი სივრცეების კვეთის პირობებში, სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა დღის წესრიგში დადგა დოკუმენტური აკრედიტივის რეგულირების დახვეწილი, ერთიანი სამართლებრივი ჩარჩოს არსებობა. აღნიშნულის გათვალისწინებით, საერთაშორისო ბიზნეს და სახელმწიფოთა თანამშრომლობის ორგანიზაციებმა აქტიურად დაიწყეს შესაბამისი წესების შემუშავება და მათი გადამუშავება არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით.

⁵ <https://www.intracen.org/guide-du-cafe/le-risque-et-le-lien-avec-le-credit-commercial/credit-documentaire-lettre-de-credit/>

დოკუმენტური აკრედიტივის გამოყენების ძირითად სფეროს საერთაშორისო კომერცია წარმოადგენს. სწორედ ამ მიზეზის გამო ნაკლებად მოსალოდნელია, რომ დოკუმენტურ აკრედიტივს ჰქონდეს ქვეყნის შიდა ტრანსაქციებში, მით უმეტეს ისეთი პატარა ტერიტორიის მქონე ქვეყანაში როგორც საქართველოა, გამოყენების ფართო მსაშტაბი და სამომავლო განვითარების პერსპექტივა. ეს ბუნებრივიცაა, რადგან აკრედიტივი გამოიყენება ისეთ შემთხვევებში, როდესაც ნასყიდობის საგანის მყიდველამდე ტრანსპორტირება გადაცემა გარკვეულ დროსთან და რისკებთან არის დაკავშირებული, რომელსაც მყიდველი აზღვევს აკრედიტივის მეშვეობით. კერძოდ, თანხის გადახდა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც პრეზენტირებული დოკუმენტებით დადასტურდება რომ გამყიდველმა მხარემ, ბენეფიციარმა შესაბამისი ვალდებულებები შეასრულა. ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც მყიდველი და გამყიდველი საქართველოში, სხვადასხვა ქალაქებში საქმიანობენ და ის რისკები, რომელთა დაზღვევასაც აკრედიტივი ემსახურება ნაკლებად არსებობს. სწორედ ამით აიხსნება საქართველოს შედარებით მცირე სააკრედიტივო შიდასაკანონმდებლო ბაზის არსებობა. მოცემულ სიტუაციაში განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს დოკუმენტური აკრედიტივის, როგორც საერთაშორისო ფონანსური მომსახურების სახის შინაარსი და დანიშნულება, რომლის ცოდნაც საერთაშორისო კომერციის მონაწილე ქართული კომპანიებისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ საერთაშორისო ვაჭრობის სუბიექტები უდიდეს ყურადღებას ანიჭებენ რისკების მინიმალიზაციასა და ცდილობენ, პოტენციური საფრთხის თავიდან არიდებას. ამის გათვალისწინებით, იზრდება ოპერაციების მოცულობა და ოდენობა. კომერციული რისკების თავიდან ასარიდებლად, სხვა უზრუნველყოფის საშუალებებთან ერთად გამოიყენება დოკუმენტური აკრედიტივი.

უზრუნველყოფის საშუალებების უპირველესი მიზანია კრედიტორის ინტერესების დაცვა. ისინი მტკიცე ფუნდამენტს ქმნიან კერძო სამართლებრივი ურთიერთობების სტაბილურობისა და სანდოობისათვის. იმის განცდა, რომ ნაკისრი ვალდებულება

აუცილებლად შესრულდება, ეკონომიკური აქტიურობის, ინვესტიციების მოზიდვის და მდგრადი განვითარების მნიშვნელოვანი წინაპირობაა.⁶

საბაზრო ეკონომიკის პირობებში აუცილებელია ხელშეკრულების მხარეთა შორის ნდობის არსებობა. იგი ეკონომიკური აქტიურობის წინაპირობად შეიძლება იქცეს, თუმცა ნდობის გარდა ხელშეკრულების მხარეებს სხვა დამატებითი გარანტიებიც სჭირდებათ. შესაბამისად, მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებათა არსებობის ერთ-ერთი მიზანი სწორედ ამაში მდგომარეობს.⁷

„მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლება კრედიტორს წარმოეშვება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოვალე დაარღვევს ვალდებულებას. ეს უზრუნველყოფის ღონისძიება აძლევს უფლებას კრედიტორს უზრუნველყოფის გამცემისაგან მოითხოვოს მოთხოვნის დაკმაყოფილება, ან მოთხოვნა უზრუნველყოფის საშუალებაზე მიმართოს და მისი რეალიზაციის საშუალებით დაიკმაყოფილოს კუთვნილი მოთხოვნა.“⁸ მაგრამ ტრადიციული, კლასიკური მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებებისაგან განსხვავებით, დოკუმენტური აკრედიტივის პირველადი დანიშნულება არის მისი არა როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების, არამედ გადახდის საშუალებად გამოყენება. დოკუმენტური აკრედიტივი ამავდროულად უზრუნველყოფს მყიდველის და გამყიდველის მოთხოვნებს და აზღვევს მათ მიერ ძირითადი კონტრაქტით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, ან არასათანადოდ შესრულების რისკებს.

დოკუმენტური აკრედიტივი უზრუნველყოფს მყიდველის და გამყიდველის რისკის მინიმალიზაციას. უფრო კონკრეტულად, ეს გამოიხატება იმაში, რომ დოკუმენტური აკრედიტივი უზრუნველყოფს გამყიდველის წინაშე მყიდველის ვალდებულებას,

⁶ ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის საშუალება, 2012, გვერდი 35.

⁷ ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012, გვერდი 36.

⁸ ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, 2014, გვერდი 540.

გადაიხადოს დოკუმენტური აკრედიტივით განსაზღვრული თანხა ნასყიდობის საგანის ტრანსპორტირების დაწყების, ტრანსპორტირების ან მხარეთა შეთანხმებული შესაბამისი პირობის დამადასტურებელი დოკუმენტების დროულად და ჯეროვნად წარდგენისას. ხოლო მეორეს მხრივ აზღვევს გამყიდველის რისკს, რომ ყველა შემთხვევაში მიიღოს ნასყიდობის საფასური, თუ იგი ნასყიდობის ხელშეკრულებით მის მიერ ნაკისრ ვალდებულებებს ჯეროვნად შეასრულებს. ბანკი იხდის აკრედიტივით განსაზღვრულ თანხას, თუ გამყიდველი მხარე შეასრულებს აკრედიტივით განსაზღვრულ ყველა პირობას. მყიდველის და გამყიდველის ნების გამოვლენის და ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის საფუძველზე, დოკუმენტური აკრედიტივი ორივე მხარის რისკებს აზღვევს და იძლევა ვალდებულებების ორივე მხარეზე თანაბრად გადანაწილების საშუალებას. დოკუმენტური აკრედიტივი შესაძლებელს ხდის საერთაშორისო ოპერაციების ეფექტურ წარმოებასა და რისკების მინიმალიზაციას.

3. დოკუმენტური აკრედიტივის მიზანი და შინაარსი

დოკუმენტური აკრედიტივის მხარეები არიან მყიდველი (იგივე აპლიკანტი), მყიდველის მომსახურე ბანკი,⁹ გამყიდველი და გამყიდველის მომსახურე ბანკი.¹⁰ გამყიდველის მომსახურე ბანკს წარედგინება შესაბამისი დოკუმენტაცია და ის წარმოადგენს ნასყიდობის თანხის მიმღებს. წინამდებარე ნაშრომში დოკუმენტური აკრედიტივის მხარეები ძირითადად სწორედ ამ სახელწოდებებით არიან მოხსენიებულნი.

დოკუმენტური აკრედიტივის მხარეების მოხსენიება ასევე შემდეგი სახელწოდებებითაც არის შესაძლებელი: აპლიკანტი, იგივე მყიდველი - პირი, რომელიც ითხოვს კრედიტს. ცნობილია ასევე იმპორტიორის სახელით (შემდგომში

⁹ Issuing bank.

¹⁰ Advising bank.

იმპორტიორი); ემიტენტი ბანკი - აპლიკანტის დამხმარე ბანკი. სწორედ ბანკ ემიტენტს მიმართავს აპლიკანტი დოკუმენტური აკრედიტივის გახსნის მოთხოვნით; ბენეფიციარი, იგივე გამყიდველი. ცნობილია ექსპორტიორის სახელითაც (შემდგომში ექსპორტიორი); საავიზო ბანკი - ბენეფიციარის/ექსპორტიორის დამხმარე ბანკი. ვალდებულების შესასრულებლად ასევე აუცილებელია გადამზიდი კომპანიის ჩართულობაც.¹¹

თავდაპირველად ხელშეკრულება იდება იმპორტიორსა და ექსპორტიორს შორის. ამავე ხელშეკრულებაში უთითებენ დოკუმენტური აკრედიტივის საშუალებით ანგარიშსწორების შესახებ და აკონკრეტებენ ექსპორტიორის წარსადგენ დოკუმენტების ნუსხას.¹²

ხელშეკრულების დადების ფორმა თავისთავად წერილობითია (მარტივი წერილობითი ფორმა). ყველა აკრედიტივში მკაცრად უნდა იყოს განსაზღვრული გადახდის ფორმა (ხორცილდება იგი განვადებით, ხდება გადახდა დოკუმენტების წარდგენისთავანავე, თუ ნეგოციაციით ან თამასუქის აქცეპტირებით).¹³

UCP 500-ის შესაბამისად, ტერმინი „დოკუმენტური აკრედიტივი ნიშნავს ბანკსა და კლიენტს შორის არსებულ განსაზღვრული სახის შეთანხმებას. ამ შეთანხმების ძალით ბანკი ემიტენტი მოქმედებს თავისი კლიენტ - იმპორტიორის (აკრედიტივის გახსნაზე დავალების მიმცემი) მითითებით და მის მიერ მიცემული ინსტრუქციების საფუძველზე ან საკუთარი სახელით, ვალდებულებას იღებს განახორციელოს გადახდა

¹¹ ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, გამომც. „მერიდიანი“, თბილისი, 2014, გვერდი 280. ციტირება: Международное частное право, 2-е издание, 2005, გვერდი 485.

¹² იქვე.

¹³ იქვე.

ბენეფიციარის სასარგებლოდ. აღსანიშნავია, რომ გადახდა ხორციელდება მხოლოდ და მხოლოდ ბენეფიციარის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შემდეგ.¹⁴

აკრედიტივით ანგარიშსწორების არსი იმაში მდგომარეობს, რომ გამყიდველი იღებს გადახდის მყარ გარანტიას, ხოლო მყიდველი ამის შედეგად იძენს საკუთრების უფლებას გავრცელებულ საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში. აკრედიტივი ამ დროს ატარებს არა მარტო ანგარიშსწორების ფორმის სახეს, არამედ საგადასახადო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალების ფუნქციასაც.¹⁵

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპი, რომელიც მოქმედებს აკრედიტივის ფორმით ანგარიშსწორების დროს, არის შემდეგი: აკრედიტივთან დაკავშირებული ოპერაციის განხორციელებისას ყველა დაინტერესებულ მხარეს შეხება აქვს მხოლოდ დოკუმენტებთან და არა საქონელთან ან მომსახურებასთან.¹⁶

აღნიშნული ასევე გათვალისწინებულია საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ შემუშავებული ყველაზე ახალი უნიფიცირებული წესებით, რომლის მიხედვითაც ბანკებს შეხება აქვთ მხოლოდ დოკუმენტებთან და არა იმ საქონელთან, სერვისთან ან სამუშაოსთან, რომლებთანაც შეიძლება დაკავშირებული იყოს ეს დოკუმენტები.¹⁷

რაც შეეხება დოკუმენტური აკრედიტივის ძირითად ფუნქციებს, გამოიყოფა ოთხი ძირითადი მახასიათებელი.

¹⁴ ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელმწიფოებრივ სამართალი, გამომც. „მერიდიანი“, თბილისი, 2014, გვერდი 281. ციტირება: Международное частное право, 2-е издание, 2005, გვერდი 485.

¹⁵ შენგელია რ., ნინიძე თ., ხეცურიანი ჯ., ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი მეორე, გამომც. „სამართალი“, მუხლი 879, თბილისი, 2001, გვერდი 210.

¹⁶ შენგელია რ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტომი II, გვერდი 209.

¹⁷ ICC Uniform Customs and Practice for Documentary Credits (UCP 600), Publication No 600, 2007, Article 5.

- დოკუმენტური აკრედიტივი ამცირებს ექსპორტიორსა და იმპორტიორს შორის არსებული ნასყიდობის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე საქონლის გადაცემის შემდგომ მყიდველის მიერ თანხის გადახდაზე უარის თქმის რისკს.
- დოკუმენტური აკრედიტივი უზრუნველყოფს იმპორტიორის ფულადი რესურსების აკუმულირებას, ხოლო ექსპორტიორს საშუალებას აძლევს თანხები მიიღოს, სანამ გამცემი ბანკი მოახდენს თანხის გადახდას.
- დოკუმენტური აკრედიტივი ახდენს ვალდებულების ჯეროვნად შესრულების უზრუნველყოფას და თავიდან გვარიდებს პოტენციური არაჯეროვანი შესრულების რისკს.
- დოკუმენტური აკრედიტივი გამყიდველს უნარჩუნებს იმპორტიორისგან თანხის მიღების უფლებას.¹⁸

გარდა ზემოთ თქმულისა, დოკუმენტური აკრედიტივის ფუნქციებში მოიაზრება გარანტია, ფინანსური ინსტრუმენტი და გადახდის მექანიზმი. უფრო კონკრეტულად, გარანტიის მაგვირობას სწევს დოკუმენტური აკრედიტივი. ბანკი, კრედიტის დადასტურების შემთხვევაში თავდების როლს ასრულებს და თანხის გადახდის პირობას იძლევა. ფინანსურ ინსტრუმენტში იგულისხმება ის, რომ მყიდველს შეუძლია გადახდის გადავადება, რაც მხარეთა შეთანხმებაზეა დამოკიდებული. გადახდის მიმოქცევის საკითხს აგვარებს დოკუმენტური აკრედიტივი. აღნიშნულს აგვარებს დოკუმენტური აკრედიტივის ტრანსაქციის მონაწილეობა ბანკი და მყიდველის ანგარიშიდან შესაბამისი თანხის გადარიცხვას ახორციელებს.¹⁹

¹⁸ ლიპარტია ნ., „საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ბენეფიციარის მოთხოვნის მართვა და სამართლებრივი შედეგები,” სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, 2018, გვერდი 62. იხ. ციტირება: Alavi H, Documentary Letters of Credit, Legal Nature and Sources of Law, 2016, p. 103.

¹⁹ Sinberg k., UCP 600 Transport Documents, 2ndEd edition, 2015, გვერდი 5.

4. დოკუმენტური აკრედიტივის ისტორიული განვითარება

იმისათვის, რომ დავადგინოთ თუ რატომ გახდა დოკუმენტური აკრედიტივი, როგორც საერთაშორისო ფინანსური ინსტრუმენტი ასე ფართოდ გავრცელებული და მნიშვნელოვანი საერთაშორისო კომერციულ ურთიერთობებში ჩართული პირებისათვის, მნიშვნელოვანია გავარკვიოთ მისი ისტორიული წარმოშობა და განვითარების საფეხურები.

აკრედიტივი ლათინური წარმოშობის სიტყვაა (accredo) და ნიშნავს - „ვენდობი“.²⁰ თავდაპირველად, იგი გახლდათ ორნაწილიანი შეთანხმება, სადაც შეძლებული პირი ვაჭარს წარუდგენდა გადახდის შესახებ წერილობით დაპირებას, რომლის საფუძველზეც ვაჭარი კონკრეტულ პირის გადასცემდა საქონელს.²¹

ზოგიერთი მეცნიერის აზრით, აკრედიტივების წარმოშობის ისტორია სათავეს უფრო ადრინდელ მსოფლიოში იღებს, კერძოდ ძველ ეგვიპტესა და ბაბილონში, რომელთაც კარგი საბანკო სისტემა ჰქონდათ. რუფუს ტრიმბლი ახსენებს ბაბილონის თიხის თამასუქს 3000 წლით დათარიღებულს, რომელიც ფილადელფიის უნივერსიტეტის მუზეუმში ინახება. ეს უკანასკნელი ითვალისწინებდა თანხისა და პროცენტის დაფარვას კონკრეტულ თარიღში.²²

რომის იმპერიის დაშლისთანავე შემცირდა ბანკების და სავაჭრო ქვეყნებს შორის თანაშრომლობის როლი. მე-12 და მე-13 საუკუნის დასაწყისში ბანკები გენუაში, ვენეციაში, ფლორენციასა და ევროპის სხვა ქალაქებში ხელახლა შეიქმნა. ამ დროს ვაჭრებს უნდა აღმოეფხვრათ ორი ძირითადი პრობლემა: (ა) ოქროთი მოგზაურობა

²⁰ გაბისონია ზ., საბანკო სამართალი, გამომც. „მერიდიანი,“ თბილისი, 2012, გვერდი 215.

²¹ Christopher Leon, Letters of Credit: a Primer, 1986, გვერდი 433.

²² Rufus James Trimble, The Law Merchant and the Letters of Credit, In 61 Harvard Law Review, 1948, გვერდი 981.

ძალიან საშიში იყო; და (ბ) კომერციამ გამოიმუშავა ვალუტა, რომელიც არ იყო საკმარისი ტრეიდერების მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.²³

ყველაზე ადრეული საშუალებები, რომლებითაც ვაჭრები ცდილობდნენ ამ პრობლემების მოგვარებას, იყო გადასახადები და აკრედიტივები. მათი ადრეული ისტორიის განმავლობაში გადახდის ეს ინსტრუმენტები მოქმედებდა დღევანდელი მსგავსი გზით.²⁴

შუასაუკუნეებში, ვაჭრობა ქარავნის გავლით რაიმე სახის დოკუმენტური წერილების გარეშე შეუძლებელი იყო. აკრედიტივის ადრეულ ხანებში განვითარების განსამტკიცებლად, პროფესორ დოლანს მოჰყავს შემდეგი მაგალითი:

”ფლორენციელმა ვაჭარმა, რომელმაც ამსტერდამის ვაჭრისგან შეიძინა ბამბა, შეეძლო ფლორენციაში ჰოლანდიელი ვაჭრის აგენტისთვის გაეცა ბილეთი, რომლითაც მესამე პირს (მიმღებს) უნდა გადაეხადა ბამბაზე გადახდილი თანხა. აგენტს, რომელმაც მატყლის საფასური გადაიხადა, შეეძლო ევროპაში ან ზღვის გავლით კომერციულ ცენტრში გამგზავრებულიყო, სადაც შეხვდებოდა მიმღებს და სთხოვდა თანხის გადახდას.”²⁵

მიმღები გადაიხდიდა თანხას ან (1) ოქროში (თუმცა ასეთი გადახდა იშვიათად ხდებოდა); (2) „კლირინგის“ საშუალებით, ანუ სხვა დრაჟებზე ჰოლანდიელი ვაჭრის მიერ გამოყოფილი თანხების ანაზღაურებით; ან (3) დრაფტის მიღებით და აგენტისთვის დაბრუნებით. მესამე შემთხვევაში, მფლობელს გააჩნდა ადვილად გასაყიდი ინსტრუმენტი, რომლის გამოყენებაც მას შეეძლო სავაჭროდ.”²⁶

²³ Zsuzsanna Tóth, *Documentary Credits in International Commercial Transactions with special focus on Fraud* Fule, Athen/Budapest 2006, გვერდი 1.

²⁴ იქვე

²⁵ იქვე.

²⁶ J.F.Dolan, *The Law of Letters of Credit* (1983) Boston, გვერდი 3.

პროფესორი დე როვერი ერთ-ერთ ნაშრომში ეხება აკრედიტივებს, რომლებიც მედიჩი ბანკმა გამოიყენა ბრიუგეში და იტალიაში 1385-1401 წლებში. წერილების სხვადასხვა დებულება საოცრად ჰგავს თანამედროვე დოკუმენტურ აკრედიტივებს. კერძოდ ის, რომ (ა) გადახდები უნდა განხორციელდეს დასახელებული ბენეფიციარის მოთხოვნის შესაბამისად; (ბ) გადახდები არ უნდა აღმატებოდეს კონკრეტულ თანხას; (გ) გადამხდელმა უნდა მიიღოს ქვითრები ბენეფიციარისგან; (დ) გადახდა განხორციელდება ემიტენტის ანგარიშზე გადამხდელთან; ან (ე) გადამხდელის წერილობითი შეტყობინების მიღებისთანავე თანხის გადახდის შესახებ, ემიტენტმა უნდა შეაფასოს გადამხდელის ანგარიში.²⁷

მე-17 საუკუნისათვის დოკუმენტური აკრედიტივები გავრცელებული ფინანსური ინსტრუმენტები იყო როგორც ევროპის კონტინენტზე, ასევე ინგლისში. ამ დროს ისინი უფრო სამოგზაურო ჩეკს ჰგავდნენ.

მე-19 საუკუნისათვის ბრიტანულ ბანკებს ჰქონდათ ვირტუალური მონოპოლია საკრედიტო წერილების გაცემაზე. ეს განპირობებული იყო იმით, რომ მსოფლიო ვაჭრობაში ფუნტი სტერლინგი იყო ყველაზე მიღებული ვალუტა და ლონდონის ბანკირებმა მოიპოვეს წამყვანი პოზიცია საერთაშორისო ფინანსების სფეროში.²⁸

შეერთებულ შტატებში დოკუმენტური აკრედიტივი წარმოიშვა საწარმოთა შეჯიბრების პირობებში, რამაც გამოიწვია ფინანსური დაპირებების გაცემა გადაზიდვების საპირწონედ.²⁹ მწარმოებლების მზარდმა რაოდენობამ და მათმა ურთიერთობამ უცხოელ მოვაჭრეებთან, საბანკო საქმიანობის სპეციალიზაციამ და

²⁷ Rufus James Trimble, The Law Merchant and the Letters of Credit, In 61 Harvard Law Review, 1948, გვერდი 985.

²⁸ Zsuzsanna Toth, Documentary Credits in International Commercial Transactions with speciall focus on Fraud Fule, Athen/Budapest 2006, გვერდი 2.

²⁹ Boris Kozolchyk, The Legal Nature of the Irrevocable Commercial Letter of Credit, In 14 American Journal of Comparative Law, 1965, გვერდი 395.

ტექნოლოგიურმა განვითარებამ, როგორცაა ტელეგრაფის უფრო ხშირი გამოყენება კონტრაქტების პირობების დასადგენად, ხელი შეუწყო აკრედიტივების მზარდ გამოყენებას.³⁰

პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ დაარღვია კარგად დამკვიდრებული და სანდო სავაჭრო კავშირები, რომელიც არსებობდა მთელ მსოფლიოში. ვაჭრობის გასაგრძელებლად ვაჭრები იძულებულნი გახდნენ შეექმნათ ახალი კავშირები ფირმებთან, რომლებიც ხშირად უცნობი იყვნენ ან/და არ ენდობიან. ეს გარემოებები ხელსაყრელი იყო აკრედიტივების ფართო გამოყენებისათვის, რამაც მოიწვია სანდო გადამხდელის, ბანკის, როლი, სავაჭრო ურთიერთობებში. 1950-იანი წლებისათვის აკრედიტივებმა მოიპოვეს დომინანტური მდგომარეობა შეერთებული შტატების შიდა კომერციაში და ასევე ფართოდ გამოიყენეს საერთაშორისო ტრანზაქციებში.³¹

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, აკრედიტივების გამოყენება მსოფლიო ვაჭრობაში უცვლელი დარჩა. მიუხედავად იმისა, რომ დროდადრო ვაჭრობის დაფინანსების ალტერნატიული საშუალებების წარმოქმნა ჩრდილავდა აკრედიტივის გამოყენებას, ის „ადმოჩნდა მოქნილი ინსტრუმენტი, რომელიც შეიძლება ადვილად იქნას გამოყენებული საერთაშორისო ვაჭრობის პირობების ცვალებად მოთხოვნილებებზე“.³²

5. დოკუმენტური აკრედიტივის სამართლებრივი რეგულირება

5.1 ICC-ის უნიფიცირებული წესების ანალიზი

საერთაშორისო სავაჭრო პალატის უნიფიცირებული წესები, რეგულირების მხრივ 1978 წლამდე ერთმანეთისაგან არ ასხვავებდა დოკუმენტურ აკრედიტივსა, საბანკო

³⁰ იქვე.

³¹ Rolf Eberth, E.P.Ellinger, Deferred Payment Credits: A Comparative Analysis of Their Special Problem, In Journal of Maritime Law and Commerce, Vol 14. No.3, ივლისი 1983, გვერდი 387.

³² იქვე.

გარანტიას და ბანკის მიერ გაცემულ სხვა ნებისმიერ მოთხოვნის უზრუნველყოფის საშალებას. დოკუმენტური შინაარსის უნიფიცირებული წესებისა და პრაქტიკის (შემდგომში UCP) მიხედვით ერთგვაროვნად ხდებოდა ყველა ფინანსური ინსტრუმენტის სარეკომენდაციო დონეზე რეგულირება. კერძოდ, ითვალისწინებდა რა დოკუმენტაციის პრეზენტაციის აუცილებელ პირობას.³³

UCP-ის პირველი მუხლის თანახმად „ეს წესები არეგულირებს და ეხება ნებისმიერ დოკუმენტურ აკრედიტივს, როდესაც აკრედიტივის შინაარსი გამოხატავს, რომ ის არის ამ წესების საგანი.“ აღნიშნული დოკუმენტის მე-2 მუხლი განსაზღვრავს აკრედიტივს, როგორც „ნებისმიერი შეთანხმება, როგორც არ უნდა იყოს დასათაურებული ან აღწერილი, რომელიც არის გამოუხმობადი და წარმოადგენს საბოლოო ვალდებულებას გამცემი ბანკისა გადაიხადოს მოთხოვნილი თანხა.“³⁴

UCP-ის არ გააჩნია კანონის ძალა, ვინაიდან არ არის სამართლის ძალით მოქმედი კოდექსი ან საერთაშორისო კონვენცია. მიზანშეწონილია UCP-ის, როგორც სარეკომენდაციო შინაარსის უნიფიცირებული წესების ჩართვა აკრედიტივის გაფორმების დროს, როგორც მარეგულირებელი აქტისა. როგორც მარეგულირებელი კანონმდებლობა, აკრედიტივს დროს მისი მოხსენიება ხდის მას სავალდებულოს და დაკავშირებულს შეთანხმების პირობებთან. აკრედიტივში UCP - ის, როგორც მარეგულირებელი დოკუმენტის მითითება სავალდებულო არ არის, თუმცა მრავალი წლის საერთაშორისო სავაჭრო პრაქტიკიდან და გამოცდილებიდან გამომდინარე, მხარეების მიერ სწორედ UCP-ის მითითება ხდება სავალდებულო მარეგულირებელ აქტად მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების აკრედიტივთა უმრავლესობაში,

³³ ათაბეგაშვილი დ., „საგარანტიო ვალდებულების დამოუკიდებლობის ხარისხი და მისი პირობითობის დამღვევის მიზანშეწონილობა,“ სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ნიუ ვიქენ უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, 2018, გვერდი 44.

³⁴ Uniform Customs and Practice for Documentary Credits (UCP 600), issued by International Chamber of Commerce, Article 2.

ვინაიდან იგი წარმოადგენს ყველაზე სრულყოფილ დოკუმენტს აკრედიტივის რეგულირებისთვის.³⁵

საერთაშორისო სავაჭრო პალატა (ICC), რომლის სათაო ოფისი პარიზში მდებარეობს, არის უმთავრესი ტენდენციების და პრაქტიკის განმსაზღვრელი საერთაშორისო ვაჭრობაში. საერთაშორისო სავაჭრო პალატას გარდა UCP -სა ასევე მიღებული აქვს საერთაშორისო გადაზიდვების განმსაზღვრელი დოკუმენტი INCOTERMS, ასევე მოდელური კონტრაქტები საერთაშორისო ვაჭრობაში, რომლებიც ფართოდ გამოიყენება მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. საერთაშორისო სავაჭრო პალატა - არის არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლის დამფუძნებლებსაც წარმოადგენენ მსოფლიოს 140 ქვეყნიდან ათასობით ბიზნეს ორგანიზაციები და ასოციაციები. ICC-ი ხელს უწყობს მსოფლიოში ღია ბაზარზე საქონლისთვის და მომსახურებისთვის ვაჭრობის და ინვესტიციების განხორციელებას. მის ერთ-ერთ მთავარ ორგანოს წარმოადგენს საარბიტრაჟო საერთაშორისო სასამართლო, რომელიც წარმოადგენს მსოფლიოს ყველაზე ავტორიტეტულ ორგანოს საერთაშორისო ვაჭრობის დავების განხილვაში. ICC - ის გაეროსთან პირველი კლასის საკონსულტაციო ორგანოს სტატუსი აქვს, რომელიც უზრუნველყოფს თანამედროვე ვაჭრობაში განვითარებულ ტენდენციების და პრობლემატიკის გზების გადაჭრას.³⁶

დოკუმენტური აკრედიტივების შესახებ 1933 წლის N82 უნიფიცირებული წესები და პრაქტიკა ICC-ის პირველ ნაბიჯს წარმოადგენდა უნიფიკაციის პროცესში. დოკუმენტური აკრედიტივების გარდა, ეს რეგულაცია ასევე ეხებოდა ბანკის ან სხვა საფინანსო დაწესებულების მიერ გაცემულ ყველა იმ მოთხოვნის უზრუნველყოფის

³⁵ Nelson Enonchong, The Indipendence Principle of Letters of Credit and Demand Guarantees, Oxford University Press, oxford, UK, 2011, გვერდი 13.

³⁶ Roy Goode, Herbert Kronke, Ewan McKendrick, Transnational Commercial Law, second edition, oxford university press, oxford, UK, 2015, გვერდი 328.

საშუალებას, რომელიც ითვალისწინებდა ბენეფიციარის ან სხვა დამკვეთის მიმართ, პრინციპალის ან სხვა ანგარიშვალდებული პირის სამომავლოდ შესასრულებელი ვალდებულებების უზრუნველყოფას.³⁷

N82 უნიფიცირებული წესები აქცენტს აკეთებდა დოკუმენტაციის პრეზენტაციის სავალდებულო მოთხოვნაზე. მოთხოვნის წარდგენის ნამდვილობასთან დაკავშირებით, მოცემული პუბლიკაციით დადგინდა ისეთი კრიტერიუმები, როგორებიცაა მოთხოვნის წარდგენა გადადების/დაგვიანების გარეშე, შესრულების ადგილისა და ბანკის ადგილმდებარეობის ურთიერთდაშორება, სამუშაო საბანკო საათების დასრულების შემდეგ მოთხოვნის წარდგენის დაუშვებლობა. მაგრამ ბენეფიციარის მოთხოვნა ყველა შემთხვევაში უკავშირდებოდა დოკუმენტაციის პრეზენტაციას.³⁸

დოკუმენტური აკრედიტივის საერთაშორისო ბუნებიდან გამომდინარე, სამართლებრივი ურთიერთობები, რომლებშიც ისინი მონაწილეობდნენ, ექცეოდნენ სხვადასხვა ქვეყნების და, შესაბამისად, სხვადასხვა იურისდიქციის ფარგლებში. დოკუმენტური აკრედიტივის საერთაშორისო გამოყენებადობამ გამოიწვია ის, რომ დაიწყო საბანკო პრაქტიკის სტანდარტიზაციის მცდელობები. სწორედ ასეთი მცდელობების შედეგს და აკრედიტივთან დაკავშირებით შექმნილ ყველაზე მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს UCP.³⁹

ICC-ს მიერ მიღებულ უნიფიცირებული ჩვეულებებს და პრაქტიკას წარმოადგენს შემდეგი უნიფიცირებული წესები: 1933 წელს (UCP 82), 1951 წელს (UCP 151), 1962 წელს

³⁷ ათაბეგაშვილი დ., „საგარანტიო ვალდებულების დამოუკიდებლობის ხარისხი და მისი პირობითობის დამღვევის მიზანშეწონილობა,” სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ნიუ ვიქენ უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, 2018, გვერდი 45.

³⁸ იქვე.

³⁹ Schulze, W. G., ‘The UCP 600: A New Law Applicable to Documentary Letters of Credit’, South African Mercantile Law Journal, Vol. 21, Issue 2 (2009), გვერდი 230.

(UCP 222), 1974 წელს (UCP 290), 1983 წელს (UCP 400), 1994 წელს (UCP 500), ხოლო უკვე 2007 წელს გამოვიდა უახლესი პუბლიკაცია - UCP 600. ამ უკანასკნელი პუბლიკაციის გამოშვების მიზეზი იყო ის, რომ მისი წინა რედაქცია (UCP 500) წლების განმავლობაში მოქმედებდა უცვლელი სახით და ამ პერიოდში წარმოიშვა მთელი რიგი კონფლიქტური ინტერპრეტაციები, რომლების საჭიროებდნენ გადახედვას. სწორედ ამიტომ, ICC-ს საბანკო კომისიას დაევალა UCP 500-ის გადასინჯვაზე მუშაობა. გადასინჯვის პროცესში მონაწილეობდა საბანკო კომისიის მიერ სპეციალურად შემქნილი სარედაქციო და საკონსულტაციო ჯგუფები, რომლებიც სამ წელზე მეტ ხანს მუშაობდნენ ამ საკითხზე. საბოლოოდ, UCP 600-ის ტექსტი ერთსულოვნად მიიღო საბანკო კომისიამ კენჭისყრით 2006 წლის 25 ოქტომბერს, ხოლო ძალაში შევიდა 2007 წლის პირველ ივნისს.⁴⁰

UCP-ის N151 რევიზირებული ვერსიით, 1933 წლის N82 უნიფიცირებულ წესებთან მიმართებაში არაფერი არ შეცვლილა. მოცემულმა უნიფიცირებულმა წესებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ბენეფიციარი გამყიდველის მომსახურე ბანკის მხრიდან დოკუმენტაციის წარდგენის სავალდებულო პირობა, ხოლო მყიდველის მომსახურე ბანკის მიერ პრეზენტაციის შედეგად მიღებული დოკუმენტაციის შესწავლის ვალდებულება.⁴¹

შემდგომ შემუშავებული UCP-ს ყველა შემდგომი რევიზირებული ვერსიით, კერძოდ, 1962 წლის N222 პუბლიკაციით, 1974 წლის N290 პუბლიკაციით, 1983 წლის N400 პუბლიკაციით, 1993 წლის N500 პუბლიკაციით და 2007 წლის N600 პუბლიკაციით. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ შეიცვალა საქონლის დაზღვევასა და მიღებასთან, წარდგენილი მოთხოვნის შემოწმების ვადებთან დაკავშირებული მთელი რიგი

⁴⁰ Schulze, W. G., 'The UCP 600: A New Law Applicable to Documentary Letters of Credit', South African Mercantile Law Journal, Vol. 21, Issue 2 (2009), გვერდი 231.

⁴¹ ათაბეგაშვილი დ., „საგარანტიო ვალდებულების დამოუკიდებლობის ხარისხი და მისი პირობითობის დამღვეის მიზანშეწონილობა,“ სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ნიუ ვიქენ უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, 2018, გვერდი 45.

დებულებები და წესები, ყველა ეს უნიფიცირებული წესი ადგენდა ემიტენტის მომსახურე ბანკის პასუხისმგებლობის ფარგლებს, გადაეხადა აკრედიტივით გათვალისწინებული თანხა მხოლოდ დოკუმენტაციის სათანადო პრეზენტაციის შემთხვევაში. N500 UCP-ის მიხედვით, ძირითადი კონტრაქტისაგან ავტონომიურობის პრინციპის მიუხედავად, თანხის გადახდისათვის დოკუმენტაციის წარდგენა აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენდა, თუნდაც ამ პრეზენტაციას მტკიცებულების ძალა არ ჰქონოდა. N600 UCP132 ასევე აქცენტს აკეთებს, რომ ბანკის პასუხისმგებლობა შემოიფარგლა დოკუმენტაციის შესაბამისობის შემოწმებით აკრედიტივის პირობებთან. მას არ ეკისრებოდა ძირითადი ვალდებულებების შესრულების ან დარღვევის დეტალების შესწავლის ვალდებულება.⁴²

შესაბამისად, UCP-ის ყველა აღნიშნული რედაქცია, გარკვეული ცვლილებების და ტექსტობრივი მოდიფიკაციის მიუხედავად, დოკუმენტური აკრედიტივის შესრულების წესად ითვალისწინებდა გამყიდველის მომსახურე ბანკის მიერ მყიდველის მომსახურე ბანკისათვის შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენას. ხოლო მყიდველის მომსახურე ბანკი მხოლოდ ამ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით იღებდა ნასყიდობის საფასური თანხის გადახდის ან არგადახდის შესახებ გადაწყვეტილებას.

UCP 600 არის ICC-ს უახლესი პუბლიკაცია და მასში არის გამოსწორებული ის ხარვეზები, რომლებიც ჰქონდა მის წინამორბედ რედაქციებს, სწორედ ამ დოკუმენტზე დაყრდნობით შემოგთავაზებთ შემდეგ ქვეთავებში იმ რეკომენდაციებს, რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვანი იქნება დოკუმენტური აკრედიტივის მომწესრიგებელი ქართული საკანონმდებლო მოდელის შექმნისას. მაგრამ როგორც აღინიშნა, დოკუმენტაციის პრეზენტაციის ფარგლებში ანგარიშსწორების წესი UCP

⁴² ათაბეგაშვილი დ., „საგარანტიო ვალდებულების დამოუკიდებლობის ხარისხი და მისი პირობითობის დამღვეის მიზანშეწონილობა,” სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ნიუ ვიქენ უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, 2018, გვერდი 51.

N600-ით უცვლელად არის დატოვებული და დოკუმენტური აკრედიტივის შესრულების მთავარ მახასიათებელს წარმოადგენს.

ნებისმიერი სამართლებრივი აქტისათვის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს დოკუმენტი ატარებს საერთაშორისო ხასიათს, მნიშვნელოვანია, რომ მას ჰქონდეს ტერმინთა განმარტების მუხლი. აღნიშნული ხელს უწყობს იმას, რომ დოკუმენტის ტექსტი იყოს ორივე მხარისათვის უფრო მარტივად გასაგები და მაქსიმალურად მოკლედ გადმოცემული. UCP-ს პუბლიკაციებს შორის 2007 წლის პუბლიკაცია იყო პირველი, რომელშიც ტერმინთა განმარტებას დაეთმო ცალკე თავი.⁴³ სწორედ ამან გამოიწვია ის, რომ მუხლების რაოდენობა საგრძნობლად შემცირდა მის წინამორბედებთან შედარებით. მაგალითად, თუკი UCP 500 შედგებოდა 49 მუხლისაგან,⁴⁴ UCP 600-ში შედის მხოლოდ 39 მუხლი.⁴⁵

ისევე როგორც URDG 758-ის შემთხვევაში, UCP 600-ში გვხვდება გარკვეული ახალი ტერმინები. მაგალითად, მხარეს, რომლის მოთხოვნითაც გაიცემა დოკუმენტური აკრედიტივი UCP უწოდებს „აპლიკანტს“. ასევე „აპლიკანტად“ მოიხსენიებს კლიენტს, აკრედიტივის გამხსნელს, UCP 500.⁴⁶

UCP 600-ში შეტანილი კიდევ ერთი სიახლე იყო ის, რომ იგი აღარ ვრცელდებოდა გამოთხოვად დოკუმენტურ აკრედიტივზე, რადგან, ზოგადად, მას ძალიან მცირე რაოდენობა იყენებდა. ახალი რედაქციით, აკრედიტივი არის გამოუთხოვადი იმ შემთხვევაშიც, თუ ამის შესახებ პირდაპირი მითითება არ იქნება მასში.⁴⁷

⁴³ ICC Uniform Customs and Practice for Documentary Credits (UCP 600), Publication No 600, 2007. Article 2.

⁴⁴ ICC Uniform Customs and Practice for Documentary Credits (UCP 500), Publication No 500, 1993.

⁴⁵ ICC Uniform Customs and Practice for Documentary Credits (UCP 600), Publication No 600, 2007.

⁴⁶ ICC Uniform Customs and Practice for Documentary Credits (UCP 500), Publication No 500, 1993, Article 2.

⁴⁷ ICC Uniform Customs and Practice for Documentary Credits (UCP 600), Publication No 600, 2007, Article 3.

დოკუმენტური აკრედიტივის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თვისება არის მისი დამოუკიდებლობა ძირითადი ხელშეკრულებისაგან, რომელსაც „ავტონომიის პრინციპს“ უწოდებენ.⁴⁸ აღნიშნული ასევე გათვალისწინებული იყო UCP 500-შიც, თუმცა, UCP 600-ის ტექსტი ამ ნაწილში არის უფრო მკაფიო და ზუსტი.⁴⁹ UCP 600-ის მიხედვით, დოკუმენტური აკრედიტივი, თავისი ბუნებით, არის ძირითადი გამომდინარეობდეს, განალკვევებული ტრანზაქცია.⁵⁰ იგივე მუხლი განსაზღვრავს, რომ ბანკებს არ ეხებათ ან არ არიან შეზღუდულები ძირითადი ხელშეკრულებით იმ შემთხვევაშიც, თუკი აკრედიტივში პირდაპირ იქნება მითითება მასზე.⁵¹

დოკუმენტური აკრედიტივის დამოუკიდებლობის პრინციპი კიდევ ერთხელ არის გამოვლენილი UCP 600-ის მე-5 მუხლში, რომლის მიხედვითაც, მყიდველების მომსახურე ბანკებს შეეხება აქვთ მხოლოდ დოკუმენტებთან და არა იმ საქონელთან, სერვისთან ან სამუშაოსთან, რომლებთანაც შეიძლება დაკავშირებული იყოს ეს დოკუმენტები.

UCP 500 ში გათვალისწინებული იყო, რომ ყველა მხარეს კავშირი ჰქონდა მხოლოდ დოკუმენტაციასთან. თუმცა, UCP 600-ზე მუშაობის პროცესში სარედაქციო ჯგუფმა გადაწყვიტა, რომ რეალურად მხარეებს მხოლოდ დოკუმენტაციასთან შეეხება არ აქვთ და მაგალითად, ბენეფიციარი ასევე კავშირშია საქონელთან (სერვისთან ან მომსახურებასთან). შესაბამისად, აღნიშნული ჩანაწერი იყო არასწორი და UCP 600-ის მე-5 მუხლში მხოლოდ ბანკები დარჩა მოხსენიებული.⁵²

⁴⁸ Schulze, W. G., ‘The UCP 600: A New Law Applicable to Documentary Letters of Credit’, South African Mercantile Law Journal, Vol. 21, Issue 2 (2009), გვერდი 233.

⁴⁹ ICC Uniform Customs and Practice for Documentary Credits (UCP 500), Publication No 500, 1993, Article 3 (a).

⁵⁰ ICC Uniform Customs and Practice for Documentary Credits (UCP 600), Publication No 600, 2007, Article 4 (a).

⁵¹ Schulze, W. G., ‘The UCP 600: A New Law Applicable to Documentary Letters of Credit’, South African Mercantile Law Journal, Vol. 21, Issue 2 (2009), გვერდი 235.

⁵² Schulze, W. G., ‘The UCP 600: A New Law Applicable to Documentary Letters of Credit’, South African Mercantile Law Journal, Vol. 21, Issue 2 (2009), გვერდი 239.

5.2 საქართველოს კანონმდებლობის ანალიზი

საქართველოს სამოქალაქო კოდექსიც ითვალისწინებს აკრედიტივის განმარტებას, რომელიც მსგავსია უნიფიცირებული წესების მიერ დადგენილ განმარტებასთან. კერძოდ, „აკრედიტივის გახსნით საკრედიტო დაწესებულება (გამხსნელი ბანკი) ვალდებულია, კლიენტის (აკრედიტივის დავალების მიმცემის) თხოვნითა და განკარგულებით, მითითებული დოკუმენტის სანაცვლოს გადაუხადოს მესამე პირს (რემიტენტს) ამ პირის ბრძანებით ფულადი თანხა, ან გაანადლოს რემიტენტისაგან გადმოპირებული თამასუქი, მოახდინოს აქცეპტი, ანდა დაავალოს სხვა ბანკს ამ ოპერაციის განხორციელება, თუ შესრულდა საკრედიტო პირობები“.⁵³

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მხოლოდ ორ მუხლს უთმობს დოკუმენტურ აკრედიტივს - 876-ე და 878-ე მუხლებს. სწორედ სამოქალაქო კოდექსის 876-ე მუხლი იძლევა დოკუმენტური აკრედიტივის ცნებას: “1. აკრედიტივის გახსნით საკრედიტო დაწესებულება (გამხსნელი ბანკი) ვალდებულია, კლიენტის (აკრედიტივის დავალების მიმცემის) თხოვნითა და განკარგულებით, მითითებული დოკუმენტის სანაცვლოდ გადაუხადოს მესამე პირს (რემიტენტს) ამ პირის ბრძანებით ფულადი თანხა, ან გაანადლოს რემიტენტისაგან გადმოპირებული თამასუქი, მოახდინოს აქცეპტი, ანდა დაავალოს სხვა ბანკს ამ ოპერაციის განხორციელება, თუ შესრულდა საკრედიტო პირობები. 2. კლიენტი ვალდებულია გადაიხადოს შეთანხმებული საზღაური.”

აღნიშნული ნორმა ადგენს დოკუმენტური აკრედიტივის დეფინიციასა და განსაზღვრავს მასში მონაწილე სუბიექტებს, მათ უფლება-მოვალეობებსა და დოკუმენტური აკრედიტივით ანგარიშსწორების ძირითად ეტაპებს. სავაჭრო ურთიერთობებში მრავალი ხელშეკრულების დადების, შესრულების ადგილი და

⁵³ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 876-ე მუხლის პირველი ნაწილი.

მხარეთა ადგილსამყოფელი არ ემთხვევა ერთმანეთს. ეკონომიკური ურთიერთობების წარმატებით განხორციელება სხვადასხვა ფაქტორით არის განპირობებული, რომლითაგან ყველაზე მნიშვნელოვანი ანგარიშსწორების მონაწილეთა გადახდისუნარიანობაა. მაგალითად, ნასყიდობის ხელშეკრულებაში გამყიდველი ფიქრობს, რომ თუ მყიდველი წინასწარ არ გადაუხდის ნასყიდობის თანხას და ისე გაუგზავნის მას ნაყიდ საქონელს, შესაძლოა, მყიდველმა თანხის გადახდა დააგვიანოს, არასრულად გადაიხადოს ან სულაც უარი თქვას ანგარიშსწორებაზე. მყიდველი კი ფიქრობს, რომ თუ წინასწარ გადაუხდის თანხას გამყიდველს, შესაძლოა ნაყიდი საქონელი უხარისხო, ნაკლები რაოდენობით ან/და საერთოდ ვერ მიიღოს. მხარეთა ვალდებულებების და პასუხისმგებლობის მოცულობა პირდაპირ უკავშირდება ანგარიშსწორების წესზე შეთანხმებას.⁵⁴

დოკუმენტურ აკრედიტივზე შეთანხმების დროს ბანკი ახდეს ნასყიდობის ფასის (ან სხვა ხელშეკრულების საზღაურის) გადახდას აკრედიტივის დავალების მიმცემის (მყიდველი ან სხვა) თხოვნით ბენეფიციარის (გამყიდველის ან სხვა) სასარგებლოდ დოკუმენტების წარმოდგენის და მათი შემოწმების შემდგომ ან ანაღებს გადმოპირებულ თამასუქებს, ახდენს მათ აქცეპტირებას. ამდენად, ბანკი აკრედიტივის ფორმით იღებს ვალდებულებას კლიენტის წინაშე, რომ იკისრებს პასუხისმგებლობას მისი კრედიტორის სასარგებლოდ. ანუ აკრედიტივის ფორმით უშუალო გადამხდელის როლს კისრულობს უფლებამოსილი ბანკი, რაც კრედიტორისათვის ხელშეკრულებით შეთანხმებული საზღაურის მიღების დამატებით გარანტიას წარმოადგენს. ეს გახლავთ ბანკის აბსტრაქტული ვალდებულება.⁵⁵

⁵⁴ თ. ზამბახიძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, 876-ე მუხლი. <http://www.gccc.ge/წიგნი-მესამე/კერძო-ნაწილი/კარი-i-სახელშეკრულებო-სამ/თავი-xxi-საბანკო-მომსახურებ/iv-დოკუმენტალური-სასაქონლ/მუხლი-876/>

⁵⁵ იქვე.

საქართველოს მიმდინარე კანონმდებლობის მიხედვით, „თუ სხვა რამ არ არის შეთანხმებული, მხარეთა უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება საერთაშორისო მიმოქცევაში დოკუმენტური აკრედიტივის ან დოკუმენტური ინკასოს დამკვიდრებული ჩვეულებების მიხედვით.“⁵⁶

საქართველოში 2017 წელს დაცულია დისერტაცია, რომლის მიხედვითაც: „მთავარი პრობლემა, რაც საქართველოში დოკუმენტური აკრედიტივის ხელშეკრულების განვითარებას ხელს უშლის, არის მისი ძალზედ მწირი სამართლებრივი რეგულირება. მისი გამოყენებადობა და მარეგულირებელი კანონმდებლობა სცილდება კონკრეტული ქვეყნის საზღვრებს. სწორედ ამიტომაცაა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 878-ე მუხლი (საერთაშორისო მიმოქცევის ჩვეულებები), პირდაპირ მიუთითებს, რომ თუ სხვა რამ არ არის შეთანხმებული, მხარეთა უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება საერთაშორისო მიმოქცევაში დოკუმენტალური აკრედიტივის დამკვიდრებული ჩვეულებების მიხედვით. ეს კი ავტომატურად ქმნის დოკუმენტური აკრედიტივის სამართლებრივი ბუნების საერთაშორისო ასპექტში შესწავლის აუცილებლობას.“⁵⁷

აღნიშნულ მოსაზრებასთან დაკავშირებით, ჩემი აზრით, საქართველოში დოკუმენტური აკრედიტივის მწირი სამართლებრივი რეგულირება რამდენიმე ფაქტორითაა განპირობებული. აკრედიტივი გამოიყენება საერთაშორისო გარიგებებთან დაკავშირებით, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება. როდესაც ხელშეკრულების მხარეები ერთმანეთისგან დიდი მანძილით არიან დაშორებულნი, რთულია მოლაპარაკებების წარმოება და ნაკისრი ვალდებულებების კონტროლი. საქართველოს მცირე ტერიტორიული მასშტაბიდან გამომდინარე,

⁵⁶ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 878-ე მუხლი.
⁵⁷ ამილახვარი გ., „საერთაშორისო დოკუმენტური აკრედიტივის სამართლებრივი ბუნება“, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი, 2017, გვერდი 2.

შიდასახელმწიფოებრივ სამოქალაქო ბრუნვაში არ დგას დოკუმენტური აკრედიტივის გამოყენების საჭიროება, რადგან ქვეყნის შიდა ნასყიდობის ხელშეკრულებების საფუძველზე ნასყიდობის საგანის ტრანსპორტირება დიდ დროსთან, პირობებთან და შესაბამისად მაღალ რისკებთან არ არის დაკავშირებული და შესაბამისად, საქართველოს შიდა კანონმდებლობის ცვლილების და განვითარების საჭიროება არ არსებობს.

რაც შეეხება საერთაშორისო გარიგებებს, საქართველოს მოქალაქეები და ქართული კომპანიები რა თქმა უნდა არიან ჩართულნი. დოკუმენტურ აკრედიტივთან მიმართებით მწირი შიდასახელმწიფოებრივი რეგულირება საერთაშორისო ტრანსაქციის მონაწილე ქართველ მხარეს ხელს არ უშლის ისარგებლოს საერთაშორისო უნიფიცირებული წესებითა და რეგულირებებით. რომლებიც მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, შესაძლოა იქცეს სავალდებულო ხასიათის შესასრულებელ ნორმებად.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, საიდანაც მოხდა ქართული სამოქალაქო კოდექსის ძირითადი ინსტიტუტების რეცეფცია, განსაკუთრებულ ადგილს უთმობს სწორედ ანგარიშწორებას. კერძოდ, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მე-2 წიგნი, რომელიც ვალდებულებით სამართალს შეეხება, მე-12 კარის მე-3 ქვეკარი ცალკე ეთმობა ანგარიშსწორების ხელშეკრულებას.⁵⁸ ანგარიშწორების ხელშეკრულება მიიჩნევა, ერთ-ერთ ყველაზე ცვალებად და დინამიურად განვითარებად ხელშეკრულებად ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციაში.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 876-ე მუხლში ნახსენებია კლიენტი, რომელიც მისი მომსახურე ბანკისთვის ნამდვილად ამ სტატუსის მატარებელია, მაგრამ დოკუმენტური აკრედიტივის ფარგლებში იგი არის აპლიკანტი, რაც არის სწორი ტერმინი ამ შემთხვევაში. ცნების განმარტებისას ასევე ნახსენებია რემიტენტი. გარდა

⁵⁸ პროპკოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი. სასწავლო კომენტარი, თბილისი 2014, გვერდი 514.

იმისა, რომ რემიტენტის ხსენება შინაარსობრივადაც აღრეულია, იგი საერთაშორისო დოკუმენტალური ინკასოს ტერმინია და გადმოტანილია აკრედიტივის ცნების განმარტებისას. ამ შემთხვევაში იგულისხმება აკრედიტივის თანხის მიმღები - ბენეფიციარი, რაც არის სწორი განმსაზღვრელი ტერმინი, რომელიც ვფიქრობ დამკვიდრებული უნდა იქნას ქართულ საკანონმდებლო სივრცეში აკრედიტივის განმარტების დროს. რემიტენტის ქვეშ ასევე იგულისხმება ბენეფიციარის მომსახურე ბანკი, იქნება ეს დამადასტურებელი, შემტყობინებელი თუ დასახელებული ბანკი. შესაბამისად ასე ზოგადი წესით ამ ტერმინის ხმარება, ვფიქრობ გაუმართლებელია და იწვევს აკრედიტივის ცნების არასწორ გაგებას, რად უნდა აღმოიფხვრას.

6. დოკუმენტური აკრედიტივის მნიშვნელობა საერთაშორისო კომერციულ ურთიერთობებში

დღევანდელი მსოფლიო გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პირობებში წარმოდგენილია ნებისმიერი ქვეყნის არსებობა და მისი ეკონომიკური განვითარება, სხვა სახელმწიფოებთან თანამედროვე სავაჭრო ურთიერთობების დამყარების გარეშე. მსოფლიო ქვეყნების ისტორიამ და არსებულმა თანამედროვე საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებმა ნათლად დაადასტურა, რომ დამოუკიდებლად სხვა ქვეყნებთან სავაჭრო კავშირების გარეშე, არც ერთ სახელმწიფოს არ შეუძლია განავითაროს საკუთარი ქვეყნის ეკონომიკა. უძველესი დროიდან, ჯერ კიდევ ფულადი ნიშნების შემოღებამდე, სახელმწიფოებს შორის არსებობდა საქონლის გაცვლითი ურთიერთობები, რომელიც შემდგომ გადაიზარდა ვაჭრობაში ფულადი ანგარიშსწორების დამკვიდრებით. თავდაპირველად ჩამოყალიბდა მეზობელი ქვეყნების მონაწილეობით შიდა კონტინენტური ბაზრები, რომელიც საზღვაო, სამდინარო, სარკინიგზო და შემდგომ საჰაერო სატრანსპორტო საშუალებების

აღორძინებასთან ერთად გაფართოვდა და საერთაშორისო სავაჭრო გარიგებები კონტინენტაშორისი გახდა.⁵⁹

დოკუმენტური აკრედიტივი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საერთაშორისო კომერციულ ურთიერთობებში. ყოვედლიურად საერთაშორისო ვაჭრობა უფრო და უფრო ვითარდება და ამასთანავე ვითარდება მისი მომწესრიგებელი კანონმდებლობაც. სხვადასხვა ქვეყანა სხვადასხვაგვარადაა ჩართული საერთაშორისო ბიზნეს ურთიერთობებში. ყველა მათგანს საკუთარი შიდა კანონმდებლობა გააჩნია. ეს უკანასკნელი კომუნიკაციის სირთულის წინაპირობაა. მსგავსი ხასიათის საერთაშორისო ურთიერთობებში, ხშირ შემთხვევაში, ხელშეკრულებები ისე იდება, რომ მხარეები ვერც კი ნახულობენ ერთმანეთს. დოკუმენტური აკრედიტივი ძირითადად ისეთ გლობალურ ტრანზაქციებში გამოიყენება, როგორცაა ექსპორტი და იმპორტი. საერთაშორისო კომერციული გარიგებები მოითხოვს რისკის ეფექტურ მართვას. როდესაც საქონლის ტრანსპორტი საზღვრებს მიღმა მიდის და მიწოდება და გადახდა დროსა და სივრცეში ერთმანეთისგან გამიჯნულია, გამყიდველსაც და მყიდველსაც გარკვეული რისკები გააჩნიათ.⁶⁰

გამყიდველის რისკი, საქონლის გადაზიდვის შემდეგ მყიდველის ფინანსური სტატუსის შეცვლას მოიცავს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ნასყიდობის ფასის გადაუხდელობა ან/და ვალდებულების შეუსრულებლობა. მეორეს მხრივ, გამყიდველისთვის გადახდის განხორციელება გადაზიდვის გარეშე, იმის გასარკვევად, არის თუ არა საქონელი ნასყიდობის ხელშეკრულების შესაბამისი ხარისხის ან რაოდენობის, მნიშვნელოვანი რისკის შემცველია მყიდველისთვის.⁶¹

⁵⁹ ჯოლია გ., საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობები. სახელმძღვანელო. თბ. საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი,“ 2008, გვერდი 14.

⁶⁰ Zsuzsanna Toth, Documentary Credits in International Commercial Transactions with speciall focus on Fraud Fule, Athen/Budapest 2006, გვერდი 18.

⁶¹ იქვე.

იმისათვის, რომ აღმოიფხვრას ან მინიმუმამდე შემცირდეს გადაუხდელობის ან ვალდებულების შეუსრულებლობის რისკი, ასევე კონფლიქტური კანონმდებლობის, ვალუტისა და კულტურის სირთულეები, ვაჭრობმა შექმნეს სხვადასხვა მეთოდი და სხვადასხვა ინსტრუმენტი საერთაშორისო ვაჭრობის დასაფინანსებლად. გადახდის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდი აკრედიტივია. იგი შემუშავებულია მხარეთა სხვადასხვა ეკონომიკური ინტერესების შესათანხმებლად. აკრედიტივით გადახდის თანხმობით გამყიდველი და მყიდველი იწვევენ მესამე სანდო პირს - ჩვეულებრივ ბანკს - მათ ურთიერთობაში. მყიდველის მოთხოვნით ბანკი ხსნის აკრედიტივს გამყიდველის სასარგებლოდ. აკრედიტივის გაცემით ბანკი იღებს პირველადი და დამოუკიდებელი ვალდებულებას განახორციელოს გადახდა გამყიდველისათვის იმ პირობით, რომ აკრედიტივში მითითებული შესაბამისი ვალდებულება შესრულებულია.⁶²

აკრედიტივები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსებაში და დიდი მნიშვნელობა აქვთ მიღებულს. ისინი აღწერილი იყო როგორც "საერთაშორისო ვაჭრობის სიცოცხლის სისხლი"⁶³ და მოხსენიებული იყო როგორც "საერთაშორისო ინსტრუმენტები".⁶⁴

დოკუმენტური აკრედიტივის, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების როლი თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება. უზრუნველყოფის სტანდარტული საშუალებებისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული და სპეციფიური სამართლებრივი ბუნების წყალობით, დოკუმენტური აკრედიტივი, როგორც უზრუნველყოფის ყველაზე მოქნილი და სწრაფი ინსტრუმენტი, ხშირად

⁶² Zsuzsanna Tóth, *Documentary Credits in International Commercial Transactions with speciall focus on Fraud Fule*, Athen/Budapest 2006, გვერდი 3.

⁶³ R.D.Harbottle (Mercantile) Ltd v. National Westminster Bank Ltd [1978] Q.B. გვერდი 146-დან 155-მდე.

⁶⁴ Report of the Task Force on the Study of U.C.C. Article 5, *An Examination of U.C.C. Article 5 (Letters of Credit)*, presented to the Letter of Credit Subcommittee of the Uniform Commercial Code Committee of the American Bar Association's Business Law Section and the U.S. Council on International Banking, Inc., reprinted in [1990] 45 Bus. Law.

განიხილება საერთაშორისო კომერციული ურთიერთობის მნიშვნელოვან ელემენტად.⁶⁵ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, დოკუმენტური აკრედიტივი კომპლექსურ საერთაშორისო სამშენებლო, სამრეწველო, ნასყიდობის და სხვა მსხვილმასშტაბიან ხელშეკრულებებში.

დღესდღეობით აკრედიტივი ნდობასთან ასოცირებული შეთანხმებაა.⁶⁶ დოკუმენტურ აკრედიტივთან დაკავშირებული პირველი დავა ინგლისის იურიდიულ სისტემაში მოხდა. *Rose v Von Mierop and Hopkins* ქეისში განხილულ იქნა აკრედიტივის საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩოები და მისი მოქმედების ძირითადი სამართლებრივი პრინციპები.⁶⁷

მნიშვნელოვანია, რომ საერთაშორისო ურთიერთობებში დოკუმენტურმა აკრედიტივმა გააერთიანა როგორც ექსპორტიორი გამყიდველის, ასევე იმპორტიორი მყიდველის ინტერესები. აქედან გამომდინარე, აკრედიტივით სარგებლობა ორივე მხარისთვის ხელსაყრელია. კერძოდ, ერთი მხრივ, უზრუნველყოფილი და დაცულია ექსპორტიორის ინტერესი, რომ თანხის დროული მიღება მოხდება. ხოლო, მეორე მხრივ, საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტების მიღება, რაც იმპორტიორის ინტერესებში შედის.⁶⁸

საერთაშორისო ანგარიშსწორებაში დოკუმენტური აკრედიტივის ერთიანი და სტანდარტიზებული წესები გამოიყენება. დოკუმენტური აკრედიტივების შესახებ უნიფიცირებული წესებისა და ჩვეულებების მიხედვით დოკუმენტური აკრედიტივი ნიშნავს ბანკსა და კლიენტს შორის განსაზღვრული სახის წერილობით შეთანხმებას.

⁶⁵ “The life blood of International commerce” – R.D. Harbottle (*Mercantile*) Ltd. V. Nat’l Westminster Bank Ltd., 1978.

⁶⁶ Alavi H, *Documentary Letters of Credit, Legal Nature and Sources of Law*.

⁶⁷ იქვე.

⁶⁸ ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., *სახელშეკრულებო სამართალი*, 2014, გვერდი 280.

ბანკი მოქმედებს თავისი კლიენტის (დავალების მიმცემის) მითითებით და ინსტრუქციების შესაბამისად.⁶⁹

7. დოკუმენტური აკრედიტივის სახეები

საერთაშორისო პრაქტიკაში დოკუმენტური აკრედიტივის შემდეგი სახეები არსებობს:

1. გამოთხოვადი და გამოუთხოვადი აკრედიტივი (Irrevocable and Revocable Letters of Credit) - გამოუთხოვადი დოკუმენტური აკრედიტივი ისეთი სახისაა, რომელის ხელშეკრულების მხარეთა ნებართვის გარეშე არ შეიძლება შეიცვალოს. დღესდღეისობით, ყველა აკრედიტივი გამოუთხოვადია. გამოთხოვადი აკრედიტივი ცალსახად ვერ უზრუნველყოფს ისეთ დაცვას, როგორც ბენეფიციარებს სურთ. აკრედიტივის ბუნებიდან გამომდინარე, მისი ნებისმიერი სახე გამოუთხოვადი ხასიათისაა, თუ ეს პირდაპირ არ არის მხარეთა მიერ აკრედიტივში მითითებული. ამის აღნიშვნა არ იქნებოდა საჭირო, მაგრამ ადრე მოქმედი (UCP 500) სხვაგვარად არეგულირებდა აღნიშნულ საკითხს, რამაც ბევრი გაურკვეველობა გამოიწვია მსოფლიო პრაქტიკაში. თუმცა აღსანიშნავია, რომ ბოლო რედაქცია (UCP 600) უკვე ნათლად განსაზღვრავს აკრედიტივის გამოუთხოვადობის ბუნებას.⁷⁰

განსხვავებით UCP-ი 500-სგან UCP-ი 600 ითვალისწინებს მხოლოდ გამოუთხოვად აკრედიტივს და განსაზღვრავს, რომ როდესაც მხარეები თანხმდებიან დოკუმენტური აკრედიტივით ანგარიშსწორებაზე, ავტომატურად იგულისხმება, რომ აკრედიტივი გამოუთხოვადი ხასიათისაა. გამოუთხოვადი აკრედიტივი გულისხმობს გამხსნელი და საავიზო ბანკის ვალდებულებას, რომ წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე აკრედიტივის პირობებთან შესაბამისობის შემთხვევაში, უპირობოდ მოახდინოს

⁶⁹ იქვე.

⁷⁰ ამილახვარი გ., „საერთაშორისო დოკუმენტური აკრედიტივის სამართლებრივი ბუნება“, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი, 2017, გვერდი 47.

ბენეფიციართან ანგარიშსწორება. გამოუთხოვადი აკრედიტივის შეცვლა ან გაუქმება დაუშვებელია საავიზო და გამხსნელი ბანკის, ასევე ბენეფიციარის თანხმობის გარეშე. გამოუთხოვადი აკრედიტივი შესაძლებელია გაცემული იქნას ბანკის მიერ, თუმცა თანამედროვე სავაჭრო პრაქტიკაში ამგვარი სახით იგი უკვე აღარ გამოიყენება.⁷¹

2. დადასტურებული და დაუდასტურებელი აკრედიტივი (Confirmed and Unconfirmed Letters of Credit) - დაუდასტურებელი აკრედიტივის დროს ბენეფიციარის წინაშე გადახდის ვალდებულებას იღებს უშუალოდ გამხსნელი ბანკი და არა მის ქვეყანაში განთავსებული დასახელებული ან შემტყობინებელი ბანკები. მიუხედავად ამისა, შემტყობინებელი ბანკისათვის საბუთების წარდგენა სავალდებულო ხასიათისაა. შესაბამისად, ბენეფიციარი, შესაძლებელია, ცუდ ვითარებაში აღმოჩნდეს, რადგან აკრედიტივის განხსნელი ბანკი არ მდებარეობს მის ქვეყანაში და საბუთებში ხარვეზის აღმოჩენის ან სხვა რაიმე მიზეზის გამო გართულდეს მისთვის თანხის მიღება.⁷²

დადასტურებული აკრედიტივი კი მაქსიმალურად აზღვევს გამყიდველს. დადასტურებული აკრედიტივის შემთხვევაში გამხსნელი ბანკის საკორესპონდენტო ბანკი, რომელიც განთავსებულია გამყიდველის ადგილსამყოფელ ქვეყანაში, ადასტურებს აკრედიტივს და იღებს ყველა ვალდებულებას გამყიდველის წინაშე. ასეთ შემთხვევაში, გამყიდველს მხოლოდ საავიზო ბანკთან აქვს ურთიერთობა, რაც მისთვის თანხის მიღების საიმედო გარანტიაა.⁷³

ზემოთხსენებული პრობლემური საკითხი სიღრმისეულად არის წარმოჩენილი ერთ-ერთ მნიშვნელოვან საერთაშორისო გადაწყვეტილებაში - Panoustos v Raymond Hadley Corporation of New York. აღნიშნულ საქმეში ვინაიდან დოკუმენტური აკრედიტივი

⁷¹ იქვე.

⁷² ამილახვარი გ., „საერთაშორისო დოკუმენტური აკრედიტივის სამართლებრივი ბუნება,” თბილისი, 2020, გვერდი 61.

⁷³ ამილახვარი გ., „საერთაშორისო დოკუმენტური აკრედიტივის სამართლებრივი ბუნება,” თბილისი, 2020, გვერდი 62.

დაუდასტურებელი ხასიათის იყო, დასახელებულმა ბანკმა ბენეფიციარს წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე არ გადაუხადა თანხა. პროცესზე დასახელებულმა ბანკმა განაცხადა, რომ ბენეფიციარისათვის ცნობილი იყო ის ფაქტი, რომ აკრედიტივის გახსნით ბანკი თანხის გადახდაზე არანაირ ვალდებულებას არ იღებდა. აღნიშნული გამომდინარეობდა იქიდან, რომ აკრედიტივის დადასტურება არ მომხდარა შემტყობინებელი ბანკის მიერ და ასეთ შემთხვევაში მოქმედებდნენ, მხოლოდ როგორც გამხსნელი ბანკის აგენტები.⁷⁴

Forestal Mimosa Ltd v Oriental Cerdit LTD გადაწყვეტილება ეხება დადასტურებულ აკრედიტივს. ბენეფიციარმა წარუდგინა საავიზო ბანკს დოკუმენტები, რომლის გადახდის ვადა შეადგენდა 90 დღეს, თუმცა გამხსნელმა ბანკმა აპლიკანტის ინსტრუქციების საფუძველზე მოგვიანებით უარი თქვა სატრანსპორტო კონოსამენტის მიღებაზე აღმოჩენილი შეუსაბამობების გამო, შესაბამისად საავიზო ბანკმა უარი განაცხადა ბენეფიციარისთვის თანხის გადახდაზე, გადახდის ვადის დადგომისას. ბენეფიციარმა საავიზო ბანკის მიმართ შეიტანა სარჩელი დადასტურებული აკრედიტივის საფუძველზე თანხის გადახდის მოთხოვნით.

ლონდონის სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ საბუთებში შეუსაბამობებზე აპელირება აპლიკანტის განაცხადის საფუძველზე უადგილოა, ვინაიდან საავიზო ბანკმა დაადასტურა რა აკრედიტივი შესაბამისად იკისრა ვალდებულება მიღებული დოკუმენტების საფუძველზე გადაეხადა თანხა ბენეფიციარისათვის. მოსამართლის განმარტებით „თავად საავიზო ბანკია ბენეფიციარის წინაშე თანხის გადახდაზე ანგარიშვალდებული და აღნიშნული ვალდებულება გამოუხმობადი და

⁷⁴ Paul Todd, Bills of Lading and Banker's Documentary Credits, Fourth Edition, London, UK, 2007, გვერდი 38.

დამოუკიდებელი სახის ვალდებულებაა გამხსნელი ბანკის თუ მყიდველის ნებიმისმიერი პოზიციისა.⁷⁵

3. გადახდის გადავადება (Deferred Payment Letter of Credit) - ამ სახის დოკუმენტური აკრედიტივის გამოყენების დროს, დოკუმენტების მიღებისთანავე ხდება გადახდის გადავადება. გარკვეული დრო გადის გამყიდველის მიერ თანხის მიღებამდე.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საბანკო პრაქტიკაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სასამართლო გადაწყვეტილება არის Banco Santander SA v. Bayfern LTD. აღნიშნულ საქმეზე დოკუმენტური აკრედიტივი მხარეთა შეთანხმებით გადავადებული სახის იყო, სადაც საავიზო ბანკმა (Santander) ფასდაკლებით იყიდა გამყიდველისგან აკრედიტივის თანხის მიღების უფლება, თუმცა გამხსნელი ბანკისგან თანხის გადახდამდე აღმოჩნდა, რომ ბენეფიციარმა წარდგენილი დოკუმენტები გააყალბა და თაღლითურად წარადგინა. აქედან გამომდინარე, გამხსნელმა ბანკმა არ აუნაზღაურა თანხა საავიზო ბანკს. სასამართლომ დაადგინა, რომ გამხსნელი ბანკისთვის თაღლითობის ფაქტი უდავოდ წარმოადგენდა დაცვის მექანიზმს თანხის არ გადახდაზე, თუმცა საავიზო ბანკის მოთხოვნა თანხის ანაზღაურებაზე ვერ იქნებოდა გაზიარებული, ვინაიდან აკრედიტივის ფასდაკლებით ყიდვა მან დამოუკიდებლად გადაწყვიტა და არავითარი შეთანხმება ამის თაობაზე გამხსნელ ბანკთან არ ქონია, სანტანდერი თავისი კომპეტენციის ფარგლებში მოქმედებდა.⁷⁶

4. აქცეპტირებადი დოკუმენტური აკრედიტივი (Sight Letter of Credit) - დოკუმენტური აკრედიტივის ამ სახეს ადგილი აქვს იმ შემთხვევაში როცა ბენეფიციარი მიიღებს საჭირო დოკუმენტაციას შესაბამისი ბანკისგან. ბანკს აქვს რამდენიმე დღე რომ განიხილოს დოკუმენტაცია და დაადგინოს მისი აკრედიტივის ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობა. თუ დოკუმენტაცია წესრიგშია, დაუყოვნებლივ უნდა

⁷⁵ Paul Todd, Bills of Lading and Banker's Documentary Credits, Fourth Edition, London, UK, 2007, გვერდი 39.

⁷⁶ Paul Todd, Bills of Lading and Banker's Documentary Credits, Fourth Edition, London, UK, 2007, გვერდი 40.

მოხდეს თანხის გადახდა. აკრედიტივის ეს სახე ხელსაყრელია მხარეთა შორის ერთჯერადი გარიგების დროს, რომელიც არ ითვალისწინებს ხანგრძლივ თანამშრომლობას.⁷⁷

5. ტრანსფერაბელური დოკუმენტური აკრედიტივი (Transferable Letter of Credit) - ტრანსფერაბელური აკრედიტივი ხშირად გამოიყენება ბიზნეს ურთიერთობებში მომწოდებლის ან მწარმოებლისთვის გადახდის უზრუნველსაყოფად.

„ტრანსფერაბელური აკრედიტივი“ ითვალისწინებს ამ აკრედიტივის გამოყენების შესაძლებლობას მთლიანად ან ნაწილობრივ ერთი ან რამდენიმე პირის მიერ, გარდა თავად ბენეფიციარისა. მათ ტრანსფერაბელური აკრედიტივის მეორე ბენეფიციარს უწოდებენ.“⁷⁸

სასამართლო გადაწყვეტილებაში Jackson v Royal Bank of Scotland ნათლად არის ასახული კონფიდენციალურობის მნიშვნელობა. აღნიშნულ საქმეზე ბანკმა შეცდომით გაუგზავნა საბუთები აპლიკანტს და გამოაშკარავა პირველი ბენეფიციარის ფასნამატი. შედეგად აპლიკანტმა გადაწყვიტა ურთიერთობა პირდაპირ მეორე ბენეფიციართან დაემყარებინა, რათა უფრო დაბალ ფასად შეესყიდა საქონელი და პირველი ბენეფიციარი ამოეგდო ტრანზაქციიდან. პირველმა ბენეფიციარმა შეიტანა სარჩელი ბანკის წინააღმდეგ. სასამართლომ მარტივად დაადგინა კონფიდენციალურობის დარღვევის ფაქტი. ბანკი საკუთარ პოზიციის იმით ამყარებდა, რომ პირველ ბენეფიციარისთვის არ მიუყენებია ზიანი ფასნამატი ინფორმაციის გაშიფვრით, ვინაიდან ფასნამატი აპლიკანტისათვის სამომავლოდ მაინც გახდებოდა ცნობილი.

⁷⁷ ზამზახიძე თ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 876, ველი 16, <http://www.gccc.ge/wp-content/uploads/2016/09/Artikel-876.pdf>

⁷⁸ ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, გამომც. „მერიდიანი“, თბილისი, 2014, გვერდი 284.

მოსამართლე Potter L. J-მ განმარტა შემდეგნაირად: „ბანკის კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება გამომდინარეობს იმ საჭიროებიდან, რომ ბანკმა დაიცვას თავის კლიენტი მისი მომგებიანობის ინფორმაციის გავრცელებისგან და იმ საფრთხისგან, რომ მისი გამჟღავნება გამოიწვევს მყიდველის პირდაპირ სავაჭრო ურთიერთობის დამყარებას ბენეფიციართან. უფლება პირველი ბენეფიციარის, რომ გადაცემად აკრედიტივის დროს, შეცვალოს ინვოისის ფასი და ახალი ინვოისი წარუდგინოს ბანკს აპლიკანტისთვის გადაცემადი აკრედიტივის მნიშვნელოვანი ნაწილია. კომერციული ინტერესებიდან გამომდინარე, პირველ ბენეფიციარს უფლება აქვს დაფაროს მისი ინფორმაცია მოგების შესახებ.⁷⁹

6. აკრედიტივი წითელი პირობით (Red Clause Letter of Credit) - აკრედიტივი წითელი პირობით შეიძლება იყოს ნებისმიერი ტიპის აკრედიტივი, რომელიც ითვალისწინებს შემსრულებელი ბანკის მიერ ექსპორტიორისათვის ავანსად გარკვეული თანხის გადახდას.⁸⁰

7. საკომპენსაციო დოკუმენტური აკრედიტივი (Back To Back Letters of Credit) - „საკომპენსაციო დოკუმენტური აკრედიტივი შესაძლებლობას აძლევს შუამავლებს შეუერთდნენ მყიდველსა და გამყიდველს. გამოიყენება ორი დოკუმენტური აკრედიტივი, რის შედეგადაც თითოეული მხარე ინდივიდუალურად იღებს თანხას. შუამავალს თანხას უხდის მყიდველი, ხოლო მიმწოდებელს უხდის შუამავალი. საბოლოოდ, მყიდველი და შუამავალი იყენებენ დოკუმენტური აკრედიტივის მთავარ კონტრაქტს, ხოლო შუამავალი და მიმწოდებელი იყენებენ მთავარ კონტრაქტზე დაფუძნებულ დოკუმენტურ აკრედიტივს.“⁸¹

⁷⁹ Paul Todd, Bills of Lading and Banker's Documentary Credits, Fourth Edition, London, UK, 2007, გვერდი 46.

⁸⁰ ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, გამომც. „მერიდიანი“, თბილისი, 2014, გვერდი 285.

⁸¹ Back to Back Letters of Credit, <https://www.thebalance.com/types-of-letters-of-credit-315040>

8. განახლებადი და არაგანახლებადი დოკუმენტური აკრედიტივი (Revolving and Non Revolving Letters of Credit) - განახლებადი დოკუმენტური აკრედიტივის გამოყენება შეიძლება მრავალჯერადად. თუ გამყიდველი და მყიდველი შეთანხმდებიან გრძელვადიან სავაჭრო ურთიერთობაზე, მათ შესაძლოა არ აწყობდეთ ყოველი ტრანსაქციის წინ ახალი დოკუმენტური აკრედიტივის გახსნა.
9. სარეზერვო აკრედიტივი (Standby Letter of Credit) - „სარეზერვო აკრედიტივი, რომელსაც ზოგჯერ სუფთა აკრედიტივისაც უწოდებენ, წარმოადგენს აკრედიტივის სპეციალურ სახეს და თავისი შინაარსით საბანკო გარანტიას უტოლდება. ასეთი აკრედიტივის გამოყენების პრაქტიკა ჩამოყალიბდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, რადგანაც ბანკებს ამ ქვეყნის კანონმდებლობით ეკრძალებათ გარანტიის გაცემა.“⁸²

7. დოკუმენტური აკრედიტივის საფუძელზე შესასრულებელი ტრანსაქციების ეტაპები

როგორც ყველა სამართლებრივ ინსტრუმენტს, დოკუმენტური აკრედიტივი გააჩნია თავისი სტრუქტურა და შესრულების ეტაპები. აკრედიტივი არის წერილობითი ფორმის, სასყიდლიანი შეთანხმება. კლიენტი, ანუ აკრედიტივის დავალების მიმცემი⁸³ იხდის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ან/და მომსახურების საფასურს. დოკუმენტური აკრედიტივის ანგარიშსწორების ეტაპები საკმაოდ ვრცელია.

1. დოკუმენტური აკრედიტივის პირველი ეტაპი მოიცავს იმპორტიორსა და ექსპორტიორს შორის ხელშეკრულების დადებას. ეს უკანასკნელი მრავალფეროვანია და მხოლოდ ორი მხარე არ არის ჩართული. დოკუმენტური აკრედიტივით მხარეები თანხმდებიან ანგარიშსწორების ფორმად გამოყენებაზე, განსაზღვრავენ ავტენტური

⁸² ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, გამომც. „მერიდიანი“, თბილისი, 2014, გვერდი 285.

დოკუმენტების ჩამონათვალს, რომლებიც ექსპორტიორმა უნდა წარადგინოს თანხის მისაღებად. პირველ ეტაპზე აკრედიტივის პირობები თანხმდება.

დოკუმენტური აკრედიტივის გარიგება ჩვეულებრივ ემყარება გამყიდველსა და მყიდველს შორის არსებულ ნასყიდობის ხელშეკრულებას. მხარეები თავიდანვე ითვალისწინებენ გადახდას აკრედიტივით, რომელიც მყიდველს ავალდებულებს გახსნას კრედიტი გამყიდველის სასარგებლოდ. თუ აკრედიტივი ამოიწურება გამყიდველისთვის გადახდის გარეშე, გამყიდველს უფლება აქვს მოითხოვოს შესყიდვის ფასი მყიდველისგან ძირითადი ხელშეკრულების საფუძველზე, თუმცა, მყიდველს შეუძლია გამოაკლოს ნებისმიერი ზარალი, რაც განპირობებულია გამყიდველის მიერ აკრედიტივის გამოუყენებლობით.

ნებისმიერი კონფლიქტი, რომელიც წარმოიშობა კონტრაქტის საფუძველზე, გავლენას არ ახდენს აკრედიტივზე მისი ავტონომიური ხასიათის გამო.

2. დოკუმენტური აკრედიტივის ანგარიში იხსნება ხელშეკრულების წერილობითი ფორმით დადების შემდეგ. ემიტენტ ბანკს იმპორტიორი ავალებს ექსპორტიორის სასარგებლოდ გახსნას დოკუმენტური აკრედიტივის ანგარიში. ბანკი ამოწმებს გადახდისუნარიანობას. თუმცა ხშირ შემთხვევაში, გადახდისუნარიანობის შემოწმების პროცედურა დროში იწელება.

იმისათვის, რომ შეასრულოს თავისი სახელშეკრულებო ვალდებულებები, მყიდველმა (როგორც განმცხადებელმა) უნდა გახსნას აკრედიტივი გამცემ ბანკში გამყიდველის სასარგებლოდ (აკრედიტივის ბენეფიციარი). ამრიგად, მყიდველი აძლევს მითითებებს გამცემ ბანკს თავის განაცხადში, განმარტავს პირობებს, რომლითაც ბანკი განახორციელებს გადახდას. განაცხადის ფორმაში წარმოდგენილი პირობების მიღებით, გამცემი ბანკი აფორმებს ხელშეკრულებას მყიდველთან. ამ ხელშეკრულების თანახმად, ბანკი იღებს ვალდებულებას გასცეს აკრედიტივი და განახორციელოს

გადახდა ბენეფიციართან დოკუმენტების წარდგენისთანავე. ბანკმა უნდა შეასრულოს თავისი მოვალეობები მაქსიმალურად და უნდა გამოიჩინოს კეთილსინდისიერება განმცხადებლის მიმართ. მეორეს მხრივ, განმცხადებელმა უნდა აანაზღაუროს ბანკი მითითებების შესრულების შემდეგ. პრაქტიკაში ბანკი ჩვეულებრივ განმცხადებელს სთხოვს თანხის ჩარიცხვას ბანკში ანგარიშზე, რაც ამ უკანასკნელს საშუალებას მისცემს გამოყოს კრედიტით გადახდილი თანხა, რომელსაც დაემატება საკომისიო და დამატებითი გადასახადები უშუალოდ განმცხადებლის ანგარიშიდან კრედიტის დაკმაყოფილების შემდეგ.⁸⁴

დოკუმენტური აკრედიტივი დამოუკიდებელია გამყიდველსა და მყიდველს შორის არსებული კონტრაქტისგან და „ბანკმა მკაცრად უნდა დაიცვას მყიდველის მითითებები, რომელიც მითითებულია განაცხადის ფორმაში.“⁸⁵

3. იმპორტიორის საკრედიტო რისკს თანხმდება ბანკი ემიტენტი და კორესპონდანციას უგზავნის ექსპორტიორის ბანკს, რომელსაც საავიზო ბანკის სახელითაა ცნობილი. როდესაც, საავიზო ბანკი თანხას მიიღებს, ამის შესახებ ინფორმაცია მიეწოდება ექსპორტიორს და შეიტყობს განსაკუთრებული წეტილით „ნოტისით“, რომ მის სასარგებლოდ გაიხსნა აკრედიტივი. საავიზო ბანკი ექსპორტიორს ასევე უგზავნის აკრედიტის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს.
4. ექსპორტიორის ინფორმირებულობამ დოკუმენტური აკრედიტის პირობების შესაბამისობაზე შეიძლება გამოიწვიოს უთანხმოება მხარეებს შორის. ამ შემთხვევაში ექსპორტიორი იმპორტიორს უკავშირდება და საკუთარ შენიშვნებსა და დამატებებს მიაწვდით. აპლიკანტი ბანკი კი დოკუმენტურ აკრედიტის კორექტირებას უკეთებს ორივე მხარის ინტერესებისა და შეთანხმების შესაბამისად.⁸⁶

⁸⁴ Zsuzsanna Tóth, Documentary Credits in International Commercial Transactions with speciall focus on Fraud Fule, Athen/Budapest 2006. გვერდი 18.

⁸⁵ E.P. Ellinger, Letters of Credit In Norbert Horn, Clive M.Schmitthoff (ed.), The transnational law of international commercial transactions, Vol.2 (1982), The Netherlands, გვერდი 255.

⁸⁶ გაბისონია ზ., საბანკო სამართალი, გამომც. „მერიდიანი,“ თბილისი, 2012, გვერდი 217.

5. აკრედიტივის გამხსნელი ბანკი „ავიზოს“ ანუ შესაბამის წერილს უგზავნის ბენეფიციარის (ექსპორტიორის) ბანკს, რითაც მას საავიზო ბანკად ნიშნავს. ამასთან ერთად, ფულად თანხას უგზავნის აკრედიტივის შესასრულებლად და ბენეფიციარისათვის შეტყობინებინების გაგზავნას ავალებს. საავიზო ბანკის ფუნქცია იმაში მდგომარეობს, რომ მიანიჭოს შემსრულებელ ბანკს უფლება, რომ გადაუხადოს ბენეფიციარს მიღებული თანხა. საავიზო ბანკი ამოწმებს დოკუმენტების ავთენტურობას.
6. შემსრულებელი ბანკი ავიზოს უგზავნის ბენეფიციარს და ატყობინებს მის სასარგებლოდ გახსნილი აკრედიტივის შესახებ. ასევე გათვალისწინებულ პირობებს, რომელთა შესრულების შემდეგაც საავიზო ბანკი უფლებამოსილია გასცეს თანხა.
7. ავიზოს მიღების შემდგომ ბენეფიციარის სტატუსს იძენს ექსპორტიორი და მოითხოვს აკრედიტივის შესრულებას მასში მითითებული პირობებით.
8. ექსპორტიორი ახორციელებს სატრანსპორტო კომპანიის მიმართ თანამშრომლობას, საქონლის გადმოტვირთვას ახორციელებს და აფორმებს დოკუმენტური აკრედიტივით გათვალისწინებული საზღაურის მისაღებად საჭირო დოკუმენტებს და წარუდგენს შემსრულებელ ბანკს. ეს უკანასკნელის მის ავთენტურობასა და დოკუმენტური აკრედიტივით გათვალისწინებულ პირობებთან შესაბამისობას ამოწმებს. ამის შემდგომ კი იძლევა ტვირთის მიღების უფლებას.
9. დოკუმენტების შესაბამისობის დადგენის შემდგომ სატრანსპორტო კომპანია იმპორტიორს გადასცემს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საქონელს და ხდება მესაკუთრე.⁸⁷

დოკუმენტური აკრედიტივით გათვალისწინებული თანხის მიღების უფლება შესაძლოა წაერთვას მყიდველს, იმ შემთხვევაში თუ აკრედიტივით გათვალისწინებული პირობები დაირღვევა.

⁸⁷ Understanding and Using Letters of Credit, Part 1, Procedures for Using the Tool, <https://www.dripcapital.com/resources/blog/letter-of-credit-lc#6>

9. დოკუმენტური აკრედიტივის ძირითადი მახასიათებლები

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ აკრედიტივთან დაკავშირებული ოპერაციის განხორციელებისას ყველა დაინტერესებულ მხარეს შეხება აქვს დოკუმენტებთან და არა საქონელთან ან მომსახურებასთან. აკრედიტივი უნდა იყოს სრული და ზუსტად უნდა უთითებდეს იმ დოკუმენტებზე, რომლის წარმოდგენის შემთხვევაში მოხდება ანგარიშსწორება ან გადასაპირებელი თამასუქის აქცეპტირება.⁸⁸

დოკუმენტური აკრედიტივი თავისი შინაარსით და მიზნიდან გამომდინარე, წარმოადგენს ბანკის წერილობით თანხმობას გადახდაზე. ამ უკანასკნელში მოიაზრება კლიენტის ანუ იმპორტიორის დავალება ექსპორტიორის სასარგებლოდ. აკრედიტივის გამცემი ბანკი ვალდებულია შეთანხმებული პირობის დადგომისას ექსპორტიორს გადაუხადოს შეთანხმებული თანხა ან მოახდინოს გადასაპირებელი თამასუქის აქცეპტირება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ექსპორტიორი წარუდგენს მას აკრედიტივით გათვალისწინებულ დოკუმენტებს სრულად. ამით იგი დაადასტურებს ნაკისრ ვალდებულებათა სრულად შესრულებას.⁸⁹

აკრედიტივი საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულებაში გადახდის ფართოდ გამოყენებული საშუალებაა. როდესაც გამყიდველი ახორციელებს მყიდველისთვის საქონლის მიწოდებას ან მომსახურების გაწევას, ბანკს წარედგინება დოკუმენტაცია, ამის შემდგომ კი ბანკი ახორციელებს ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საფასურის გადახდას. ნასყიდობის დოკუმენტაციის წარდგენის შემდეგ ხდება თანხის გადახდა. ამ დოკუმენტებში მოიაზრება ზედნადებები, კონოსამენტი და ა.შ.

⁸⁸ ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, გამომც. „მერიდიანი,” თბილისი, 2014, გვერდი 280.

⁸⁹ ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, გამომც. „მერიდიანი,” თბილისი, 2014, გვერდი 284.

აკრედიტივის შესრულების პროცესში ბანკ-ემიტენტის მიერ შეიძლება შემოყვანილ იქნეს სარამბურსო ბანკი. ეს კონკრეტული ვალდებულება შემსრულებელ ბანკს აუნაზღაუროს აკრედიტივით გათვალისწინებული თანხა.⁹⁰

დოკუმენტურ აკრედიტივში გადახდის ფორმა მკაცრად არის განსაზღვრული. აღნიშნული თავად აკრედიტივის ხელშეკრულებაში აისახება. აკრედიტივის გამოყენება მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, როდესაც ბენეფიციარმა უკვე შეასრულა ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულება.⁹¹

აკრედიტივით გათვალისწინებული თანხის გადახდის ვალდებულება ბანკს აკისრია. გადახდის ვალდებულებაში, გარდა თანხის გადარიცხვისა, მოიაზრება ბანკის მხრიდან აქცეპტირება და გადასაპირებელი თამასუქების აქცეპტირება. როგორც მოგახსენეთ, დოკუმენტური აკრედიტივის დროს, ბანკი შუამავლის როლს ასრულებს და მხოლოდ დოკუმენტების შემოწმების შემდგომ ხდება გადარიცხვის დადასტურება.

დოკუმენტური აკრედიტივი ეფექტური ინსტრუმენტია ბიზნესისთვის და გადახდის უსაფრთხოების მყარი მექანიზმია.

აკრედიტივი როგორც ძირითადი ვალდებულების შესრულების სამსახურისათვის განკუთვნილ გადახდის საშუალებაა, ასევე მონაწილე მხარეების, მყიდველისა და გამყიდველის ერთმანეთის მიმართ უნდობლობის რისკის დაზღვევის საშუალებაც. დოკუმენტური აკრედიტივი გარანტიაა მესამე მხარისათვის, რომ ბანკი ან სხვა საფინანსო ინსტიტუტი გადაიხდის აკრედიტივით გათვალისწინებულ თანხას. სხვა ინსტრუმენტებისგან განსხვავებით, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ბენეფიციარის საიმედო გადახდის საშუალების უზრუნველსაყოფად, ემიტენტის

⁹⁰ ყიფიანი, ანგარიშსწორების მეთოდების ზოგადი მიმოხილვა, გვერდი 9.

⁹¹ Collyier G., Guide To documentary Credits, International chamber of commerce, 2014, გვერდი 51.

ვალდებულება გადაიხადოს აკრედიტივით გათვალისწინებული თანხა დამოუკიდებელია განმცხადებელსა და ბენეფიციარს შორის არსებული ნებისმიერი უფლებისგან. მნიშვნელოვანია, რომ აკრედიტივი ასევე შეუქცევადია მას შემდეგ რაც გაცემულია, რაც იმას ნიშნავს, რომ რაც არ უნდა მოხდეს განმცხადებელსა და ემიტენტს შორის ურთიერთობაში, ბენეფიციარს შეუძლია იგრძნოს კომფორტი, რომ აკრედიტივი და თანხები დარჩება საკრედიტო წერილამდე მითითებული ვადის გასვლამდე. ბევრ ვითარებაში, ეს ასეა მაშინაც კი, როდესაც განმცხადებელი განაცხადებს გაკოტრების შესახებ. როგორც ნებისმიერი სხვა სამართლებრივი ინსტრუმენტი, აკრედიტივიც უნდა იყოს წერილობითი ფორმით დადებული და ხელმოწერილი. მასში ნათლად უნდა იყოს მითითებული ფინანსური პირობები და გადახდის ფორმები. აკრედიტივების უმეტესობა იძლევა გარანტირებული თანხის ნაწილობრივ ამოღებას აკრედიტივის ვადის განმავლობაში, რითაც უზრუნველყოფს ბენეფიციარის მოქნილობას საჭიროებისამებრ თანხების ამოღების. ერთიანი კომერციული კოდექსის შესაბამისი დებულებები და გარკვეული საერთაშორისო სავაჭრო კონვენციები, როგორც წესი, ავსებენ აკრედიტივის პირდაპირ პირობებს.⁹² აკრედიტივი კრედიტორის ინტერესების დაცვას ემსახურება და თავის თავში გარკვეულწილად მოიცავს ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ფუნქციასაც.⁹³

აკრედიტივი მაქსიმალურად იცავს ექსპორტიორის ინტერესებს და თანხის დროულად გადახდის უზრუნველყოფას მოიცავს. ამასთანავე, იგი სრულად გამორიცხავს საქონლის არმიღების რისკს, ვინაიდან აკრედიტივით გათვალისწინებული თანხის

⁹² <https://www.martinllp.net/how-letters-of-credit-provide-payment-security-to-a-third-party/>

⁹³ Kelly-Louw M., *Selective Legal Aspects of Bank Demand Guarantees*, 2008, გვერდი 113.

გადახდა ხდება მხოლოდ და მხოლოდ საქონლის მიღების ან/და დამონტაჟების შემდგომ.⁹⁴

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დოკუმენტური აკრედიტივი არის ერთდროულად როგორც გადახდის საშუალება, ასევე მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება. აკრედიტივი იცავს გამყიდველის ინტერესებს ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მიიღოს ნასყიდობის საფასური და ასევე იცავს მყიდველის ინტერესებს, მიიღოს ნასყიდობის საგანი შეთანხმებული ოდენობით და ხარისხით, შეთანხმებულ დროში.

10. დოკუმენტური აკრედიტივის მხარეთა უფლება-მოვალეობები

დოკუმენტურ აკრედიტივთან მიმართებაში, როგორც მყიდველ, ასევე გამყიდველ მხარეს გააჩნია გარკვეული უფლება-მოვალეობები. დოკუმენტური აკრედიტივის დანიშნულების შესანარჩუნებლად აუცილებელია მოხდეს მხარეთა ვალდებულებების სათანადო შესრულება.

ამასთან დაკავშირებით, ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სასამართლო გადაწყვეტილება არის მოსამართლე Jenkins LJ-ს მიერ გამოტანილი (საქმე Hamzah Malas & Sons v British Imex Industries Ltd), სადაც მან აღნიშნა: „ჩვენ მივმართეთ მრავალ პასუხისმგებელ პირს, თუ ორგანოს და მარტივად გასაგებია, რომ დადასტურებული აკრედიტივი გულისხმობს შეთანხმებას ბანკსა და საქონლით მოვაჭრეს შორის, რომელიც აკისრებს ბანკს აბსოლუტურ ვალდებულებას თანხის გადახდაზე, მიუხედავად იმისა სამომავლოდ წარმოიშვება თუ არა საქონელთან დაკავშირებით რაიმე სახის დავა. გულმოდგინედ დამუშავებული კომერციული სისტემა აგებულია ისეთ საფუძვლებზე, რომ ბანკების მიერ გაცემული აკრედიტივი. ორმხრივი ვალდებულების ხასიათს

⁹⁴ ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, გამომც. „მერიდიანი“, თბილისი, 2014, გვერდი 284. ციტირება: Фолсом/Гордон/Спагнол, Международные сделки, 1996, გვერდი 68.

ატარებს და ჩემს მსჯელობაშიც არასწორი იქნება, რომ გადაუხვით დამკვიდრებულ პრაქტიკას“.⁹⁵

10.1 მყიდველი მხარის უფლება-მოვალეობები

გაეროს კონვენციით, საქონლის საერთაშორისო გაყიდვის ხელშეკრულებების შესახებ, მყიდველის ძირითადი ვალდებულებებია: (ა) საქონლის ფასის გადახდა და (ბ) მათი მიწოდება.⁹⁶

სასამართლო პრაქტიკა აჩვენებს, რომ ხშირად ძირითადი ხელშეკრულება საკმაოდ ლაკონურია დოკუმენტურ აკრედიტივთან დაკავშირებით. ეს ბუნებრივია, რადგან თავდაპირველად ძირითადი ხელშეკრულება იდება და სწორედ მის უზრუნველსაყოფად თანხმდებიან დოკუმენტურ აკრედიტივზე. თუმცა საინტერესოა ისეთი შემთხვევები, როდესაც აკრედიტივით გათვალისწინებული პირობები განსხვავდება იმ ხელშეკრულებისაგან, რომელსაც ემსახურება შინაარსობრივად დოკუმენტური აკრედიტივი.

Ficom SA v Sociedad Cadex Limitada საქმეში, ბოლივიური ყავის გაყიდვის ძირითადი ხელშეკრულება შეიცავდა შემდეგ მოკლე გადახდის დებულებას: „გადახდა: დაუყოვნებლივ შეუქცევადი საკრედიტო წერილით გაიხსნება გამყიდველების სასარგებლოდ“.⁹⁷

ძირითადი ხელშეკრულება და აკრედიტივის გადახდის პირობები განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან: ძირითადი ხელშეკრულება არ აძლევდა უფლებას მყიდველს

⁹⁵ Peter Ellinger, Dora Neo, The Law and Practice of Documentary Letters of Credit, hart publishing, Portland, USA, 2010, გვერდი 111.

⁹⁶ United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods (1980, Vienna), Chapter III., Obligations of the buyer.

⁹⁷ Ficom SA v Sociedad Cadex Ltda, [1980] 2 Lloyd's Rep 118. <http://fzt.blogspot.com/2005/02/payment-under-lc-when.html>

გაეუქმებინა ხელშეკრულება საქონლის ხარისხის გამო, ხოლო აკრედიტივის თანახმად, გადახდა არ მოხდებოდა, თუ საქონელი არ დააკმაყოფილებდა საქირო ხარისხს; კონტრაქტით მყიდველს ასევე უფლება ქონდა შეემცირებინა ფასი გარკვეულ გარემოებებში, ხოლო აკრედიტივი - არა.⁹⁸

აკრედიტი გაიხსნა და გამყიდველებს არანაირი პროტესტი არ გამოუთქვამთ. მოგვიანებით, გამყიდველმა წარმოადგინა დოკუმენტები, რომელთა შორის იყო ხარისხის სერთიფიკატი, რომელიც არ აკმაყოფილებდა ხელშეკრულების პირობებს, ამიტომ ბანკმა მყიდველთან კონსულტაციის შემდეგ უარი თქვა გადახდაზე. გამყიდველი ირწმუნებოდა, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად, მყიდველს არ ჰქონდა უფლება უარი ეთქვა გადაზიდვაზე. სასამართლომ დაადგინა, რომ მხარეებს ჰქონდათ სავალდებულო შეთანხმება გადახდის ფორმასთან დაკავშირებით და ბანკმა სამართლიანად უარი თქვა ხარისხის სერთიფიკატის მიღებაზე, რომელიც არ შეესაბამებოდა ხელშეკრულების პირობებს.⁹⁹

მოსამართლე რობერტ გოფმა განაცხადა, რომ: წინამდებარე საქმეში, შემოფოთებული ვარ გაყიდვის ხელშეკრულებით, რომელშიც აკრედიტივის პირობები - და კერძოდ, აკრედიტივით წარსადგენი დოკუმენტები - განუსაზღვრელია. ჩვეულებრივი მოვლენაა, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების შემდეგ გაიხსნა დოკუმენტური აკრედიტივი. ზოგჯერ, წინ უსწრებს მყიდველის მიერ წინასწარი რჩევა შემოთავაზებული კრედიტის პირობების შემდგომ შემოთავაზებული პირობების, დეტალური მოლაპარაკებით, რის შედეგადაც აკრედიტივი გაიცემა ორივე მხარისათვის მისაღები ზუსტი პირობებით. ხშირად, აკრედიტივი მიიღებს იმ ფორმას, რომელიც ჩვეულებრივ გამოიყენება კონკრეტულ ვაჭრობაში.

⁹⁸ იქვე.

⁹⁹ იქვე.

მიუხედავად იმისა, რომ შეუძლებელია რაიმე ზოგადი წესის ჩამოყალიბება, ასეთ შემთხვევაში, შეთანხმებული აკრედიტივის პირობები შეიძლება სავალდებულო გახდეს მხარეებისთვის. თუ ასეა, და თუ ისინი რაიმე თვალსაზრისით გადადიან ორიგინალური გაყიდვის კონტრაქტის 36-ე პუნქტიდან (გამოხატული ან ნაგულისხმევი), ისინი წარმოადგენენ ამ კონტრაქტის სავალდებულო ვარიაციას: თუ ისინი უბრალოდ ავსებენ ბუნდოვანებას გაყიდვის თავდაპირველ კონტრაქტში, მაშინ ისინი მოქმედებს ხელშეკრულების შესავსებად. მხარეებისთვის მნიშვნელოვანია, რომ აკრედიტივის პირობები, თუკი ისინი ასე შეთანხმდნენ, გახდეს სავალდებულო, რადგან ამის საფუძველზე მყიდველი დადებს სავალდებულო ხელშეკრულებას საკუთარ ბანკთან, რომელიც თავის მხრივ დადებს სავალდებულო შეთანხმებას გამცემ ბანკთან, რომელსაც დავალებული აქვს გამყიდველისათვის გასცეს აკრედიტივი.

ეს შემთხვევა ერთ-ერთი მაგალითია, როდესაც მხარეებმა ჯერ გააფორმეს ნასყიდობის ხელშეკრულება და შემდეგ შეთანხმდნენ აკრედიტივის პირობებზე, რომელიც შეიძლება შეიცავდეს მთავარ ხელშეკრულებასთან ურთიერთსაწინააღმდეგო პირობებს. ის ასევე აჩვენებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ბენეფიციარი ვერ გამოთქვამს პროტესტს საკრედიტო საკამათო პირობებზე და გავლენას მოახდენს შესრულებაზე, ის კარგავს თავის წინააღმდეგობის უფლებას მოგვიანებით, რადგან აკრედიტივის პირობები სავალდებულო გახდება მხარეებისთვის.

ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად, მყიდველს ევალება დროულად გახსნას აკრედიტივი, რათა გამყიდველმა შეძლოს შეასრულოს თავისი სახელშეკრულებო ვალდებულებები, მაგალითად, საქონლის გაგზავნა. კრედიტის დროულად გახსნის მოვალეობა გაგებულია, როგორც პირობა, რომელიც განაპირობებს გამყიდველის მოვალეობას გადაზიდვის განხორციელებაზე. ხელშეკრულება შეიძლება ითვალისწინებდეს იმ პერიოდს, რომლის განმავლობაშიც აკრედიტივი უნდა გაიხსნას, ან შეიძლება გამოაცხადოს გადაზიდვის თარიღი. ზოგჯერ აკრედიტივის გახსნა

დამოკიდებულია გამყიდველის მოქმედებაზე, რაც შეიძლება იყოს მყიდველისთვის გარანტიის გაგზავნა ან დროებითი ინვოისი.¹⁰⁰

საქმეში Garcia v. Page & Co ნასყიდობის ხელშეკრულება მაისში დადო. რომლითაც გათვალისწინებული იყო, რომ მყიდველს დაუყოვნებლივ უნდა გაეხსნა აკრედიტივი ლონდონში, გამყიდველის სასარგებლოდ. გადაზიდვა უნდა განხორციელებულიყო სექტემბერში, თუმცა მყიდველმა აკრედიტივი სექტემბრის დასაწყისამდე არ გახსნა. სასამართლომ დაადგინა, რომ „თავდაპირველი კონტრაქტის თანახმად იყო შეთანხმება, რომლის მიხედვითაც დადასტურებული აკრედიტივი მითითებულ პირობებში იყო წინაპირობა და დაუყოვნებლივ უნდა გახსნილიყო. მყიდველს უნდა ჰქონოდა დრო, რაც საჭიროა გონივრული განსჯის მქონე პირისათვის, რათა შეესრულებინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული აკრედიტივის გახსნა“. მყიდველის მიერ აკრედიტივის დროულად გახსნა წარმოადგენდა ხელშეკრულების დარღვევას, რაც გამყიდველს საშუალებას აძლევდა შეეწყვიტა ნასყიდობის ხელშეკრულება.¹⁰¹

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ როგორც ყველა სამართლებრივ ინსტრუმენტს, ასევე აკრედიტივსაც გააჩნია ორივე მხარისთვის განკუთვნილი დადებითი და უარყოფითი მხარეები.

¹⁰⁰ Zsuzsanna Toth, *Documentary Credits in International Commercial Transactions with special focus on Fraud Fule*, Athen/Budapest 2006, გვერდი 35.

¹⁰¹ Universitat Autònoma de Barcelona, Spain, Faculty of Law Department of Private Law , THESIS FOR THE DEGREE OF DOCTOR OF PHILOSOPHY, EXCEPTIONS TO THE PRINCIPLE OF INDEPENDENCE IN DOCUMENTARY LETTERS OF CREDITS, BY: HAMED ALAVI, გვერდი 32, ციტ. Garcia v. Page & Co. Ltd, [1936] Vol. 55 Lloyd's Law Reports 392.

10.2 გამყიდველი მხარის უფლება-მოვალეობები

გამყიდველმა მყიდველს უნდა მიაწოდოს საქონელი, რომელიც არის ხელშეკრულებით გათვალისწინებული რაოდენობის, ხარისხისა და აღწერილობის.¹⁰²

გამყიდველს შეუძლია აკრედიტივის ნახვისას არ დაეთანხმოს მის პირობებს და მოითხოვოს ცვლილებები. შემოთავაზებული შესწორება შეიძლება განიხილოს მხარეებმა, რის შედეგადაც გაიცემა ორივე მხარისათვის მისაღები აკრედიტივი; ან (ბ) გამყიდველის წინააღმდეგობამ შეიძლება არ გამოიწვიოს რაიმე სამართლებრივი შედეგი და აკრედიტივი უცვლელი დარჩეს. გამყიდველის დუმილი ამ საკითხთან დაკავშირებით არ შეიძლება ჩაითვალოს აკრედიტივის არათანმიმდევრული პირობების მიღებად/თანხმობად, შესაბამისად, სწორად გახსნილი აკრედიტივის არარსებობის შემთხვევაში, გამყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ძირითადი ხელშეკრულება და მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.¹⁰³

ერთ-ერთ მნიშვნელოვან საქმეში Panoutsos v Raymond Hadley Corporation, კონტრაქტი ითვალისწინებდა დადასტურებულ აკრედიტივს. აკრედიტივი გაიხსნა, თუმცა არ იყო დადასტურებული, თუმცა გამყიდველს არ გაუპროტესტებია აკრედიტივი. მან მოითხოვა აკრედიტივის ვადის გახანგრძლივება. გამყიდველმა განახორციელა გარკვეული გადაზიდვის პროცედურები, თუმცა მოგვიანებით მან გააუქმა მთავარი ხელშეკრულება იმ მიზეზით, რომ აკრედიტივი არ იყო კონტრაქტის შესაბამისი. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ „გამყიდველმა, გარკვეული პერიოდის განმავლობაში უარი თქვა დადასტურებული აკრედიტივის პირობაზე. ამრიგად, არ იყო ვალდებული ემოქმედა აკრედიტივის პირობებით მთავარი ხელშეკრულების

¹⁰² Article 35 of the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods.

¹⁰³ Zsuzsanna Toth, *Documentary Credits in International Commercial Transactions with special focus on Fraud Fule*, Athen/Budapest 2006, გვერდი 36.

ბოლომდე. მას არ ჰქონდა ხელშეკრულების შეწყვეტის მოთხოვნის უფლება მყიდველისთვის გაფრთხილებისა და გონივრული ვადის მიცემის გარეშე.”¹⁰⁴

Soproma SpA v Marine & Animal By-products Corporation–ის საქმე გულისხმობდა თევზის ხორცის გაყიდვას და ყიდვას. გამყიდველმა გამოაცხადა ორი მიმართვა. პირველ რიგში, მან შესთავაზა საბუთები ბანკს, რომელმაც სამართლიანად უარყო ისინი იმ მოტივით, რომ დოკუმენტები არ შეესაბამებოდა აკრედიტივის პირობებს. უარის შემდეგ გამყიდველმა გააკეთა სხვა მიმართვა დოკუმენტებზე, ამჯერად პირდაპირ მყიდველზე. მოსამართლე მაკნეირმა საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებებისა და მტკიცებულებების გათვალისწინებით, განმარტა რომ:

"დოკუმენტური აკრედიტივი განსაზღვრავს მყიდველების მიერ გადახდის სახელშეკრულებო მეთოდს და გამყიდველების მიერ შესრულების სახელშეკრულებო მეთოდს. რომლითაც თავდაპირველად უნდა მოხდეს გადახდა. შესაბამისი დოკუმენტების წარდგენა არის ერთადერთი გზა, რომლის საშუალებითაც გამყიდველებს შეუძლიათ მიიღონ ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა. გამყიდველებს უნდა ჰქონდეთ ალტერნატიული უფლება მიიღონ გადახდა მყიდველებისგან დოკუმენტების უშუალოდ მყიდველებისთვის წარდგენის გზით.”¹⁰⁵

11. დოკუმენტური აკრედიტივის შინაარსზე ძირითადი დათქმები

აკრედიტივის პირობებში გათვალისწინებულ დოკუმენტების ჩამონათვალს ყოველთვის მტკიცებულებითი ხასიათი არ გააჩნია. პრაქტიკაში განასხვავებენ

¹⁰⁴ Zsuzsanna Tóth, Documentary Credits in International Commercial Transactions with speciall focus on Fraud Fule, Athen/Budapest 2006, გვერდი 36, ციტ. Panoutsos v. Raymond Hadley Corporation of New York [1917] 2 KB 473).

¹⁰⁵ Zsuzsanna Tóth, Documentary Credits in International Commercial Transactions with speciall focus on Fraud Fule, 3.3.5 Red Clause Documentary Credits and Green Clause Documentary Credits, Dissertation, Pazmany Peter Catholic University, Athen/Budapest 2006, გვერდი 62. ციტ. Soproma S.p.A v. Marine & Animal BY-Products Corporation [1966] 1 Lloyd’s Rep 367.

ანგარიშსწორებაზე შეთანხმების ორ განსხვავებულ პირობას. კერძოდ, “Red Clause” და “Green Clause”.¹⁰⁶

11.1 „Red clause“ დათქმა

„Red Clause“ აკრედიტივმა ეს სახელი იმიტომ მიიღო, რომ თავდაპირველად წითელი მელნით იყო დაწერილი. აღნიშნული გახლავთ აკრედიტივის საფუძველზე ანგარიშსწორების მარტივი დათქმა, რომლითაც მხარეები თანხმდებიან მხოლოდ წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე თანხის გადახდას. მოცემულ შემთხვევაში, წარმოდგენილ დოკუმენტებს არ აქვს მტკიცებულებითი ხასიათი და არ მოითხოვება ძირითადი ხელშეკრულების პირობების შესრულების დასასტურება. ბენეფიციარის მიერ თანხის მიღებისათვის აუცილებელი არ არის ემიტენტის მომსახურე ბანკისათვის, მაგალითად, ისეთი მტკიცებულებების წარდგენა, რომლებიც დაადასტურებს, რომ ტვირთი საწყობშია ან საქონელი ნამდვილად არსებობს. შესაბამისად, არ ხდება იმ ფაქტის შემოწმება, თუ რამდენად მიიღო ბენეფიციარმა ძირითადი კონტრაქტით შეთანხმებული იმ რაოდენობის ან ხარისხის პროდუქცია, რომლის შესრულების უზრუნველსაყოფადაც გაიცა აკრედიტივი.¹⁰⁷

ანგარიშსწორების შემთხვევაში ხდება წარდგენილი დოკუმენტაციის აკრედიტივის პირობებისათვის შედარება. თუ დოკუმენტაცია აკრედიტივის პირობებს შეესაბამება, ემიტენტის მომსახურე ბანკი ახდენს ანგარიშსწორებას. მას არ ეკისრება შემოწმების ვალდებულება, თუ რამდენად შეესაბამება წარდგენილი დოკუმენტაციით გათვალისწინებული ინფორმაცია რეალობას და ძირითადი კონტრაქტის პირობებს. მოცემულ შემთხვევაში, თანხის გადახდის მიზნებისათვის, მთავარია

¹⁰⁶ Zsuzsanna Toth, Documentary Credits in International Commercial Transactions with special focus on Fraud Fule, 3.3.5 Red Clause Documentary Credits and Green Clause Documentary Credits, Dissertation, Pazmany Peter Catholic University, Athen/Budapest 2006, გვერდი 26.

¹⁰⁷ ათაბეგაშვილი დ., „საგარანტიო ვალდებულების დამოუკიდებლობის ხარისხი და მისი პირობითობის დამღვევის მიზანშეწონილობა,” სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, 2018, გვერდი 24.

დოკუმენტაციაში მითითებული ინფორმაცია ემთხვეოდეს აკრედიტივის პირობებს. ემიტენტის მომსახურე ბანკი ხელმძღვანელობს მხოლოდ წარდგენილი დოკუმენტაციის საგარანტიო პირობებთან შესაბამისობის სტანდარტით და აღნიშნულის საფუძველზე იღებს აკრედიტივით გათვალისწინებული თანხის ბენეფიციარისათვის გადახდის, ან არგადახდის შესახებ გადაწყვეტილებას.¹⁰⁸

ჰარვილი „Red Clause“ აკრედიტივის ჩამოყალიბებას ჩინეთს უკავშირებს. ჩინეთის სავაჭრო სისტემა საკმაოდ განვითარებული იყო და საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობები ხორციელდებოდა ამერიკელებთან. ანგარიშსწორების მიზნებისათვის, საკმარისი იყო მხოლოდ აკრედიტივით ბენეფიციარისათვის მარტივი დაპირების მიცემა, რომ მის მიერ მითითებული დოკუმენტაციის პრეზენტაციის შემთხვევაში თანხის გადახდა განხორციელდებოდა.¹⁰⁹

ანგარიშსწორებაზე ასეთი დათქმა, გამოიყენება იქ, სადაც მყიდველი მზად არის გადაიხადოს ხელშეკრულების ღირებულება ან მისი ნაწილი საქონლის ფაქტობრივ გადაზიდვამდე. პრაქტიკაში, მაგალითად, ინგლისში მატყლის იმპორტიორი შეიძლება დაეთანხმოს ავსტრალიაში მატყლის მიმწოდებელს, რომ შეიძინოს ბამბა. თუმცა, მატყლის გამგზავნს შეიძლება არ გააჩნდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სრული თანხა მომწოდებლების გადასახდელად. შესაძლებელია, ხელშეკრულების ღირებულების ნაწილის გაგზავნა. ასეთ შემთხვევაში, ბანკი განსაზღვრული ოდენობით თანხას გადარიცხავს, დოკუმენტების წარდგენისთანავე. საავანსოდ გადახდილი თანხა აკლდება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სრულ თანხას. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ გამგზავნი ვერ აგზავნის მატყლს, ბანკს უფლება აქვს

¹⁰⁸ იქვე.

¹⁰⁹ ათაბეგაშვილი დ., „საგარანტიო ვალდებულების დამოუკიდებლობის ხარისხი და მისი პირობითობის დამღვევის მიზანშეწონილობა,” სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, 2018, გვერდი 25.

მოითხოვოს ანაზღაურება და ზიანის ანაზღაურება, მასთან დაკავშირებული ყველა ხარჯისთვის.¹¹⁰

„Red Clause“ აკრედიტივს იმისათვის იყენებენ, რომ გამყიდველმა დახმარება გაუწიოს საბრუნავი კაპიტალის სახით ნედლეულის შეძენას, საქონლის გადამუშავებასა და შეფუთვის და ა.შ. წინასწარი გადახდა ხდება დოკუმენტური მოთხოვნების შესაბამისად, რომელიც მოიცავს წერილობით ვალდებულებას და ქვითრებს.¹¹¹

მსგავსი ტიპის აკრედიტივის მთავარი სარგებელი ის არის, რომ ბენეფიციარს, ანუ გამყიდველს აქვს საბრუნავი კაპიტალის ადვილად ხელმისაწვდომობა.

„Red Clause“ აკრედიტივის მიზანი არის, რომ უზრუნველყოს გამყიდველის დაფინანსება მისი საბრუნავი კაპიტალის საჭიროებისთვის. ამ გზით მას შეიძლება ჰქონდეს საკმარისი ლიკვიდურობა ნედლეულის, წარმოების ხარჯების, შრომის და ა.შ. შეიძლება მოხდეს, რომ გამყიდველმა არ გამოიყენოს საავანსო თანხა დანიშნულებისამებრ. ეს უკანასკნელი კი აბათილებს მსგავსი ტიპის შეთანხმების მიზანს.

გარდა ამისა, ნებისმიერ გარიგებაში, როდესაც ერთი მხარე წინასწარ უხდის მეორე მხარეს, ყოველთვის არსებობს რისკი, რომ მიმღებმა შეიძლება უბრალოდ აიღოს ფული და გაიქცეს. ეს რისკი ძლიერდება მაშინ, როდესაც გამყიდველი (ავანსის მიმღები) სხვა ქვეყნიდან არის. ეს არის შიდა რისკი, რომელსაც მოიცავს „Red Clause“ აკრედიტივი.¹¹² თუმცა, ნებისმიერი სამოქალაქო სამართლებრივი შეთანხმება მხარეთა ნდობაზეა

¹¹⁰ Zsuzsanna Toth, Documentary Credits in International Commercial Transactions with special focus on Fraud Fule, 3.3.5 Red Clause Documentary Credits and Green Clause Documentary Credits, Dissertation, Pazmany Peter Catholic University, Athen/Budapest 2006, გვერდი 26.

¹¹¹ <https://efinancemanagement.com/sources-of-finance/red-clause-letter-of-credit>

¹¹² <https://efinancemanagement.com/sources-of-finance/red-clause-letter-of-credit>

დაფუძნებული, რომ მხარეები სრულად და ჯეროვნად შეასრულებენ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს.

11.2 „Green clause“ დათქმა

კომერციული დოკუმენტური აკრედიტივით ანგარიშსწორების რთულ წესზე შეთანხმება ნიშნავს, რომ ბენეფიციარს ეკისრება გარკვეული ფაქტებისა და გარემოებების მტკიცების ტვირთი.¹¹³ „Green Clause“ წარმოადგენს „Red Claus“-ის მოდიფიცირებულ, ვარიანტს, რომელიც უფრო მეტად მყიდველის ინტერესებს ემსახურება, ვიდრე ბენეფიციარისას.¹¹⁴ ანგარიშსწორების წესზე შეთანხმების შემთხვევაში ხდება მხოლოდ დოკუმენტაციით ხელმძღვანელობა და არა ნასყიდობის საგანი საქონლით.

გარდა ამისა, უფლებას აძლევს გამყიდველს მიიღოს საავანსო თანხა გადაზიდვამდე, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, რომ საქონელი ინახება დასახლებული ბანკის სახელით. წინასწარ გადახდა ხდება საწყობის ქვითრის წარდგენის შემდეგ.¹¹⁵

პრეზენტირებული დოკუმენტაციის საფუძველზე ბენეფიციარმა გამყიდველმა ემიტენტს/მყიდველს დაუმტკიცოს, რომ ნასყიდობის საგანი ნამდვილად არსებობს საწყობში, შეთანხმებული ხარისხითა და რაოდენობით. შესაბამისად, ამ შინაარსის აკრედიტივი განსხვავდება „Red Claus“-ის დათქმისაგან, რადგან არის უფრო მეტად მტკიცებულებითი შინაარსის. ანგარიშსწორების მიზნებისათვის მხოლოდ მარტივი პირობის, დოკუმენტაციის პრეზენტაციის არსებობა საკმარისი არ არის და

¹¹³ ათაბეგაშვილი დ., „საგარანტიო ვალდებულების დამოუკიდებლობის ხარისხი და მისი პირობითობის დაძლევის მიზანშეწონილობა,” სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ნიუ ვიქენ უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, 2018, გვერდი 26.

¹¹⁴ იქვე.

¹¹⁵ Zsuzsanna Toth, Documentary Credits in International Commercial Transactions with special focus on Fraud Fule, 3.3.5 Red Clause Documentary Credits and Green Clause Documentary Credits, Dissertation, Pazmany Peter Catholic University, Athen/Budapest 2006, გვერდი 27.

მნიშვნელოვანია, რომ ბენეფიციარის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციით დასტურდებოდეს ძირითადი ვალდებულების დარღვევა.¹¹⁶

„Green Clause“-ი „Red Claus“-ის მსგავსია, გამყიდველის მხრიდან დოკუმენტური მტკიცებულებებისა და დაზღვევის მოთხოვნების გარკვეული გამონაკლისის გარდა. ის ფინანსურ უზრუნველყოფას სთავაზობს გამყიდველს, ასევე მუშაობს არაუზრუნველყოფილი სესხის სახით. ის გამყიდველს სთავაზობს ფულადი ნაკადების გადაწყვეტას წინასწარ გადახდის სახით.

„Green Clause“ დათქმის შემთხვევაში მყიდველისთვის დადებითი ფაქტორი იმაში მდგომარეობს, რომ მაქვს აქვს საქონლის საწყობში მიღების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ეს საშუალებას აძლევს მყიდველს შეინარჩუნოს კონტროლი წინასწარ გადახდის პროპორციის. მყიდველს შეუძლია მოლაპარაკება მოახდინოს სავაჭრო ფასდაკლებებზე წინასწარ გადახდის შეთავაზებით. გამყიდველი იღებს ფინანსურ გარანტიას დოკუმენტური აკრედიტივის სახით. „Green Clause“ დათქმის უარყოფითი მხარე იმაში მდგომარეობს, რომ უფრო ძვირია. ამასთანავე ახალი სავაჭრო მოლაპარაკებისას, შესაძლოა, მესამე მხარის მომსახურება დასჭირდეთ.¹¹⁷

დოკუმენტურ აკრედიტივთან მიმართებაში მრავალი სახის დათქმა არსებობს. აღნიშნულს მხარეთა ნების გამოვლენა განაპირობებს. დოკუმენტური აკრედიტივი კერძო სამართლის გარიგებასავითაა, თუმცა მასში ორი მხარის გარდა, მონაწილეობს საფინანსო ინსტიტუტი, ბანკიც. მიუხედავად შესაძლო პოტენციური დათქმების სხვაობებისა, ზემოთ განხილული ტრანზაქციების რიგითობა ყველა შემთხვევაში უცვლელი და ერთია. მიუხედავად იმისა, მხარეები ანგარიშსწორების წესის მარტივ

¹¹⁶ ათაბეგაშვილი დ., „საგარანტიო ვალდებულების დამოუკიდებლობის ხარისხი და მისი პირობითობის დამღვევის მიზანშეწონილობა,“ სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ნიუ ვიქენ უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, 2018, გვერდი 26.

¹¹⁷ <https://www.accountinghub-online.com/green-clause-letter-of-credit/>

თუ რთულ დათქმაზე შეთანხმებიან, დოკუმენტური აკრედიტივის ანგარიშსწორების ეტაპები უცვლელი რჩება.

12. დოკუმენტურ აკრედიტივსა და საბანკო გარანტიის შედარებითი ანალიზი

მოგახსენებთ, რომ დოკუმენტური აკრედიტივისა და საბანკო გარანტიის სამართლებრივი შინაარსი თითქმის ერთმანეთის მსგავსია. აკრედიტივითა და საბანკო გარანტიით გათვალისწინებული ანგარიშსწორება გულისხმობს არა საქონელს, არამედ დოკუმენტაციის ბრუნვასა და ვალდებულების ჯეროვნად შესრულებას.¹¹⁸

აკრედიტივის დოკუმენტური შინაარსის გათვალისწინებით, ბანკი ამოწმებს არა საქონლის ვარგისიანობას ან მომსახურებას, არამედ წარმოდგენილ დოკუმენტაციას. საბანკო დაწესებულება აწარმოებს მხოლოდ და მხოლოდ გადახდის პროცედურას. მის კომპეტენციაში არ შედის ვალდებულების შესრულების ხარისხის ან ნამდვილობის შემოწმება. დოკუმენტური აკრედიტივის გადახდა ხორციელდება ვალდებულების შესრულებისას.¹¹⁹

აკრედიტივი და საბანკო გარანტია გამოირჩევა დოკუმენტური ბუნებით. აკრედიტივიდან გამომდინარე ურთიერთობებში ბანკის ვალდებულება დამოუკიდებელია მისი კლიენტის მიერ ხელშეკრულების მხარესთან დადებული ხელშეკრულებისაგან.¹²⁰

საერთაშორისო პრაქტიკაში დოკუმენტურ აკრედიტივსა და საბანკო გარანტიას შორის განსხვავებებსა და მსგავსებებზე უამრავი განხილვაა. დოკუმენტური აკრედიტივისა და საბანკო გარანტიას შორის მსგავსება მდგომარეობს იმაში, რომ ორივე არის

¹¹⁸ ზამბახიძე თ., დოკუმენტური აკრედიტივი - საერთაშორისო ანგარიშსწორების ფორმა, ქართული სამართლის მიმოხილვა, 5/2002, გვერდი 74.

¹¹⁹ ზამბახიძე თ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი 876-ე მუხლი, 4.

¹²⁰ <https://swarb.co.uk/edward-owen-engineering-ltd-v-barclays-bank-international-ltd-ca-1978/>

დინანსური რისკის მინიმალიზაციის მექანიზმი. ორივე ხელშეკრულება იმის პირობას იძლევა, რომ მსესხებელი გაისტუმრებს ვალს ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებით. როგორც საბანკო გარანტია, ასევე დოკუმენტური აკრედიტივი ერთმანეთის მსგავსად ორივე ბენეფიციარისთვის გადასახდელ კონკრეტულ თანხაზე გასცემს გარანტიას. თუმცა დოკუმენტური აკრედიტივისგან განსხვავებით თანხას იხდის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოწინააღმდეგე მხარე არ შეასრულებს გარანტიით გათვალისწინებულ ვალდებულებას. ხოლო დოკუმენტური აკრედიტივის შემთხვევაში, აპლიკანტის მიერ თანხა უკვე ემიტენტი ბანკის ანგარიშზეა დარიცხული. ხოლო ბანკი შუამავლის როლს ასრულებს და მხოლოდ დოკუმენტების შემოწმების შემდგომ ხდება გადარიცხვის დადასტურება.¹²¹

მთავარი განმასხვავებელი ფაქტორი, რაც არსებობს საბანკო გარანტიასა და დოკუმენტურ აკრედიტივს შორის არის მათი ამოქმედების წინაპირობები - საბანკო გარანტიის შემთხვევაში - პრინციპალის მიერ ვალდებულების დარღვევა, ხოლო დოკუმენტური აკრედიტივის შემთხვევაში - ვალდებულების შესრულება. ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ საბანკო გარანტია უზრუნველყოფის საშუალებაა და, მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტური აკრედიტივის ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენს მყიდველის მიერ თანხის გადახდის უზრუნველყოფა, მისი ძირითადი არსი სწორედ რომ გადახდის საშუალებაა. აკრედიტივის საფუძველზე ბანკი იღებს არა მოვალის სანაცვლოდ ვალდებულების შესრულების, კერძოდ, თანხის გადახდის ვალდებულებას, არამედ, იგი პირველად იღებს ვალდებულებას გადაიხადოს შესაბამისი მიმართვის საფუძველზე.¹²²

საქმეში *Interco v. Notis Shipping Corporation of Liberia, The Bhoja Trader* აღინიშნა, რომ დოკუმენტური აკრედიტივი ზოგჯერ განხილულ უნდა იქნეს, როგორც საბანკო

¹²¹ Welter in Munchener kommentar zum Handelsgesetzbuch, J. Bankgarantie, J 18.

¹²² ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2014, გვერდი 210.

გარანტია. ეს ორი უკანასკნელი კომერციულ ურთიერთობებში უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია. მსგავსებებთან ერთად, სხვაობებიც არსებობს დოკუმენტურ აკრედიტივსა და საბანკო გარანტიას შორის. დოკუმენტური აკრედიტივი საბანკო ანგარიშსწორების ერთ-ერთი ფორმაა. კერძოდ, საბანკო დაწესებულება ახდეს ანგარიშსწორებას ვალდებულების შესრულების შემთხვევაში, ხოლო გარანტია გახლავთ უზრუნველყოფის საშუალება. ეს უკანასკნელი გამოიყენება კრედიტორის ინტერესების დასაცავად.¹²³

მიუხედავად მსგავსებებისა, საბანკო გარანტიასა და დოკუმენტურ აკრედიტივს შორის მნიშვნელოვანი განმასხვავებელი ფაქტორებიც არსებობს. კერძოდ, ერთი მხრივ, აკრედიტივი იცავს გამყიდველის ინტერესებს ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის არსებობის დროს. მნიშვნელოვანია, რომ აკრედიტივი კრედიტორის პირველადი მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალებაა, ხოლო საბანკო გარანტია ინსტრუმენტი ვალდებულების დარღვევისას. საბანკო გარანტია არაფულადი მოთხოვნის უზრუნველყოფის სახელშეკრულებო სამართლებრივი გარიგებაა. მნიშვნელოვანია, რომ აკრედიტივს გააჩნია გადახდის ფუნქცია. ბანკი არ იღებს მოვალის სანაცვლოს გადახდის ვალდებულებას.¹²⁴

გარანტის მიერ კეთილსინდისიერების ფარგლებში მოქმედების ვალდებულება, უფრო დიდ დატვირთვას იძენს უპირობო საბანკო გარანტიის შემთხვევაში.¹²⁵ აღნიშნული გარკვეულწილად ბენეფიციარის მხრიდან უფლების ბოროტად გამოყენების ერთგვარი რისკის მატარებელია, ხოლო აღნიშნულ რისკს დოკუმენტური აკრედიტივის და

¹²³ Miss L., Letter of Credit: Injunctions as a Remedy of Fraud in UCCm, sec. 5-114, 1979, 495.

¹²⁴ ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2014, გვერდი 210.

¹²⁵ ათაბეგაშვილი დ., „საგარანტიო ვალდებულების დამოუკიდებლობის ხარისხი და მისი პირობითობის დამღვეის მიზანშეწონილობა,“ სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ნიუ ვიქენ უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, 2018, გვერდი 72.

პირობითი საბანკო გარნატის შემთხვევაში შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენის და მისი შემოწმების სავალდებულო წესი აბალანსებს.

13. „დოკუმენტური შესაბამისობის“ სტანდარტი

დოკუმენტური აკრედიტივის საფუძველზე ანგრიშსწორების მთავარ წესს ადგენს “Documentary Compliance”, იგივე დოკუმენტური შესაბამისობის სტანდარტი. დოკუმენტური შესაბამისობის სტანდარტი ფარგლებში ხდება პრეზენტირებული დოკუმენტაციის შემოწმება. ამ პროცესში მყიდველის მომსახურე ბანკი არ სცდება მისთვის წარდგენილი დოკუმენტაციის ფარგლებს და მას არ ეხება და არც შეიძლება ეხებოდეს ძირითადი ნასყიდობის ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების დეტალები. სწორედ „Documentary Compliance“ ავლებს დამოუკიდებლობის ხაზს დოკუმენტურ აკრედიტივს და ნასყიდობის ძირითად კონტრაქტს შორის. ამასთან, დოკუმენტური შესაბამისობის სტანდარტი და მკაცრი შესაბამისობის სტანდარტი ერთმანეთთან ასოცირებული წესებია, თუმცა მათ ურთიერთგანსხვავებასთან დაკავშირებით ჩემი მოსაზრება წინამდებარე ნაშრომით ასევე შემოთავაზებულია.

დოკუმენტური აკრედიტივის ფარგლებში წარმოდგენილი ყველა სახის დოკუმენტის შემოწმების იმპერატიული მოთხოვნის მიზანია, რომ მკაცრად შესრულდეს ხელშეკრულების პირობები. საქმეში ინგლისი, შოტლანდია და ავსტრალიური ბანკი, სამხრეთ აფრიკის წინააღმდეგ, მოსამართლე ბაილჰეშმა განაცხადა: ელემენტარულია იმის თქმა, რომ პირი, რომელიც ეყრდნობა აკრედიტივს, უნდა გააკეთოს ეს მისი პირობების ზუსტი დაცვით. ასევე ელემენტარულია იმის თქმა, რომ ბანკი არ არის ვალდებული შეამოწმოს და უფლება აქვს უარყოს ის დოკუმენტები, რომლებიც არ შეესაბამება აკრედიტივს.¹²⁶

¹²⁶ ENGLISH, SCOTTISH AND AUSTRALIAN BANK, LTD., v. THE BANK OF SOUTH AFRICA. [1922] 13 Ll.L.Rep. 2;

ამ პრინციპის თანახმად, ექსპორტიორმა უნდა დაიცვას აკრედიტივის წერილობითი ტერმინები. თუ რაიმე შეუსაბამობა ან შეუსაბამობა ხდება ექსპორტიორის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებსა და საკრედიტო წერილში რეალურად მითითებულს შორის, ბანკს შეუძლია უარი თქვას გადახდაზე. ამრიგად, აკრედიტივით მყიდველს აქვს ბანკის დაცვა, რომელიც მკაცრად აკონტროლებს დოკუმენტებს, გამყიდველს კი აქვს გადახდის უფლება, თუ ყველა დოკუმენტი აკრედიტივის აკმაყოფილებს. მაგრამ პრობლემა ის არის, თუ რამდენად მკაცრი უნდა იყოს შესაბამისობა. ზოგიერთი სასამართლო დაჟინებით მოითხოვს სიტყვასიტყვით შესაბამისობას, ასე რომ არასწორად დაწერილი სახელი ან ტიპოგრაფიული შეცდომები შეიძლება იყოს გადახდაზე უარის თქმის განსხვავება. სხვები იღებენ გადახდას დოკუმენტური მოთხოვნების არსებითი დაცვით. ამასთან, უნდა გვახსოვდეს, რომ ბანკმა შეიძლება მოითხოვოს აკრედიტივის ყველა მოთხოვნის მკაცრი დაცვა და, შესაბამისად, ბენეფიციარმა უნდა უზრუნველყოს სწრაფი დოკუმენტაციის წარდგენა. ვინაიდან გამყიდველს ძალზე შეზღუდული აქვს დაცვა თავის დასაცავად, მან უნდა შეამოწმოს თავისი ბანკი, როდესაც ეჭვი ეპარება საკრედიტო წერილში გაურკვეველი საგნების ინტერპრეტაციაში.¹²⁷

აკრედიტივი დაკავშირებულია დოკუმენტებთან და არა საქონელთან, რომელთა დაკავშირებითაც იდება აღნიშნული. აკრედიტივის დოკუმენტური შინაარსიდან გამომდინარე, სამართალში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია მის დოკუმენტური და მკაცრი შესაბამისობის სტანდარტს.

პრაქტიკაში ბენეფიციარის მიერ ბანკში წარდგენილ დოკუმენტებში აკრედიტივის პირობებთან შეუსაბამობები საკმაოდ ხშირია. აკრედიტივის ფარგლებში წარდგენილი დოკუმენტების ორი მესამედი მინიმუმ ერთ შეუსაბამობას მაინც შეიცავს

¹²⁷ Documentary Risk in Commodity Trade, UNCTAD/ITCD/COM/Misc. 31, გვერდი 10.

საერთაშორისო სავაჭრო პრაქტიკაში და შესაბამისად ხშირ შემთხვევაში ბანკები უარს აცხადებენ ბენეფიციარისათვის თანხის გადახდაზე. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ეს სტატისტიკა არ უნდა იყოს გასაკვირი, ვინაიდან აკრედიტივით შეთანხმებულ წარსადგენ დოკუმენტთა სია საკმობად დიდია, რომლებიც თავის მხრივ მრავალ დეტალური ინფორმაციას შეიცავს.¹²⁸

ხშირ შემთხვევაში ბანკის მიერ გამოვლენილი შეუსაბამობები უმნიშვნელო ხასიათისა და მხარეებს (მყიდველი-გამყიდველი) მიუხედავად ხარვეზისა შესაძლოა სურდეთ ტრანზაქციის დასრულება. ბიზნესისათვის გარიგების დასრულება გაცილებით მომგებიანია, ვიდრე სასამართლო დავა. UCP-ი აძლევს ბანკებს საშუალებას, მაგრამ არ ავალდებულებს, ასეთი ტიპის შეუსაბამობების გამოვლენის შემთხვევაში მისი ინიციატივით გამართოს მყიდველთან კონსულტაციები.¹²⁹

პირველად ტერმინი (doctrine of „strict compliance“) დაამკვიდრა ვისკონტის ლორდთა პალატის სასამართლომ ერთ-ერთი სასამართლო განხილვის დროს: „არ არსებობს ოთახი დოკუმენტებისთვის, რომელიც ზუსტად იდენტურად შექმნის მათ. ბანკის ფილიალი საზღვარგარეთ, რომელიც ვერ ერკვევა აკრედიტივით დაფინანსებულ ბიზნეს ტრანზაქციის დეტალებზე, ვერ აიღებს თავის თავზე იმის გადაწყვეტილებას, თუ რა დოკუმენტი იქნება კარგი ან ცუდი ტრანზაქციისთვის. თუ ბანკი შეასრულებს იმას რაც ევალება აკრედიტივის დროს, მაშინ იგი დაცული იქნება, ხოლო თუ გადაუხვევს თავის უფლებამოსილებას და დაიწყებს დოკუმენტების სამართლებრივ შეფასებას, მაშინ ბანკი მოქმედებს თავისი რისკით და თავის თავზე იღებს ტრანზაქციის განხორციელების რისკებს“.¹³⁰

¹²⁸ ამილახვარი გ., „საერთაშორისო დოკუმენტური აკრედიტივის სამართლებრივი ბუნება,“ სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი, 2017, გვერდი 89.

¹²⁹ იქვე.

¹³⁰ Viscount Sumner of the House of Lords in „Equitable Trust Co. of New Yourk v. Dawson Partners Ltd. (1927) 27Li.L.Rep.49,52; Martin Davies, David V.Snyder, International Transaction in Goods, USA, Oxford University Press, 2014, გვერდი 287.

დოქტრინის მთავარი პრინციპია: დოკუმენტი ზუსტად შეესაბამებოდეს აკრედიტივის პირობებს, ბანკებს არანაირი ვალდებულება არ ეკისრებათ განსაზღვრონ დოკუმენტების სამართლებრივი საფუძვლები; არ არის საკმარისი თითოეული დოკუმენტების შედარება აკრედიტივის პირობებთან, აუცილებელია მათი ერთმანეთთან შედარება ინფორმაციის უტყუარობის დასადასტურებლად. თუ ბანკი დაამოწმებს დოკუმენტებს იგი ვალდებულია „prima facia” დაშვებით პირდაპირ აუნაზღაუროს თანხა ბენეფიციარს, ხოლო თუ აღმოაჩენს შეუსაბამობებს, ბენეფიციარს უფლება აქვს კვლავ წარადგინოს დოკუმენტები აკრედიტივის ვადის ამოწურვამდე. ზუსტი შესატყვისობის პრინციპი არ ზღუდავს ბენეფიციარის მოთხოვნის უფლებას თანხის მიღებაზე. ბენეფიციარი წინასწარ წერილობით ინფორმირებულია, თუ რა საბუთები უნდა წარადგინოს ბანკში, ხოლო თუ ბანკი არ დაამოწმებს დოკუმენტებს მას უფლება აქვს ხელახლა წარუდგინოს ბანკს უკვე ხარვეზ გამოსწორებული დოკუმენტები.¹³¹

ამ დოქტრინის გამოყენებამ შედეგი გამოიღო დიდი მოცულობით წარმოდგენილი დოკუმენტები უარყოფილ იქნა შეუსაბამობის გამო. შედეგად, დოქტრინა მოექცა ზედმეტი კონტროლის ქვეშ, რამაც გამოიწვია მე -13 მუხლის შეცვლა UCP 500, რომლის თანახმადაც მკაცრი შესაბამისობის დოქტრინა დამკვიდრდა.

საქმეზე (J.H. Rayner Co Ltd v Hambros Bank Ltd) დოკუმენტური აკრედიტივი ითვალისწინებდა, რომ გადახდა უნდა განხორციელებულიყო ბენეფიციარის მიერ წარდგენილი კომერციული ინვოისის და სატრანსპორტო ზედნადების საფუძველზე, სადაც მითითებული იქნებოდა საქონლის დასახელება (Coromandel groundnuts), მაგრამ გამყიდველმა წარმოადგინა სატრანსპორტო ზედნადები, სადაც საქონლის დასახელებად მითითებული იყო (machine- shelled groundnut kernels), ხოლო

¹³¹ THE EXCEPTIONS TO THE PRINCIPLE OF AUTONOMY OF DOCUMENTARY CREDITS By CHUMAH AMAEFULE, School of Law University of Birmingham August 2011, გვერდი 94.

კომერციულ ინვოისში კი (Coromandel groundnuts) აკრედიტივის პირობების შესაბამისად. ბანკმა უარი განაცხადა თანხის ბენეფიციარისთვის გადახდაზე, დაადგინა რა საქონლის სახელწოდების შეუსაბამობა სატრანსპორტო კონოსამენტში აკრედიტივის პირობებთან. ბენეფიციარმა ბანკის წინააღმდეგ შეიტანა სარჩელი. როგორც აღმოჩნდა ბენეფიციარის მიერ სატრანსპორტო ზედნადებში მითითებული საქონლის სახელწოდება სავაჭრო პრაქტიკაში ყოფილა საქონლის მნიშვნელობის იდენტური, რაც აკრედიტივის პირობებით იყო გათვალისწინებული. სასამართლომ უარყო ბენეფიციარის მოთხოვნა თანხის გადახდაზე, ვინაიდან დარღვეულად ცნო შესაბამისობის დოქტრინა, რაც უმთავრესია აკრედიტივის მექანიზმში, მით უფრო დარღვევას ადგილი ქონდა სატრანსპორტო ზედნადებში. სასამართლომ ასევე გაიზიარა ბანკის არგუმენტი იმასთან დაკავშირებით, რომ საერთო ტექნიკურ ტერმინებთან დაკავშირებული ამ საქონლით მოვაჭრე ვაჭრებს შორის წარმოდგენები არა არსებითი იყო ბანკისთვის. მოსამართლემ განმარტა, რომ შეუძლებელია ბანკმა იცოდეს სავაჭრო პრაქტიკაში დამკვიდრებული წესები, ტერმინები და ჩვეულებები. მოსამართლეს განმარტებით ბანკი არ არის ვალდებული ეძიოს კონკრეტული ტერმინის მნიშვნელობა. შესაბამისად მოსამართლე Goddard L.J -იმ განაცხადა „მე ვეწინააღმდეგები იმ აზრს, რომ ბანკებმა უნდა იცოდნენ თავიანთი კლიენტების ვაჭრობის სპეციფიკა“.¹³²

როდესაც ბენეფიციარი წარუდგენს ბანკს ორაზროვანი პირობის დოკუმენტებს, სავაჭრო-საბანკო პრაქტიკიდან გამომდინარე ბანკი ვალდებულია დაადასტუროს დოკუმენტების შესაბამისობა და გადაუხადოს თანხა გამყიდველს, თუ დოკუმენტები ავსებენ ერთმანეთს და რომელთა ერთობლივი შინაარსიც შეესაბამება აკრედიტივის პირობებს.¹³³

¹³² ამილახვარი გ., „საერთაშორისო დოკუმენტური აკრედიტივის სამართლებრივი ბუნება,“ სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი, 2017, გვერდი 96.

¹³³ იქვე.

მკაცრი შესაბამისობის პრინციპი მიზნად ისახავს დაიცვას მყიდველი, რომელსაც არ აქვს შესაძლებლობა შეამოწმოს საქონელი და გააკონტროლოს გამყიდველის ქვეყანაში საქონლის დატვირთვის პროცესი, გეოგრაფიული მანძილის გამო. ამრიგად, დოკუმენტები არის ერთადერთი გარანტია მყიდველისთვის. დოკუმენტები ადასტურებს, რომ საქონელი სათანადოდ იქნა მიწოდებული ნასყიდობის ხელშეკრულების შესაბამისად. ამავდროულად, მკაცრი შესაბამისობის პრინციპს სარგებელს მოაქვს გამყიდველისთვის სწრაფი გადახდის უზრუნველყოფით. გამყიდველს არ ევალება ლოდინი, სანამ საქონელი უსაფრთხოდ მიაღწევს მყიდველის ქვეყანამდე. გამყიდველს შეუძლია მოითხოვოს გადახდა გაყიდულ საქონელზე ბანკში მყიდველის მოთხოვნილი დოკუმენტების წარდგენით მას შემდეგ, რაც საქონელი მყიდველს გადაეგზავნება. ამრიგად, აუცილებელია გამყიდველის დოკუმენტები შეიცავდეს საქონლის ნამდვილ აღწერას. წინააღმდეგ შემთხვევაში, მყიდველს უფლება გააჩნია ბანკს დაავალოს უარი თქვას დოკუმენტებზე, რომლებიც შეუსაბამოდ მიიჩნევა.¹³⁴

მყიდველისა და გამყიდველის გარდა, ბანკიც სარგებლობს მკაცრი შესაბამისობის პრინციპის გამოყენებით. ბანკი დაცული იქნება სამართლებრივი ზემოქმედებისგან მანამ, სანამ გამყიდველისთვის გადახდა განხორციელდება გამყიდველის დოკუმენტების მკაცრი დაცვით. განურჩევლად, მყიდველის მიერ მიღებული საქონლის მდგომარეობისა. ვინაიდან ბანკებს, როგორც წესი, აქვთ შეზღუდული გამოცდილება საქონელსა თუ მრეწველობაში, არ მოეთხოვებათ ცოდნა კომერციული ტერმინოლოგიის ყველა ასპექტში. უმეტეს შემთხვევაში, ბანკმა არც კი იცის რა სახის საქონლის გარიგება ხდება გამყიდველსა და მყიდველს შორის. მაშასადამე, მაშინაც კი, თუ რაიმე პრობლემა იქნება მიწოდებულ საქონელთან დაკავშირებით, ბანკი არ იქნება

¹³⁴ Alan Davidson, "Commercial Laws in Conflict - An Application of the Autonomy Principle in Letters of Credit," 6 Int'l. Trade & Bus. L. Ann. 65 (2001).

პასუხისმგებელი გამყიდველისთვის გადახდის გადაცემაზე, სანამ საბუთები მოწესრიგებულია. ბანკი არ არის ვალდებული უზრუნველყოს და შეამოწმოს, რომ მყიდველს მიწოდებული საქონელი აკმაყოფილებს ნასყიდობის ხელშეკრულების სპეციფიკაციებს.¹³⁵

გასაკვირია, რომ მიუხედავად იმისა, რომ ეს არის ფუნდამენტური პრინციპი, რომელსაც ემყარება საერთაშორისო სავაჭრო გარიგებები, მკაცრი შესაბამისობის მოთხოვნა არ არის ნახსენები UCP–ის არცერთ ვერსიაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, UCP, როგორც ზოგადი ხასიათის ნორმები, არ იძლევა მითითებებს იმის შესახებ, თუ რამდენად არის შეუსაბამობის ხარისხი ან პარამეტრი, რაც ბანკს გაამართლებს, რომ შეაჩეროს გადახდა დოკუმენტური შეუსაბამობის საფუძველზე. UCP 600–ის დანერგვამდე, UCP–ის არც ერთი წინა გადასინჯვა (მათ შორის UCP 1993) არ ითვალისწინებდა მკაცრი შესაბამისობის საკითხს.¹³⁶

ვინაიდან არ იყო სტანდარტული პარამეტრები, რომლებიც დადგენილი იყო UCP–ის წინა გადასინჯვებით, დოკუმენტებში მოთხოვნილი შესაბამისობის სტანდარტის განსაზღვრის ამოცანა სასამართლოს გადასაწყვეტია.¹³⁷ ცხადია, ამ ხარვეზმა ხელი შეუწყო სასამართლო პრაქტიკაში განსჯის კონფლიქტს, ასევე საბანკო პრაქტიკის გაურკვეველობას. წლების განმავლობაში, მოსამართლეები და ექსპერტები იბრძოდნენ იმისთვის, რომ მიეღოთ ფორმულა მკაცრი შესაბამისობის სტანდარტის დასადგენად, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა განსხვავებული მოსაზრებები და შეხედულებები. ზოგადად, მკაცრი შესაბამისობის სტანდარტი იყოფა პირდაპირი და არსებითი შესაბამისობის სტანდარტებად. სიტყვასიტყვით შესაბამისი სტანდარტი მოითხოვს შესაბამისობის მაღალ სტანდარტს. დოკუმენტები მკაცრად უნდა შეესაბამებოდეს

¹³⁵ J.H. Rayner Co Ltd v. Hambro's Bank Ltd [1943] K.B. 37.

¹³⁶ Charles M.R. Vethan, "The Sacred Cow of Equity and Strict Compliance in Letter of Credit Law: Recent Trends and Projections," (1994), 6-SPG Int'l Legal Persp. გვერდი 45-დან 48-მდე.

¹³⁷ STEFANO FERRERO, SOME CONSIDERATIONS ON THE DOCTRINE OF STRICT COMPLIANCE AND THE AUTONOMY PRINCIPLE IN DOCUMENTARY CREDIT, გვერდი 4.

მოთხოვნებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის უნდა იყოს "სარკისებური სურათი". ეს სტანდარტი ვარაუდობს, რომ მცირედი შეცდომები, როგორცაა ტიპოგრაფიული შეცდომები, შეიძლება ჩაითვალოს შეუსაბამობად, რაც ბანკს საშუალებას აძლევს უარი თქვას დოკუმენტებზე. ეს აუცილებელია იმისათვის, რომ დავიცვათ ბანკების ვალდებულებების სფერო, რომელიც შემოიფარგლება მხოლოდ დოკუმენტების მიღების სახით. ის ასევე იცავს ბანკებს კლიენტების საჩივრებისა და პრეტენზიებისგან. არანაკლებ მნიშვნელოვანი, ის ემსახურება ბანკის საიმედოობასა და გარანტიას უწყვეს ბენეფიციარისათვის თანხის გადახდას.¹³⁸

მნიშვნელოვანია ისიც, რომ მიუხედავად გამოყენებული სტანდარტისა, დოკუმენტების შემოწმება, რომელიც მოიცავს ჩვეულებრივი ადამიანის მიერ შემოწმებას, არ უნდა ჩატარდეს მეცნიერული მეთოდით, არამედ უნდა იყოს რეალისტური. გარდა ამისა, შესაბამისობის სტანდარტის საკითხი სუბიექტურია და ეს დამოკიდებულია კონკრეტულ და ინდივიდუალურ მიდგომაზე. ზოგიერთმა ბანკირმა შეიძლება ერთ დოკუმენტთან შეუსაბამობა შეაფასოს როგორც შეუსაბამობა, ზოგმა - მოთხოვნის შინაარსიდან გამომდინარე, შესაბამისად და განიხილოს, როგორც მოთხოვნის/ვალდებულების შესრულებად.¹³⁹

ამჟამინდელი UCP 600 არის ICC-ის მცდელობა გადაჭრას ის პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია მკაცრ შესაბამისობასთან და დოკუმენტურ შეუსაბამობებთან, რომლებიც წარმოიქმნება UCP 500 -ის გამოყენების შედეგად. მიზანი გახლავთ ის, რომ შემცირდეს პრინციპთან მიმართებაში პოტენციური უთანხმოებები. გამყიდველის დოკუმენტებში აღმოჩენილი შეუსაბამობების მაღალი მაჩვენებლის გათვალისწინებით, ICC-ს სამუშაო ჯგუფებმა გამოუშვეს ახალი UCP 600. ახალი ვერსია მიზნად ისახავს შეამციროს მკაცრი მოთხოვნები UCP 500 დოკუმენტებზე.

¹³⁸ Ravi Mehta, Does UCP 600 Soften or End the Doctrine for Strict Compliance? LC

¹³⁹ Mohamed Ibrahim M Adam, The Problem Relating to The Interpretation of Strict Compliance Rule in Letters of Credits Practice, May 13, 2006, გვერდი 64.

სხვადასხვა შეხედულებები და კომენტარები UCP 600-ის ამჟამინდელ წესებზე ასახავს მას როგორც მომხმარებლისთვის უფრო მოსახერხებელ და უფრო მარტივ მითითებას ადრინდელ UCP-ის N500 ვერსიასთან შედარებით.¹⁴⁰

ამჟამინდელი UCP მე-16 მუხლის (ბ) დებულების მეშვეობით, როგორც ჩანს, არის მექანიზმი დოკუმენტების უმეტესი ნაწილისათვის გადაცემისათვის. მიუხედავად ამისა, მე-16 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის სიტყვა „შეიძლება“ გულისხმობს იმას, რომ ბანკს აქვს დისკრეციული უფლებამოსილება მიმართოს და აცნობოს შეუსაბამობები დოკუმენტების შესახებ მხარეს.¹⁴¹

მკაცრი შესაბამისობის პრინციპის გამოყენებამ შეიძლება ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, პროცესი გაართულოს, თუ გამყიდველის მხრიდან მოწოდებული დოკუმენტები უარყოფილია შეუსაბამობის გამო. ასეთ შემთხვევაში, მყიდველი უნდა დაელოდოს გამყიდველს, რომ გამოასწოროს უარყოფილი დოკუმენტები. ამ შეფერხებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს მყიდველის ბიზნეს გრაფიკზე და გამოიწვიოს მოგების დაკარგვა. მიუხედავად იმისა, რომ მყიდველს უფლება აქვს უარი თქვას შეუსაბამობებზე, პრაქტიკაში, საბოლოო სიტყვა უმეტეს შემთხვევაში მაინც ბანკთან არის დაკავშირებული.

დოკუმენტების შეუსაბამობით გამოწვეული დაბრკოლება უარყოფით გავლენას ახდენს აკრედიტივზე, როგორც გადახდის საშუალებაზე. ეს ფენომენი არ უნდა იყოს იგნორირებული, რადგან ის გავლენას ახდენს აკრედიტივის მთლიანობაზე. მას შემდეგ, რაც აღმოჩნდება, რომ დოკუმენტი შეიცავს შეუსაბამობებს, სავარაუდოდ, მთელი პროცესი გაჭინაურდება და გაიწელება.. ამგვარი შეუსაბამობა იწვევს არასაჭირო კონფლიქტს.

¹⁴⁰ Charles Debattista, “The New UCP 600 - Changes to the Tender of the Seller’s Shipping Documents under Letters of Credit,” (2007) J.B.L., JUN, 329-354

¹⁴¹ Article 2, UCP 600.

უახლესი UCP 600 არსებობა ითვალისწინებს კომპრომისის უფრო მაღალ ხარისხს მკაცრი შესაბამისობის პრინციპთან მიმართებაში. UCP 600 -ის მიერ შემოთავაზებული უფრო მკაცრი დაცვა არ ნიშნავს იმას, რომ მონაცემების შინაარსი ნებისმიერ დოკუმენტში შეიძლება იყოს "შეუსაბამო". ის მხოლოდ აფართოებს შესაბამისობის ფარგლებს, როდესაც ნებისმიერი დოკუმენტის მონაცემები შეიძლება მკვეთრად განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან, მაგრამ არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ერთმანეთს. აღნიშნული შეესაბამება თითოეული დოკუმენტის განსხვავებულ მიზნებსა და ფუნქციებს, სადაც რომელიმე დოკუმენტში შემავალი ექსპრესიული ფორმულირება შეიძლება ოდნავ განსხვავდებოდეს სხვა დოკუმენტებში გამოხატული ფორმულირებისგან. შესაბამისობის ეს ახალი მიდგომა ითვალისწინებს აკრედიტივის გამარტივებულ გადახდას, ვიდრე შეუსაბამობების ძიებას და დოკუმენტების შემოწმების პროცესში ამგვარი შეუსაბამო დოკუმენტების უარყოფას. მოკლედ რომ ვთქვათ, ამჟამინდელი UCP 600 ზღუდავს ბანკების მიერ დოკუმენტების განხილვის სიღრმეს და იძლევა სიმსუბუქეს შეუსაბამო დოკუმენტებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტისას.¹⁴²

მკაცრი შესაბამისობის წესი ეხება გამყიდველის მომსახურე ბანკს და თან ახლავს ის უარყოფითი მხარე, რომ თუ გამყიდველი მხარე პრეზენტირებული დოკუმენტაციით ვერ უზრუნველყოფს აკრედიტივში მოცემული საჭიონლის ზუტ აღწერას და ანგარიშსწორებისათვის შეთანხმებულ სხვა აუცილებელ გარემოებებს, მკაცრი შესაბამისობის სტანდარტის მოთხოვნა არ ჩაითვლება შესრულებულად.¹⁴³

¹⁴² LC Views, Interview with T.O. Lee, 2 April, 2006.

¹⁴³ THE DEVELOPMENT IN THE LEVEL OF COMPLIANCE IN THE LAW OF DEMAND GUARANTEES BY JOYCE PHIRI STUDENT NUMBER: 201015597, UNIVERSITY OF JOHANNESBURG, გვერდი 41.

14. უფლების ბოროტად გამოყენების რისკი

მოგახსენებთ, რომ დოკუმენტური აკრედიტივი ყოველ წლიურად 100 ბილიონ აშშ დოლარზე მეტ საბანკო ვალდებულებას წარმოადგენს. საერთაშორისო ვაჭრობის 60%-ზე მეტი იწარმოება სწორედ დოკუმენტური აკრედიტივის საშუალებით. აკრედიტივი როგორც იმპორტიორის, ასევე ექსპორტიორის რისკს აბალანსებს. თუმცა, როგორც ყველა სამართლებრივი ურთიერთობა, დოკუმენტური აკრედიტივით სარგებლობა გარკვეული რისკების მატარებელია. ეს უკანასკნელი შეიძლება გამოიხატოს როგორც საზოგადო, აპლიკანტის, ბენეფიციარის, ბანკის და სხვა რისკებში.¹⁴⁴

შეფასებულია, რომ დოკუმენტური კრედიტების 90%-ს გააჩნია გარკვეული სირთულეები. ძალიან იშვიათია, საბოლოო ჯამში, მყიდველი და გამყიდველი ორივე კმაყოფილი იყოს. შეუსაბამობა შეიძლება გამოიხატებოდეს (გადავადების თარიღებში, მოთხოვნილი შემოწმების დოკუმენტების არარსებობაში, რაოდენობის არასათანადო მითითებაში და ა.შ.) და იმ პროცედურების რაოდენობის გამო, რომლებიც დაკავშირებულია დოკუმენტურ აკრედიტივთან. როგორც უკვე განმარტა, წარმოდგენილი დოკუმენტები ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს აკრედიტივში მითითებულს, ვინაიდან გადახდის სახით წარმოდგენილი დოკუმენტების სკრუპულოზურმა გამოკვლევამ შეიძლება შეამციროს თაღლითობის შემთხვევები.¹⁴⁵

”ფუნდამენტური პრინციპი, რომელიც მართავს დოკუმენტურ აკრედიტივებს და მის მახასიათებლებს, რაც მათ საერთაშორისო კომერციულ სარგებელსა და ეფექტურობას ანიჭებს იმაში, რომ გამცემი ბანკის ვალდებულება შესრულდეს, აკრედიტივით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, დამოუკიდებელია ძირითადი ხელშეკრულების შესრულებაზე, რომლისთვისაც გაცემულია აკრედიტივი.”¹⁴⁶

¹⁴⁴ Documentary Risk in Commodity Trade, UNCTAD/ITCD/COM/Misc. 31, გვერდი 1.

¹⁴⁵ Documentary Risk in Commodity Trade, UNCTAD/ITCD/COM/Misc. 31, გვერდი 55.

¹⁴⁶ J.F. Dolan, Documentary Credit Fundamentals: Comparative Aspects, 3 Bank. & Fin.L.R (1988), გვერდი 121.

დოკუმენტური აკრედიტივის გენერალურ რისკს საზოგადო რისკები წარმოადგენენ. კერძოდ, სახელმწიფოს მხრიდან გამოწვეული რისკები. აღნიშნული უკავშირდება პოლიტიკურ და საკანონმდებლო რისკებს. სახელმწიფოს მხრიდან რომელიმე რეგულირების ცვლილებასმ შესაძლოა ხელი შეუშალოს დოკუმენტური აკრედიტივით გათვალისწინებულ პირობებსა და ანგარიშსწორებას. პოლიტიკური რისკებიდან კი ყველაზე გავრცელებული ომი, საზოგადოებრივი არეულობა, სახელმწიფო გადატრიალება და ტერორიზმია. ამასთანავე, კონტროლის დაწესება უცხოურ ვალუტაზე ანდა გადარიცხვების შეზღუდვა და ა.შ.

დოკუმენტურ აკრედიტივთან მიმართებაში, მნიშვნელოვანი რისკია თაღლითობა. თაღლითობა საკმაოდ ძველი და სამართლის თითქმის ყველა დარგის მომცველი ფენომენია. იმ პერიოდიდან, საიდანაც არსებობს კომერციული სისტემა სხვადასხვა არაკანონიერი მანიპულაციების რისკი გამუდმებით არსებობს.

დოკუმენტები, რომლის საფუძველზეც ბანკი ახორციელებს დოკუმენტური აკრედიტივით გათვალისწინებულ გადარიცხვას, შესაძლოა ისე იქნას გაყალბებული, რომ მიმღებ მხარეს ეჭვი არც შეეპაროს მის ავთენტურობაში. შედეგად, მყიდველი, რომელიც იხდის ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანხას, ვერ იღებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საგანს, იქნება ეს საქონელი თუ მომსახურება.

აშშ-ში თაღლითობის საფრთხის კუთხით რამდენიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება არსებობს.

საქმე Higgins v. Steinhardter გახლავთ ერთ-ერთი ყველაზე ადრეული მაგალითი ამერიკის შეერთებულ შტატებში თაღლითობის შემთხვევის დოკუმენტურ აკრედიტივთან მიმართებაში. აღნიშნული თარიღდება 1919 წლით, რომელიც მოიცავდა ნასყიდობის ხელშეკრულებასა და ხელშეკრულების საგანი გახლდათ

კაკალი. გადახდა უნდა განხორციელებულიყო Monroe & Co-ს მიერ გაცემული აკრედიტივით.¹⁴⁷

სარჩელი შეიტანა მოსარჩელემ, რათა ბანკმა გააუქმა კრედიტი იმ მოტივით, რომ გადაზიდვა არ განხორციელებულა 1918 წლის დეკემბრამდე, რითაც გამყიდველმა დაარღვია ხელშეკრულება. მომჩივანმა ასევე განაცხადა, რომ კონოსამენტი გაყალბებულია და ტყუილად იყო მითითებული გადაზიდვის თარიღი 1918 წლის 30 ოქტომბერი. როდესაც მან ემიტენტის ბანკს აცნობა სავარაუდო თაღლითობის შესახებ, ბანკმა მის პასუხში განაცხადა, რომ ვალდებულია განახორციელოს გადახდა წარდგენილი ზედნადების საფუძველზე. სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება და მოსამართლე ფინჩმა განმარტა: „აშკარაა, რომ თუ გადაზიდვა განხორციელდა ამ თარიღის შემდგომ, გადახდა გაკეთებული იქნება არაავტორიზებულად.“ სიანგ გაო აღნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში მოსარჩელების „მთავარი არგუმენტი იყო გამყიდველის მიერ ხელშეკრულების დარღვევა და მათ არ უჩივლეს გამყიდველს თაღლითობისთვის. არც სასამართლომ დააფიქსირა თავისი გადაწყვეტილება თაღლითობის გამონაკლისზე. ეს შეიძლება განპირობებული იყოს იმით, რომ „თაღლითობის წესი აკრედიტივების კანონში ემბრიონული იყო იმ დროს სულ მცირე შეერთებულ შტატებში.“¹⁴⁸

საქმეში Old Colony Trust Co v. ადვოკატი Title & Trust,¹⁴⁹ მოსარჩელებმა დიდი თანხა გადასცეს გამყიდველს. ბრალდებულის მიერ გაცემული აკრედიტივი უზრუნველყოფის გარანტია იყო. აკრედიტივი სხვა დოკუმენტებთან ერთად ითხოვდა

¹⁴⁷ Universitat Autònoma de Barcelona, Spain, Faculty of Law Department of Private Law , THESIS FOR THE DEGREE OF DOCTOR OF PHILOSOPHY, EXCEPTIONS TO THE PRINCIPLE OF INDEPENDENCE IN DOCUMENTARY LETTERS OF CREDITS, BY: HAMED ALAVI, გვერდი 66. ციტ. Higgins v. Steinharterter [1919] 175 NYS 279.

¹⁴⁸ იქვე.

¹⁴⁹ Universitat Autònoma de Barcelona, Spain, Faculty of Law Department of Private Law , THESIS FOR THE DEGREE OF DOCTOR OF PHILOSOPHY, EXCEPTIONS TO THE PRINCIPLE OF INDEPENDENCE IN DOCUMENTARY LETTERS OF CREDITS, BY: HAMED ALAVI, გვერდი 67. ციტ. Old Colony Trust Co v Lawyers' Title and Trust Co (1924) 297 F 152.

საწყობის ქვითარს, რომელიც გაიცემოდა იმ შემთხვევაში, თუ საქონელი სასაწყობო მეურნეობას ეკუთვნოდა. ბანკისათვის მიწოდებული იყო შესაბამისი დოკუმენტები, თუმცა ბანკმა უარი თქვა გადახდაზე იმ მოტივით, რომ დოკუმენტების შემოწმებამ ცხადყო, რომ საქონელი რეალურად ჯერ კიდევ ბორტზე იყო.

გამყიდველმა ბრალდებულს უჩივლა ხელშეკრულების დარღვევისათვის, მაგრამ სასამართლომ უარი განაცხადა. სააპელაციო სასამართლომ დაადასტურა თავდაპირველი გადაწყვეტილება და დაადგინა: ”ცხადია, როდესაც აკრედიტივის გამცემმა იცის, რომ დოკუმენტი, მართალია ფორმაში სწორია, მაგრამ ფაქტობრივად, ყალბი ან უკანონოა, მან არ შეიძლება აღიაროს ასეთი დოკუმენტი.”¹⁵⁰ მოცემულ საქმეზე სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება და აღნიშნა, რომ ყალბი ან უკანონო დოკუმენტი არ შეიძლება ჩაითვალოს ავთენტურად.¹⁵¹

1925 წელს მოსამართლე კარდოზომ გააკეთა მნიშვნელოვანი განცხადება Maurice O'Meara Co v National Park Bank საქმეში.¹⁵² ნიუ იორკის ეროვნული პარკის ბანკმა გასცა დადასტურებული შეუქცევადი აკრედიტივი. მოსარჩელემ წარმოადგინა აკრედიტივის შესაბამისი დოკუმენტები და მოითხოვა აკრედიტივით გათვალისწინებული გადახდა. თუმცა, ეროვნული პარკის ბანკმა უარი თქვა გადახდაზე, ამტკიცებდა, რომ არსებობდა საფუძვლიანი ეჭვი დოკუმენტების ავთენტურობასთან დაკავშირებით.¹⁵³

მოსამართლე კარდოზომ განაცხადა: ”ხელშეკრულება მყიდველსა და გამყიდველს შორის არანაირად არ ეხებოდა ბანკს. ბანკის ვალდებულება იყო აკრედიტივით გათვალისწინებული თანხა, როდესაც წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ავთენტური

¹⁵⁰ იქვე.

¹⁵¹ იქვე.

¹⁵² Universitat Autònoma de Barcelona, Spain, Faculty of Law Department of Private Law , THESIS FOR THE DEGREE OF DOCTOR OF PHILOSOPHY, EXCEPTIONS TO THE PRINCIPLE OF INDEPENDENCE IN DOCUMENTARY LETTERS OF CREDITS, BY: HAMED ALAVI, გვერდი 68. ციტ. Maurice O'Meara Co v National Park Bank of New York 146 NE 636 (1925).

¹⁵³ იქვე.

დოკუმენტაცია. თუ მიწოდებული საქონელი არ შეესაბამებოდა შეძენილს, წონის, სახის ან ხარისხის მიხედვით, მაშინ შემსყიდველს ჰქონდა გამყიდველის მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

ბანკი დაინტერესებული იყო მხოლოდ მონახაზებითა და მათ თანმხლები დოკუმენტებით. ბანკს არ გააჩნდა დოკუმენტების ნამდვილობისა და საქონლის რაოდენობის, ხარისხის შემოწმების უფლებამოსილება.¹⁵⁴

საქმეში *ztejn v. Henry Schroeder Banking Corporation et al*¹⁵⁵ აღნიშნულ იქნა, ცალსახადაა დადგენილი, რომ აკრედიტივის ხელშეკრულება სრულად დამოუკიდებელია ნასყიდობის ხელშეკრულებისგან. აკრედიტივის გამცემი ბანკის ვალდებულებაა გათვალისწინებული თანხა გადაიხადოს დოკუმენტების წარსდგენის შემდგომ. აკრედიტივის ერთ-ერთი მთავარი მიზანი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ გამყიდველს უხდის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანხას. იმ შემთხვევაში, თუ ბანკის კომპეტენციას მივაწერთ დოკუმენტების ავთენტურობის შემოწმებას, გამოძიების დაწყებასა შესაბამისი პროცესუალური საკითხების წარმოებას, პირველ რიგში დროში გაიწელება დოკუმენტური აკრედიტივით გათვალისწინებული ქმედებები. ხოლო მეორე რიგში, საფუძველი დაედება უამრავ უთანხმოებას.¹⁵⁶

თაღლითობა აკრედიტივის ოპერაციებში სულ უფრო და უფრო რთულდება და მუდმივად იქმნება ახალი თაღლითური სქემები. ამ მხრივ, არსებობს ორი ძირითადი პრობლემა, რომელთა მოგვარებაც საჭიროა. პირველი, არ არსებობს საერთაშორისო დონეზე მიღებული სამართლებრივი რეჟიმი თაღლითობის რისკთან საბრძოლველად

¹⁵⁴ იქვე.

¹⁵⁵ Universitat Autònoma de Barcelona, Spain, Faculty of Law Department of Private Law , THESIS FOR THE DEGREE OF DOCTOR OF PHILOSOPHY, EXCEPTIONS TO THE PRINCIPLE OF INDEPENDENCE IN DOCUMENTARY LETTERS OF CREDITS, BY: HAMED ALAVI, გვერდი 54. ციტ. *Sztejn v Henry Schroeder Banking Corporation* 31 NYS 2d 631 (1941).

¹⁵⁶ იქვე.

საერთაშორისო გარიგებებში და ის დაფარულია ეროვნული წესებით. მეორე, საერთაშორისო გარიგებების თაღლითობის პრევენცია მკვლევარებმა არ შეისწავლეს საფუძვლიანად. საერთაშორისო ოპერაციებში თაღლითობის შემთხვევების მზარდმა რაოდენობამ განაპირობა თაღლითობის წესის აღიარება, როგორც დამოუკიდებლობის პრინციპის პირველი და უმთავრესი გამონაკლისი. მიუხედავად იმისა, რომ ერთი მხრივ, არ არსებობს ჰარმონიული დამოკიდებულება თაღლითობის წესის მიმართ სხვადასხვა იურისდიქციაში, მეორეს მხრივ, სამართლებრივი შემთხვევების დიდი რაოდენობა შეარყევს დოკუმენტური აკრედიტივების პოპულარობას, როგორც ვაჭრობის დაფინანსების მთავარ ინსტრუმენტს.¹⁵⁷

თაღლითობამ შეიძლება მნიშვნელოვანი ხარჯები დააკისროს კომპანიას. თაღლითობის რისკის მართვა შეიცავს ეფექტურ პრევენციულ და საპასუხო ზომებს, რომლებიც ასევე ვრცელდება თაღლითობის რისკის მართვის პროგრამებზე, რომლებიც გამოიყენება დოკუმენტურ აკრედიტივებზე. თაღლითობის რისკისადმი საერთაშორისო გარიგებების დაუცველობის მრავალი მიზეზი არსებობს, მათ შორის ბანკების მხოლოდ დოკუმენტებზე დამოკიდებულება, განმცხადებელსა და ბენეფიციარს შორის გეოგრაფიული მანძილი, გლობალურად მიღებული სამართლებრივი ჩარჩოს არარსებობა. თაღლითობის რისკის თავიდან ასაცილებლად და მათზე რეაგირების მიზნით, დოკუმენტური აკრედიტივების მუშაობაში ჩართული ყველა მხარე ვალდებულია განახორციელოს აუცილებელი პრევენციული და შესაბამისი ზომები თაღლითობის რისკის შესამცირებლად.¹⁵⁸

¹⁵⁷ Universitat Autònoma de Barcelona, Spain, Faculty of Law Department of Private Law, THESIS FOR THE DEGREE OF DOCTOR OF PHILOSOPHY, EXCEPTIONS TO THE PRINCIPLE OF INDEPENDENCE IN DOCUMENTARY LETTERS OF CREDITS, BY: HAMED ALAVI, გვერდი 142.

¹⁵⁸ Hamed alavi, Mitigating the risk of fraud in documentary letters of credit, Tallinn Law School, გვერდი 153.

15. დასკვნა

დოკუმენტური აკრედიტივის გამოყენება საერთაშორისო ბიზნეს სამართლებრივ ურთიერთობებში მნიშვნელოვნად ამცირებს მხარეთა მიერ მათი ვალდებულების შეუსრულებლობის რისკებს. მხარეები თავდაპირველი ხელშეკრულების პირობებს უფრო მარტივად ათანხმებენ, როდესაც კავშირი ექნებათ ისეთ საბანკო პროდუქტთან, როგორცაა დოკუმენტური აკრედიტივი და გადახდის საშუალებასთან ერთად რისკების დაზღვევის მექანიზმს წარმოადგენს. მისი სანდობა განპირობებულია სწორედ იმით, რომ სამართლებრივ ურთიერთობაში შემოდის სანდო საფინანსო ინსტიტუტი, ბანკის სახით.

დოკუმენტური აკრედიტივის საფუძველზე ანგრიშსწორების მთავარ წესს ადგენს „Documentary Compliance“-ის, იგივე დოკუმენტური შესაბამისობის სტანდარტი. „დოკუმენტური შესაბამისობის“ ფარგლებში ხდება პრევენტირებული დოკუმენტაციის შემოწმება. ამ პროცესში მყიდველის მომსახურე ბანკი არ სცდება მისთვის წარდგენილი დოკუმენტაციის ფარგლებს და მას არ ეხება და არც შეიძლება ეხებოდეს ძირითადი ნასყიდობის ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების დეტალები. „დოკუმენტური შესაბამისობის“ ფარგლებში ბანკმა უნდა იხელმძღვანელოს მხოლოდ მისთვის წარდგენილი დოკუმენტაციით და არა საქონლით, სერვისით ან შესრულებით, რომლებსაც შეიძლება დოკუმენტაცია ითვალისწინებდეს. სწორედ „Documentary Compliance“ ავლებს დამოუკიდებლობის ხაზს დოკუმენტურ აკრედიტივს, როგორც დამატებით სამართლებრივ ურთიერთობასა და იმ ძირითად სამართლებრივ ურთიერთობას შორის, რომელსაც დოკუმენტური აკრედიტივი ემსახურება.

შესრულების წესთან დაკავშირებით, არანაირი მნიშვნელობა არ აქვს მხარეები რომელი სახის დოკუმენტური აკრედიტივის გამოყენებაზე შეთანხმდებიან. ყველა სახის დოკუმენტური აკრედიტივის შესრულებისას მყიდველის მომსახურე ბანკი

ხელმძღვანელობს „Documentary Compliance“-ის სტანდარტით. როგორც აღინიშნა, დოკუმენტური აკრედიტივის საფუძველზე ანგარიშსწორების მიზნისათვის „დოკუმენტური შესაბამისობის“ სტანდარტი ნიშნავს მყიდველის მომსახურე ბანკის მიერ მხოლოდ შეთანხმებული დოკუმენტაციით ხელმძღვანელობასთან, რაც საერთო მახასიათებელია პირობით საბანკო გარანტიასთან, სადაც დოკუმენტაციის პრეზენტაცია ასევე სავალდებულო ხასიათისაა. თუმცა, არ მოიცავს უპირობო საბანკო გარანტიის შესრულების წესს, სადაც საერთოდ არ არის სავალდებულო დოკუმენტაციის პრეზენტაცია.

დოკუმენტური აკრედიტივის შესრულების წინაპირობები განისაზღვრება და დგინდება ყოველი კონკრეტული აკრედიტივის შინაარსით. კერძოდ, ნასყიდობის ხელშეკრულების მხარეების, მყიდველის და გამყიდველის ნების გამოვლენის საფუძველზე. სწორედ მათ მიერ თანხმდება თუ რა სახის დოკუმენტაცია უნდა ერთოდეს გამყიდველის მომსახურე ბანკის მიერ მყიდველის მომსახურე ბანკისათვის წარდგენილ აკრედიტივს. შესაძლოა მხარეები შეთანხმდნენ ანგარიშსწორების „მარტივ დათქმაზე,“ „რთულ დათქმაზე“ ან ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის ფარგლებში ანგარიშსწორების ნებისმიერ სხვა პირობაზე, როგორც აკრედიტივის შესრულების წინაპირობაზე. შესაბამისად, ყოველი დოკუმენტური აკრედიტივის შესრულების წინაპირობა დგინდება მისი შინაარსის შესაბამისად, რომელსაც თავად მხარეები განსაზღვრავენ, ხოლო მყიდველის მომსახურე ბანკი ამოწმებს მისთვის წარდგენილი დოკუმენტებით რამდენად დასტურდება ანგარიშსწორების წინაპირობის დადგომა. მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, მყიდველის მომსახურე ბანკის მიერ აკრედიტივის შესრულების წინაპირობის არსებობის შემოწმება ხდება „დოკუმენტური შესაბამისობის“ სტანდარტის საფუძველზე. ამასთან, თუ დოკუმენტური აკრედიტივით გათვალისწინებულია წარსადგენი დოკუმენტაციის კონკრეტული ნუსხა, ისე რომ შესაძლოა ეს დოკუმენტაცია მტკიცებულებით ხასიათს საერთოდ არ ატარებდეს, ამ ყველა დოკუმენტის აკრედიტივის შესაბამისად

პრეზენტაციის ვალდებულება ასევე წარმოადგენს დოკუმენტური აკრედიტივის საფუძველზე ანგარიშსწორების წინაპირობას.

ბენეფიციარის მხრიდან უფლების ბოროტად გამოყენება და შესაბამისად, „თაღლითობის“ ფაქტის არსებობა გამორიცხავს აკრედიტივის შესრულების წინაპირობებს და ანგარიშსწორება არ უნდა განხორციელდეს. თუ მყიდველის ბანკისათვის წარდგენილი დოკუმენტაციის შემოწმების პროცესში ბანკი გამოავლენს „თაღლითობის“ ფაქტს, დოკუმენტური აკრედიტივის შესრულების წესი, იგივე „documentary compliance“-ის სტანდარტი არ უნდა ამოქმედდეს.

მიმაჩნია, რომ ძალიან მნიშვნელოვანია საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართული საქართველოს მოქალაქეების და რეზიდენტი კომპანიების უფრო მეტი ინფორმირებულობა საერთაშორისო უნიფიცირებული წესების უახლეს ვერსიასთან, ICC-ის N600 UCP-ის შინაარსთან, მნიშვნელობასთან და დანიშნულებასთან დაკავშირებით. ამისათვის მიზანშეწონილია N600 UCP-ის ქართულ ენაზე ხელმისაწვდომობა შესაბამისი განმარტებებით, კომენტარებით და პრაქტიკაში გამოყენების ინსტრუქციებით.

16. გამოყენებული წყაროები

1. ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის საშუალება, 2012;
2. შენგელია რ., ნინიძე თ., ხეცურიანი ჯ., ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი მეორე, გამომც. „სამართალი“, თბილისი, 2001;
3. შენგელია რ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტომი II;
4. ათაბეგაშვილი დ., საგარანტიო ვალდებულების დამოუკიდებლობის ხარისხი და მისი პირობითობის დაძლევის მიზანშეწონილობა, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, 2018;
5. ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, 2014;
6. ტუტორიალი, „International Credit Security Law,“ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის სამართლის სკოლა, დავით ათაბეგაშვილი 2020 წელი (04/12/2020);
7. <https://www.intracen.org/guide-du-cafe/le-risque-et-le-lien-avec-le-credit-commercial/credit-documentaire-lettre-de-credit/>;
8. ICC Uniform Customs and Practice for Documentary Credits (UCP 222), Publication No 222, 1962;
9. ICC Uniform Customs and Practice for Documentary Credits (UCP 290), Publication No 290, 1974;
10. ICC Uniform Customs and Practice for Documentary Credits (UCP 400), Publication No 400, 1983;
11. ICC Uniform Customs and Practice for Documentary Credits (UCP 500), Publication No 500, 1993;
12. ICC Uniform Customs and Practice for Documentary Credits (UCP 600), Publication No 600, 2007;
13. ლიპარტია ნ., საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ბენეფიციარის მოთხოვნის მართვა და სამართლებრივი შედეგები, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, 2018;
14. Sinberg k., UCP 600 Transport Documents, 2ndEd edition, 2015;

15. გაბისონია ზ., საბანკო სამართალი, გამომც. „მერიდიანი“, თბილისი, 2012;
16. Christopher Leon, Letters of Credit: a Primer, 1986;
17. Rufus James Trimble, The Law Merchant and the Letters of Credit, In 61 Harvard Law Review, 1948;
18. Zsuzsanna Tóth, Documentary Credits in International Commercial Transactions with special focus on Fraud Fule, Athen/Budapest 2006;
19. J.F.Dolan, The Law of Letters of Credit (1983) Boston;
20. Boris Kozolchyk, The Legal Nature of the Irrevocable Commercial Letter of Credit, In 14 American Journal of Comparative Law, 1965;
21. Rolf Eberth, E.P.Ellinger, Deferred Payment Credits: A Comparative Analysis of Their Special Problem, In Journal of Maritime Law and Commerce, Vol 14. No.3, July 1983;
22. Nelson Enonchong, The Indipendence Principle of Letters of Credit and Demand Guarantees, Oxford University Press, oxford, UK, 2011;
23. Roy Goode, Herbert Kronke, Ewan McKendrick, Transnational Commercial Law, second edition, oxford university press, oxford, UK, 2015;
24. Schulze, W. G., ‘The UCP 600: A New Law Applicable to Documentary Letters of Credit’, South African Mercantile Law Journal, Vol. 21, Issue 2 (2009);
25. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
26. ამილახვარი გ., საერთაშორისო დოკუმენტური აკრედიტივის სამართლებრივი ბუნება, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი, 2017;
27. კროპკოლერი. ი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი. სასწავლო კომენტარი. თბ. 2014.
28. ჯოლია გ. საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობები. სახელმძღვანელო. თბ. საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“ 2008;
29. R.D.Harbottle (Mercantile) Ltd v. National Westminster Bank Ltd [1978] Q.B. 146 at 155;
30. Report of the Task Force on the Study of U.C.C. Article 5, An Examination of U.C.C. Article 5 (Letters of Credit), presented to the Letter of Credit Subcommittee of the Uniform Commercial Code Committee of the American Bar Association’s Business Law Section and the U.S. Council on International Banking, Inc., reprinted in [1990] 45 Bus. Law 1521 at 1532;

31. “The life blood of International commerce” – R.D. Harbottle (Mercantile) Ltd. V. Nat’l Westminster Bank Ltd., 1978;
32. Alavi H, Documentary Letters of Credit, Legal Nature and Sources of Law;
33. Paul Todd, Bills of Lading and Banker’s Documentary Credits, Fourth Edition, London, UK, 2007;
34. ზამბახიძე თ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, <http://www.gccc.ge/wp-content/uploads/2016/09/Artikel-876.pdf>;
35. Back to Back Letters of Credit, <https://www.thebalance.com/types-of-letters-of-credit-315040>;
36. E.P. Ellinger, Letters of Credit In Norbert Horn, Clive M.Schmitthoff (ed.), The transnational law of international commercial transactions, Vol.2 (1982), The Netherlands;
37. Understanding and Using Letters of Credit, Part 1, Procedures for Using the Tool, <https://www.dripcapital.com/resources/blog/letter-of-credit-lc#6>;
38. Collyier G., Guide To documentary Credits, International chamber of commerce, 2014;
39. <https://www.martinllp.net/how-letters-of-credit-provide-payment-security-to-a-third-party/>;
40. Kelly-Louw M., Selective Legal Aspects of Bank Demand Guarantees, 2008;
41. Peter Ellinger, Dora Neo, The Law and Practice of Documentary Letters of Credit, hart publishing, Portland, USA, 2010;
42. United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods (1980, Vienna);
43. FICOM S.A. v. SOCIEDAD CADEX LIMITADA. [1980] 2 Lloyd’s Rep 118;
44. GARCIA v. PAGE & COMPANY, LTD. [1936] 55 Lloyd’s Rep. 391;
45. The United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods (https://uncitral.un.org/sites/uncitral.un.org/files/media-documents/uncitral/en/19-09951_e_ebook.pdf);
46. Panoutsos v Raymond Hadley Corporation. [1917] 1 K.B;
47. SOPROMA S.p.A. v. MARINE & ANIMAL BY-PRODUCTS CORPORATION. [1966] 1 Lloyd’s Rep. 367;
48. <https://efinancemanagement.com/sources-of-finance/red-clause-letter-of-credit>;
49. <https://www.accountinghub-online.com/green-clause-letter-of-credit/>;
50. <https://swarb.co.uk/edward-owen-engineering-ltd-v-barclays-bank-international-ltd-ca-1978/>;
51. Welter in Munchener kommentar zum Handelsgesetzbuch, J. Bankgarantie, J 18;
52. Miss L., Letter of Credit: Injunctions as a Remedy of Fraud in UCCm, sec. 5-114, 1979;

53. ENGLISH, SCOTTISH AND AUSTRALIAN BANK, LTD., v. THE BANK OF SOUTH AFRICA. [1922] 13 Ll.L.Rep. 2;
54. Documentary Risk in Commodity Trade, UNCTAD/ITCD/COM/Misc. 31;
55. Viscount Sumner of the House of Lords in „Equitable Trust Co. of New Yourk v. Dawson Partners Ltd. (1927) 27Ll.L.Rep.49,52; Martin Davies, David V.Snyder, International Transaction in Goods, USA, Oxford University Press, 2014;
56. THE EXCEPTIONS TO THE PRINCIPLE OF AUTONOMY OF DOCUMENTARY CREDITS By CHUMAH AMAEFULE, School of Law University of Birmingham August 2011;
57. Alan Davidson, “Commercial Laws in Conflict - An Application of the Autonomy Principle in Letters of Credit,” 6 Int'l. Trade & Bus. L. Ann. 65 (2001);
58. J.H. Rayner Co Ltd v. Hambro’s Bank Ltd [1943] K.B. 37;
59. Charles M.R. Vethan, “The Sacred Cow of Equity and Strict Compliance in Letter of Credit Law: Recent Trends and Projections,” (1994), 6-SPG Int’l Legal Persp.;
60. STEFANO FERRERO, SOME CONSIDERATIONS ON THE DOCTRINE OF STRICT COMPLIANCE AND THE AUTONOMY PRINCIPLE IN DOCUMENTARY CREDIT;
61. Ravi Mehta, Does UCP 600 Soften or End the Doctrine for Strict Compliance? LC;
62. Mohamed Ibrahim M Adam, The Problem Relating to The Interpretation of Strict Compliance Rule in Letters of Credits Practice, May 13, 2006;
63. Charles Debattista, “The New UCP 600 - Changes to the Tender of the Seller’s Shipping Documents under Letters of Credit,” (2007) J.B.L., JUN, 329-354;
64. LC Views, Interview with T.O. Lee, 2 April, 2006;
65. THE DEVELOPMENT IN THE LEVEL OF COMPLIANCE IN THE LAW OF DEMAND GUARANTEES BY JOYCE PHIRI STUDENT NUMBER: 201015597, UNIVERSITY OF JOHANNESBURG;
66. Documentary Risk in Commodity Trade, UNCTAD/ITCD/COM/Misc;
67. J.F. Dolan, Documentary Credit Fundamentals: Comparative Aspects, 3 Bank. & Fin.L.R (1988);
68. Roger Jones, Partner, Mayer, Brown, Rowe & Maw. International Trade and Business Law Review: Volume VIII, Volume 8;
69. Old Colony Trust Co v Lawyers’ Title and Trust Co (1924);
70. O'Meara Co. v. National Park Bank, 146 N.E. 636 (NY 1925);

71. Sztejn v Henry Schroder Banking Corporation 31 NYS 2d 631 (1941).
<http://international.westlaw.com/search;>
72. Universitat Autònoma de Barcelona, Spain, Faculty of Law Department of Private Law , THESIS FOR THE DEGREE OF DOCTOR OF PHILOSOPHY, EXCEPTIONS TO THE PRINCIPLE OF INDEPENDENCE IN DOCUMENTARY LETTERS OF CREDITS, BY: HAMED ALAVI;
73. Hamed alavi, Mitigating the risk of fraud in documentary letters of credit, Tallinn Law School;
74. [https://iccwbo.org/global-issues-trends/banking-finance/global-rules/#1488883774833-e9535ef9-656c;](https://iccwbo.org/global-issues-trends/banking-finance/global-rules/#1488883774833-e9535ef9-656c)
75. Higgins v. Steinhardter [1919] 175 NYS 279;